წელიწადი მეცხრე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
— და —
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 84, ტელეფონი № 8—81.

ხელისმომწერის ფასი
მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან., 30 კ.

საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი, გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი“-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დღიური

— დაიწყო მოლაპარაკება ესტონეთ-საბჭოთა სავაჭრო ხელშეკრულების დასადებად.
— საპროტესტო დემონსტრაციები გერმანიაში.
— ავსტრიის პარლამენტმა აირჩია ახალი მთავრობა.
— გერმანიის კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის ორგანიზაციის კონფერენცია.
— საპირველმაისო დემონსტრაცია სტოკჰოლმში.
— გაიხსნა ჩეხო-სლოვაკიის პროფკავშირების ეროვნებათაშორისო გაერთიანების ყრილობა.
— ძლიერი გრიგალი ამერიკაში დაიღუპა 19 კაცი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოთხშაბათი, 8 მაისი 1929 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 102 (2448)

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის გატარება

მოკლე ხანში დაიწყება სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ობიექტების აღრიცხვა. იგი მთელი საგადასახადო კამპანიის ძირითადი ნაწილია. აღრიცხვის სისწორით გატარებაზეა უმთავრესად დამოკიდებული იმ სამეურნეო, სოციალ-პოლიტიკური და ფინანსიური ამოცანების წარმატებით გადაჭრა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალ კანონს აქვს დაკისრებული. ამიტომ საღრიცხვო მუშაობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

გადასახადის ობიექტების აღრიცხვასთან დაკავშირებით ჩვენ გლეხობას ფართოდ უნდა განვუმარტოთ ხსენებული კანონის შინაარსი და მნიშვნელობა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს განმარტებითი კამპანია დღემდე სუსტად მიმდინარეობს და გლეხთა მასები ახალ კანონს კარგად არ იცნობენ. ეს კი დიდად უშლის ხელს იმ ეფექტის მიღწევას, რომელსაც კანონი ჰგულისხმობს.

როგორია ახალი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის მთავარი მომენტები? იგი მიზნად ისახავს: 1) სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის ხელის შეწყობას, 2) ღარიბ საშუალო გლეხობის მდგომარეობის შემსუბუქებას და 3) გადასახადის სიმძიმის კულაკებზე გადატანას და ამ გზით სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტურ სექტორის ზრდის შეზღუდვას.

დღეს დიდი ყურადღება ექცევა ნათესის სივრცის გაფართოვებას. ამ მიზნით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონიც ორი წლის განმავლობაში სრულიად ანთავისუფლებს გადასახადისაგან ღარიბ-საშუალო მეურნეობათა იმ დამატებით სივრცეს, რომელიც წინანდელთან შედარებით ახლად იქნება დამუშავებული.

ერთ-ერთ მთავარ ამოცანად გამოცხადებულია მოსავლიანობის გადიდება. და კანონი მეტად თვალსაჩინო საგადასახადო შეღავათებს ანიჭებს აღნიშნულ მეურნეობებს ისეთ აგროკულტურულ ღონისძიებათა გატარებისათვის, რომელნიც მოსავლიანობას საგრძნობლად გაზრდიან და მეურნეობას კულტურულ ნიადაგზე დააყენებენ.

ტექნიკურ კულტურების და მესაქონლეობის განვითარება ნედლეულის ბაზას ქმნის მრეწველობისათვის. ამიტომ კანონი სხვადასხვა შეღავათებით აქეზებს ამ დარგების გაფართოებას და გაუმჯობესებას.

გლეხის სამეურნეო მოღვაწეობის გასაშლელად დიდი მნიშვნელობა აქვს მტკიცე საგადასახადო ვარაუდს საკმაო ვადით. ამის გამო კანონი სამი წლით აწესებს მოსავლიანობის ნორმებს მემინდვრეობის, მესაქონლეობის და სათიბების დარგში.

კანონში კლასობრივი ხაზი მტკიცედ არის გატარებული. ღარიბი მეურნეობანი—ყველა მეურნეობის 35 პროცენტი—სავსებით განთავისუფლებულია გადასახადისაგან. გადასახადის გამოანგარიშება შემოსავლის კვალობაზე და პროგრესიის პრინციპის დაცვით, რაც სრულიად უზრუნველყოფს საშუალო გლეხთა ინტერესებს. ამავე დროს გადასახადის საერთო ჯამი წინანდელთან შედარებით შემცირებულია 50 მილიონი მანეთით. ეს შემცირება უმთავრესად საშუალო გლეხობის საგადასახადო ტვირთის შესამსუბუქებლადაა დანიშნული.

მეორე მხრივ, როგორც ზევით ვსთქვით, კულაკობას აწვება გადასახადის მთავარი სიმძიმე. კულაკთა ზედაფენებზე, რომელნიც დაახლოებით შეადგენენ ყველა მეურნეობის 3—4 პროცენტს, მოდის გადასახადის საერთო ჯამი 30—45 პროცენტი. ღონიერ და კულაკურ მეურნეობების შემოსავალს, განსაზღვრული ნორმების შემდეგ, რომელნიც ჩვეულებრივ იბეგრებიან, ემატება ცალკე საგადასახადო დანარიცხი, რომელიც იზრდება შემოსავლის ზრდასთან ერთად. ამასთან უფრო მდიდარი კულაკური მეურნეობანი იბეგრებიან ინდივიდუალური წესით.

კანონის ამ მუხლების გატარების დროს მთავარია ორი გარემოება: პირველი—ჩვენ დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ, რომ ნამდვილი საშუალო მეურნეობანი კულაკურ მეურნეობათა კატეგორიას არ მივაკუთვნოთ და ისინი ზედმეტად არ დავბეგროთ; მეორე—ჩვენ ყოველი ზომა უნდა მივიღოთ, რომ კულაკებმა თავი არ დაიძვრინონ კუთვნილი გადასახადისაგან და არ მოახერხონ საშუალო გლეხთა სიაში მოხვედრა. ორივე ამ შეცდომას თუ გადაჭრას წარსულში ჰქონდა ადგილი. ჩვენ ყველაფერი უნდა მოვიმოქმედოთ, რომ ეს ნაკლი ეხლა აცილებულ იქნას.

რა არის ამისათვის საჭირო?—პირველ რიგში სოფლად საღრიცხვო კომისიების სათანადო შერჩევა. ეს კომისიები უნდა შესდგებოდნენ პოლიტიკურად სავსებით საიმედო, კლასობრივად მტკიცე და მშრომელ მოსახლეობაში გავლენით აღჭურვილ პირებისაგან, რომელნიც კარგად უნდა ერკვეოდნენ ახალ კანონის შინაარსსა და მიზნებში და რომელნიც ამავე დროს საფუძვლიანად უნდა იცნობდნენ ადგილობრივ გლეხების სამეურნეო შეძლებას. მათ, საგადასახადო ობიექტების აღრიცხვის დროს, კერძოდ ჯეროვანი ყურადღება უნდა მიაქციონ არასამიწადმოქმედო შემოსავლის წყაროებს, რომელნიც უმეტესად კულაკებს მოეპოვებათ. უკანასკნელნი ყოველნაირად შეეცდებიან თავის შემოსავლის გადამალვას; ჩვენ ეს ცდა უნდა აღვკვეთოთ. ამ მხრივ, გარდა საღრიცხვო კომისიების შემადგენლობის შერჩევის და მათი დაკვირვებული მუშაობისა, დიდი მნიშვნელობა აქვს საგადასახადო სიების შემოწმებას ღარიბთა კრებებზე. ღარიბი გლეხობა, საშუალო გლეხობის აქტივთან ერთად, ამ საქმეში აქტიურად უნდა იქნას ჩაბმული.

ამავე დროს, ვიმეორებთ, საშუალო გლეხობის ინტერესები სავსებით უნდა იქნას დაცული და რევოლიუციური კანონიერება გადაუხრელად გატარებული. ამაზე მიგვითითებს მე-16 პარტკონფერენციაც, რომელიც ამბობს: „კონფერენცია მოითხოვს ყველა პარტიულ და საბჭოთა მუშაკისაგან, რათა გადასახადის პრაქტიკულად გატარების დროს უზრუნველყოფილ იქნას რევოლიუციონურ კანონიერების მტკიცედ დაცვა და არ იქნას დაშვებული მომქმედი კანონიდან არავითარი გადახრა იმ მხრივ, რომ გადამხდელის მდგომარეობა გაუარესდეს. მთლიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადის პრაქტიკულად გატარების ხელმძღვანელობის საკითხს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს ყველა ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანომ, რამდენადაც რევოლიუციონური კანონიერების ყოველგვარი დარღვევა ამ დარგში განსაკუთრებით მავნებელია საბჭოთა ხელისუფლებისადმი გლეხობის ნდობის განმტკიცებისა და გლეხობის ძირითად მასებთან მუშათა კლასის კავშირის გამაგრების თვალსაზრისით“.

ეს დირექტივა გადაუხრელად უნდა გაატარონ ადგილობრივმა ორგანიზაციებმა საღრიცხვო მუშაობის და მთელი საგადასახადო კამპანიის დროს.

მასიური კონტროლის ორგანიზაციის საკითხები

საკავშირო კომუნისტური პარტიის მეთექვსმეტე კონფერენციამ თავის რეზოლიუციაში ამხ. იაკოვლევის მოხსენების გარშემო, რომელიც შეეხებოდა ბიუროკრატიზმთან ბრძოლის ამოცანებს, განცალკევებული ადგილი დაუთმო მასიური კონტროლის ორგანიზაციის საქმეს.

მასების აქტიური მონაწილეობა ერთ-ერთი ძირითადი პირობაა სოციალისტური მშენებლობის განვითარებისათვის. ჩვენი მუშაობის ყოველდღიურ შემოწმებას, არსებული დეფექტების, რაც შეიძლება სრულად გამომჟღავნებას, დაშვებული შეცდომების დროზე გამოსწორებას და სხვ., რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საქმის წარმატებისათვის, ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში შევძლებთ, თუ სათანადო სიმაღლეზე იქნება დაყენებული მასიური კონტროლი. ჩვენ გვაქვს პარტიული და საბჭოთა საკონტროლო ორგანოები, სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა აპარატში, არის სპეციალური საკონტროლო-სარევიზიო ორგანოებიც, მაგრამ მარტო ისინი უძლურნი იქნებიან იმ ამოცანათა გადასაწყვეტად ბრძოლაში, რომელთაც აყენებს ჩვენს წინაშე სოციალისტური მშენებლობის განვითარება.

ყოველი სახის ბრძოლა, ბიუროკრატიზმთან, ნათქვამია მეთექვსმეტე პარტკონფერენციის ზემოხსენებულ რეზოლიუციაში, „რომელიც არ ემყარება მუშათა კლასის აქტიობაზე და თვითმოქმედებაზე, რომელიც წარმოადგენს იმის ცდას, რომ შეცვლილ იქნას მუშებისა და გლეხების კონტროლი მხოლოდ ამა თუ იმ აპარატის საქმიანობით, თუნდაც ამ აპარატში იყვნენ უაღრესად კეთილსინდისიერი მუშაკები, ვერ გამოიღებს ვერავითარ სერიოზულ შედეგებს სახელმწიფო აპარატის ნამდვილ გაუმჯობესებისა და საფუძვლიანად გადახალისების დარგში“.

პარტკონფერენციის ეს დადგენილება კვლავ მთელი თავისი სიმწვავით აყენებს ჩვენს წინაშე მასიური კონტროლის ორგანიზაციის საკითხს. თავისთავად ცხადია, რომ ამ შემთხვევაში ყველაზე ნაკლებად დასაშვებია საერთო მსჯელობა მასიური თვითკრიტიკის მნიშვნელობაზე. საკითხი პრაქტიკულად სდგას. საჭიროა გამოიძებნოს მუშაობის ისეთი ფორმები, რომ მშრომელი მასების რაც შეიძლება მეტი ფენები იქნას ჩაბმული საკონტროლო მუშაობაში. მთავარი, რაც უნდა გვახსოვდეს აქ, ეს ის არის, რომ მასების მიზიდვა საკონტროლო საქმეში არ უნდა ატარებდეს ბიუროკრატიულ სახეს, მას არ უნდა ქონდეს რაიმე იძულების ან უსულო ფორმალობის ხასიათი. ამ საკითხის ორგანიზაციულად მოგვარების მთელი აზრი იმაში მდგომარეობს, რომ შემუშავებულ იქნას მუშაობის ისეთი მეთოდები, რომელნიც გამოიწვევენ მასების ნებაყოფლობით აქტიობას კონტროლის წარმოების დარგში.

ამ მხრივ ჩვენ უკვე გვაქვს ერთგვარი გამოცდილება. თვითკრიტიკის ლოზუნგის გადასროლით პარტიამ ძლიერი იმპულსი მისცა ადგილობრივ ორგანიზაციებს საკონტროლო მუშაობის გაცხოველებისათვის. წარსული ერთი თუ ერთნახევარი წლის განმავლობაში, ჩვენმა პარტიულ, საბჭოთა, კომკავშირულ და სხვა ორგანოებმა საკმაოდ დიდი გამოცდილება მიიღეს საკონტროლო საქმიანობის დარგში. ამ მიმართულებით მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობს დიდი მუშაობა, გამოძებნილ იქნა ის გზებიც, რომელთა საშუალებითაც ყველაზე უმალ შესაძლებელია მასების ჩაბმა კონტროლის საქმეში. საკავშირო კომპარტიის მეთექვსმეტე კონფერენცია თავის რეზოლიუციაში ამხ. იაკოვლევის მოხსენების გარშემო, მხედველობიდან არ უშვებს ამ მომენტს და წარსულ მუშაობაში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით კონკრეტულ, პრაქტიკულ მითითებებს აძლევს ადგილობრივ ორგანიზაციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იქნეს გაღრმავებული მასიური კონტროლი. ამ მიზნით უნდა გაძლიერებულ იქნას საბჭოებთან არსებული მუშათა და გლეხთა ინსპექციათა სექციების საქმიანობა. იქ კი, სადაც ამგვარი სექცია დღემდე არ არსებობს, უნდა მოწყობილ იქნას ასეთი. მეთექვსმეტე კონფერენციის რეზოლიუციაში ამის შესახებ ნათქვამია შემდეგი:

კონფერენცია წინადადებას იძლევა, რომ „ადგილობრივ პარტიულ ორგანოებმა და საბჭოებმა ქალაქის და დიდ სოფლის საბჭოებთან შექმნან მუშათა და გლეხთა ინსპექციის სექციები. სოფლის საბჭოებში ეს სექციები პირველყოვლისა უნდა მოეწყოს მოჯამაგირეებისა და ღარიბ გლეხებისაგან“.

ამასთან ერთად მასიური კონტროლის გაღრმავებისათვის უნდა გამოყენებულ იქნან საწარმოო და ეკონომიური თათბირები, საწარმოებში არსებული მუშათა დროებითი საკონტროლო კომისიები, უნდა გაცხოველებულ იქნას მუშგლეხინის საჩივართა ბიუროში მუშათა წარმომადგენლების არჩევნების პრაქტიკა, მეტი მფარველობა და დახმარება უნდა გაეწიოს მუშა და გლეხ კორესპონდენტებს, ამა თუ იმ გამოკვლევათა შედეგები უნდა გადატანილ იქნას განსახილველად მუშებისა და მოსამსახურეების საერთო კრებებზე და სხვ.

გარდა ამისა, როგორც ვიცით, ახლო წარსულში მთელ რიგ მსხვილ სამრეწველო ცენტრების მუშათა და გლეხთა ინსპექციის საჩივართა ბიუროებმა, ჩაატარეს მუშათა ლაშქრობა ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ. ასეთივე ხასიათის ლაშქრობას სისტემატიურად აწარმოებს ახკომკავშირის „მსუბუქი კავალერია“. მართალია ასეთი ლაშქრობის დროს იყო და არის ზოგიერთი დეფექტები, მაგრამ აშკარაა, რომ მან დიდი დადებითი ნაყოფი გამოიღო. ეს მდგომარეობა ავალებს მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებს გააფართოონ მუშაობა ამ მიმართულებით.

აქვე უნდა აღინიშნოს შემდეგი. უდაო ჭეშმარიტებაა ის დებულება, რომ მასიური კონტროლის სათანადო სიმაღლეზე დაყენებისათვის ერთ-ერთი გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორ და ენერგიულ ხელმძღვანელობას ამ მუშაობაზე მუშათა და გლეხთა ინსპექციის მხრივ. სინამდვილეში კი მუშგლეხინი ხშირად მოკლებულია ასეთ ხელმძღვანელობის გაწევის საშუალებას, რადგან მას არ გააჩნია სათანადო ძალები. პარტიის სხვადასხვა ავტორიტეტულ ორგანოებმა არაერთი დადგენილება გამოიტანეს მუშათა და გლეხთა ინსპექციაში საუკეთესო მუშაკების გაგზავნის შესახებ, მაგრამ დღემდე ეს დადგენილება ყველგან სრულად არ არის გატარებული. საკავშირო მეთექვსმეტე პარტკონფერენციამ ეს გარემოება განსაკუთრებით აღნიშნა თავის ზემოხსენებულ დადგენილებაში. აქ ნათქვამია შემდეგი:

„არაერთი მითითებანი იმის შესახებ, რომ მუშათა და გლეხთა ინსპექციაში გამოყოფილ იქნან ნამდვილად საუკეთესო მუშები სუსტად ტარდება ცხოვრებაში. ამიტომ ამხ. ლენინის მითითების თანახმად მუშგლეხინში ყველა იმ საუკეთესო ძალების მიქცევის შესახებ, „რაც კი არის ჩვენს სოციალურ წყობილებაში“ (XVIII ტ., ნაწილი II, გვ. 118), წინადადება მიეცეს ცკას უახლოესი სამი თვის განმავლობაში თავისი ზედამხედველობით ჩაატაროს მუშაკთა სპეციალური მობილიზაცია, მათ გადასაყვანად მუშათა და გლეხთა ინსპექციის ორგანოებში“.

მეთექვსმეტე პარტკონფერენციის ეს დადგენილება სრულად და განუხრელად უნდა იქნას განხორციელებული. ამას მოითხოვს, სხვათა შორის, მასიური კონტროლის გაცხოველების საქმეც.

ჩვენ უნდა ვიცოდეთ არა მარტო მშენებლობა, არამედ იმის კრიტიკული შეფასებაც, თუ რამდენად სწორია ეს მშენებლობა, რამდენად ამართლებს ის იმ საბოლოო მიზანს, რომელსაც ისახავს თავის ბრძოლაში პარტია და ხელისუფლება, მასიური კონტროლი ერთ-ერთი იმ ძლიერი იარაღთაგანია, რომლის საშუალებითაც ჩვენ ვსწავლით თვითშემოწმებას და ჩვენს მშენებლობაში არსებულ დეფექტების დროზე გამოაშკარავება -გამოსწორებას.

მ. ლ—ძე.

გერმანიის მუშები მზად არიან განაგრძონ ბრძოლა

ბავარიაში და პრუსიაში აკრძალეს წითელფრონტელთა კავშირი

დაიხურა განიარაღების კომისიის სესია

ლიტვინოვის დეკლარაცია სესიის შედეგების შესახებ

განიარაღების კომისიის სესიაზე

ლიტვინოვი ამხილებს იმპერიალისტების მანევრებს

ჟენევა, 6 მაისი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელ კომისიაში ყველა დელეგაცია სცდილობს — შექმნას „შემარიგებელი“ ატმოსფერა საზღვაო შეიარაღების საკითხის განხილვის წინ, რომელ საკითხშიაც არც ერთი სახელმწიფო არ არის მზად ნამდვილი დათმობისათვის.

გიბსონმა (ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატები) და მასილიმ (საფრანგეთი) შეიტანეს რეზოლიუციის პროექტი სამხედრო მასალების საკითხის გამო, გიბსონის და მასილის პროექტი უარჰყოფს პირდაპირი შემცირების მეთოდს, აგრეთვე სამხედრო ბიუჯეტების საშუალებით არაპირდაპირი შემცირების მეთოდს და იძლევა ისეთ ფორმულას, რომელიც არავითარ ვალდებულებას არ აწესებს: „სამხედრო მასალების შეზღუდვა და შემცირება, უნდა დაუკავშირდეს სამხედრო ხარჯების გამოქვეყნებას, რომლის ფორმებიც განხილული იქნება პროექტის სათანადო მუხლის მიხედვით“.

ლიტვინოვმა ამხილა ამ მანევრის აზრი, და აღნიშნა, რომ რეზოლიუციის ავტორები ვერ შეთანხმდნენ ვერც ერთი იმ მეთოდების ირგვლივ, რომლებიც წარმოდგენილი იყო სამხედრო მასალების შემცირებისათვის. ლიტვინოვმა წინადადება შეიტანა — მთლად უარყოფილ იქნას სამხედრო მასალების შემცირება ან შეზღუდვა.

ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ რეზოლიუციის ეს პროექტი ახალი მნიშვნელოვანი ნაბიჯია უკან, რადგან სამხედრო ხარჯების გამოქვეყნება სრულებითაც არ ნიშნავს მათ შემცირებას. მთავრობები აცნობებენ სამხედრო ხარჯების ისეთ ციფრებს, რომლებიც განსაზღვრული არ იქნებიან კონვენციით. მთავრობებს შეუძლიათ აცნობონ ისეთი ციფრები ამა თუ იმ წლისათვის, რომლებიც აღემატება წარსული წლის ციფრებს. ლიტვინოვმა იკითხა: რატომ სდებენ სამხედრო მასალების შემცირების საკითხს იმ დრომდე, სანამ განხილული არ იქნება სამხედრო ხარჯების გამოქვეყნების საკითხი, რომელსაც საერთო არაფერი აქვს შეიარაღების შეზღუდვასა და შემცირებასთან.

ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ კომისიას განზრახვა აქვს უარი განაცხადოს სამხედრო მასალების შეზღუდვისა და შემცირების პრინციპზე. ლიტვინოვმა განაცხადა, რომ საბჭოთა დელეგაციისათვის მიუღებელია ასეთი რეზოლიუციაო.

ლიტვინოვის შემდეგ გამოვიდა გერმანიის დელეგატი ბერნსტორფი, რომელმაც აგრეთვე განაცხადა, რომ ეს რეზოლიუცია მიუღებელია და რომ გერმანიის დელეგაცია თავს იჭერს კენჭის ყრისაგანო.

გიბსონი სცდილობდა შეენელებია ლიტვინოვის სიტყვის ეფექტი. მან ცინიკურად განაცხადა, რომ ამერიკის დელეგაციას სრულებითაც არა აქვს განზრახვა შეუშალოს ხელი სამხედრო მასალების შეზღუდვას და შემცირებას; ამერიკა მოითხოვს, დაუყოვნებლივ გათავდეს კამათი და დაიწყოს სახელებითი კენჭის ყრაო.

გიბსონის და მასილის მიერ შეტანილი წინადადება მიღებულ იქნა ყველა ხმით საბჭოთა კავშირის და ჩინეთის ხმების წინააღმდეგ. გერმანიის დელეგაციამ თავი შეიკავა კენჭის ყრისაგან. (ადს).

ბერნსტორფის დეკლარაცია

ჟენევა, 6 მაისი. როცა მიღებულ იქნა საფრანგეთ — ამერიკის წინადადება სამხედრო მასალების შესახებ, გერმანიის დელეგატმა ბერნსტორფმა წაიკითხა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ კომისიამ მხედველობიდან გაუშვა შეიარაღების არსებითი შემცირების ამოცანა ხმელეთის ჯარის შეიარაღების საქმეში. ბერნსტორფმა განაცხადა: გერმანიის მთავრობისათვის პირველი ეტაპის სახითაც კი მიუღებელია ისეთი კონვენცია, რომელიც არ ეხება შეიარაღების ყველა ელემენტს და არ იწვევს საგრძნობ შემცირებასო.

გერმანიის მთავრობა გაემიჯნა კომისიის უმრავლესობის მიერ შემუშავებულ პროგრამას და უმრავლესობას დააკისრა მთელი პასუხისმგებლობა, განიარაღების საყოველთაო კონფერენციის შემდგომი მომზადებისათვის. (ადს).

შეერთ. შტატების მთავრობა გიბსონის წინადადების წინააღმდეგ

ვაშინგტონი, 6 მაისი. პოლიტიკურ წრეებში აღნიშნავენ, რომ მთავრობის წრეებს, როგორც სჩანს, განზრახული აქვთ გაემიჯნონ ამერიკის დელეგატის გიბსონის იმ განცხადებისაგან, რომელიც მან ამას წინად გააკეთა განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის სესიაზე.

მთავრობის წრეების ავტორიტეტულმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ შეერთებული შტატების თვალსაზრისი მომზადებული რეზერვების საკითხში არ შეცვლილა და მთავრობა, მიუხედავად გიბსონის დეკლარაციისა, წინანდებურად მოითხოვს მომზადებული რეზერვების შეზღუდვას.

მთავრობის წრეებში ამტკიცებენ, რომ შეერთებული შტატების დელეგატებს ჟენევაში არავითარი მოლაპარაკება არ უწარმოებიათ ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენლებთან მომზადებული რეზერვების საკითხის შესახებ.

ამ განცხადებას ეწინააღმდეგება „ნიუ-იორკ-ტაიმს“-ის ჟენეველი კორესპონდენტის განცხადება, რომელშიაც ნათქვამია:

„ევროპის სახელმწიფოებმა ისარგებლეს შეერთებული შტატების დათმობით მომზადებული რეზერვების საკითხში და ეხლა ეს სახელმწიფოები არავითარ კონტრ - დათმობაზე არ მიდიან“.

ამასთანავე ოფიციალური წრეები ცდილობენ გააქარწყლონ ის საკმაოდ ცუდი შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ჟენევიდან მიღებულმა ცნობამ, რომ შეერთებული შტატების მთავრობამ უარჰყო ლიტვინოვის წინადადება საზღვაო შეიარაღების შემცირების შესახებ და ამავე დროს მხარი დაუჭირა საზღვაო შეიარაღების შეზღუდვას. ამ ცნობამ ერთგვარი დაბნევა გამოიწვია ვაშინგტონის წრეებში, რამდენადაც ის (ცნობა) ეწინააღმდეგება გიბსონის წინანდელ განცხადებას, რომელშიაც გიბსონი მხარს უჭერდა საზღვაო შეიარაღების შემცირებას. საგარეო საქმეთა სამინისტრო ჯერ ამტკიცებდა, რომ ამერიკელმა კორესპონდენტებმა ვერ გადმოსცეს სწორად გიბსონის განცხადების შინაარსი, მაგრამ შემდეგში სამინისტრომ განაცხადა, რომ ლიტვინოვის წინადადების უარყოფა ნიშნავს მხოლოდ ამ წინადადების ტეხნიკურად მოხსნას დღის წესრიგიდან, და შეერთებული შტატების მთავრობა წინანდებურად მხარს უჭერს საზღვაო შეიარაღების შემცირებას. (ადს).

„სერიოზული ნაბიჯი უკან“

ჟენევა, 6 მაისი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის მეექვსე სესია დამთავრდა, უფრო სწორად — გამოცხადებულია „გადადებულად“ იმ დრომდე, სანამ მის მოწვევას საჭიროდ არა სცნობს თავმჯდომარე.

საზღვაო სახელმწიფოების დელეგატების პასუხები, გიბსონის ცნობილ წინადადებაზე, პასუხები, რომლებიც არავითარ ვალდებულებას არ აკისრებენ, არც კი ყოფილა განხილული. ლიტვინოვმა წაიკითხა დეკლარაცია, რომელიც სესიის შედეგებს ახასიათებს, როგორც სერიოზულ ნაბიჯს უკან. პოლიტისის საპასუხო სიტყვამ ვერ გაფანტა ლიტვინოვის სიტყვის ძლიერი შთაბეჭდილება. თვით პოლიტისმა ამ სიტყვას უწოდა „ნამდვილი საბრალმდებლო აქტი“. (ადს).

საბჭოთა წინადადება

ჟენევა, 6 მაისი. ბერნსტორფის დეკლარაციის გამოქვეყნების შემდეგ განსახილველად დასვეს საბჭოთა წინადადება კონვენციაში იმ მუხლის შეტანის შესახებ, რომელიც სავალდებულოდ ხდის 1929 წლის 1 იანვრისათვის არსებულ ხმელეთის შეიარაღებათა მოდელების დაცვას.

წინადადების დასაბუთების დროს ლიტვინოვმა აღნიშნა, რომ მისი მიზანია გაცხოველებული მუშაობის შეჩერება სამხედრო გამოგონებათა და მათი გაუმჯობესების დარგში. სამხედრო მასალის არსებული მოდელების ნაცვლად, იმ ახლად გამოგონებული მოდელების შემოღების აკრძალვა, რომლებიც უფრო და უფრო უმჯობესდებიან, ე. ი. უფრო გამანადგურებელნი იქნებიან, უეჭველად შეაფერხებს საომარ განზრახვათა განხორციელებას.

საკმაოა გავიხსენოთ ელექტრო - ტეხნიკის უკანასკნელი მიღწევები, რომლებიც შეიარაღებისათვის არაჩვეულებრივ შესაძლებლობას ჰქმნიან.

„როგორც იმ ქვეყნის წარმომადგენელს, სადაც მართვა — გამგეობის სათავეში დგანან მუშები და გლეხები, რომლებიც მზად არიან მაქსიმალური მსხვერპლი გაიღონ, რომლებიც უდიდეს ინტერესს იჩენენ მეცნიერების, კერძოდ, ტეხნიკური მეცნიერების გაძლიერებისა და განვითარებისადმი, — სთქვა ლიტვინოვმა, — მე საბუთი მაქვს განვაცხადო, რომ კაცობრიობა არ დაზარალდება, თუ მეცნიერების მოღვაწეთა ენერგია და შემოქმედებითი უნარი მოხმარდება აღმშენებლობასა და არა ნგრევას. საბჭოთა წინადადებას მხედველობაში აქვს — თვითეულ სახელმწიფოს დაუტოვოს შეიარაღებათა მხოლოდ ის ტიპები, რომლებიც ეხლა აქვს; საბჭოთა წინადადება საშუალებას აძლევს ყოველ ქვეყანას — თავისუფლად ამოირჩიოს სხვადასხვა ქვეყანაში არსებული შეიარაღება და თავისი ძალების შეიარაღება შესცვალოს; იგი მხოლოდ განსაზღვრავს შეიარაღებათა ამორჩევას იმ ტიპებით, რომლებიც უკვე არსებობენ რომელიმე არმიაში.

საბჭოთა წინადადება უარყოფილ იქნა ყველა სახელმწიფოს ხმებით საბჭოთა კავშირის ხმის წინააღმდეგ.

მიღებულ წინადადებებსაც კი გაუქმებას უპირებენ

შემდეგ განხილულ იქნა საბოლოო რედაქცია იმ მუხლებისა, რომლებიც შეეხებიან საჰაერო შეიარაღებას. ამერიკისა, ბელგიისა და სხვა სახელმწიფოების დელეგატები ცდილობდნენ ერთგვარი შეზღუდვა შეეტანათ, კერძოდ, ამოეშალათ საბჭოთა წინადადების თანახმად უკვე მიღებული მუხლი, რომელიც შეეხება სამოქალაქო ჰაეროპლანების შეიარაღებას სამხედრო მიზნებით.

ლიტვინოვმა განაცხადა: უკვე მიღებული მუხლის გაუქმება მას არ გააკვირვებს, რადგან იგი მთლიანად შეეფერება კომისიის მიერ მიღებულ პროცედურას, რომელსაც ახასიათებს თანდათანობითი გაუქმება ყველაფრისა, რამაც ხელი უნდა შეუწყოს განიარაღებას.

დელეგატები უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა ლიტვინოვის განცხადებამ და იძულებულნი იყვნენ მოეხსნათ თავიანთი წინადადებანი ამ მუხლის გამო. (ადს).

მდგომარეობა გერმანიაში

კომინტერნის დასავლეთ-ევროპის ბიუროს მოწოდება

ბერლინი, 6 მაისი. გამოქვეყნდა კომინტერნის დასავლეთ - ევროპის ბიუროს მოწოდება ევროპის პროლეტარებისადმი. მოწოდებაში ბერლინის ამბების შესახებ ნათქვამია:

„უნაყოფო აღმოჩნდა ცდა შეეჩერებიათ კომუნისტური გავლენის ზრდა მასებზე. მიზანს ვერ მიაღწია ვერც მასიურმა გამორიცხვამ პროფკავშირებიდან, ვერც კომუნისტ - მუშების დათხოვნამ წარმოებებიდან ფაბრიკების პატრონებთან შეთანხმებით. მაშინ სოციალ-დემოკრატიამ, რომელიც ეურდნობა ბურჟუაზიის კლასობრივ სახელმწიფოს პოლიციის აპარატს, გადასწყვიტა — გაენადგურებია გერმანიის პროლეტარიატის ავანგარდი აშკარა სამოქალაქო ომში. სოციალ - დემოკრატიის ხელები, ისევე, როგორც ნოსკეს დროს, შეიღება პროლეტარიატის სისხლით. სოციალ-დემოკრატია ამ სისხლს ვერ მოიშორებს. მაისის დღეებში დაღვრილი სისხლი თვალს უხელს მრავალ მილიონ მუშას, რომელნიც ნათლად ხედავენ თუ რა როლს თამაშობს ს.-დემოკრატია ყოველგვარი რევოლიუციონური მოძრაობის ჩაქრობაში, ახალი იმპერიალისტური ომის მომზადებაში — პირველ ყოვლისა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ — და კაპიტალისტური რაციონალიზაციის გატარებაში. ვედინგსა და ნეიკელნში ბარიკადებზე ფრიალებდა რევოლიუციონური ინტერნაციონალიზმის მებრძოლი წითელი დროშა. ეს დროშა მოუწოდებს სხვა ქვეყნების მუშათა კლასსაც — მოაწყოს ბრძოლის საერთაშორისო წითელი დღე, რომელიც ჩატარებულ უნდა იქნას 1 აგვისტოს, წითელი დღე არ იქნება უბრალო დემონსტრაცია, ეს იქნება გადამჭრელი დღე, როცა პროლეტარიატი საერთაშორისო ფრონტით გადავა კონტრ-შეტევაზე მსოფლიო კაპიტალის წინააღმდეგ. პროლეტარო, გამოდი ქუჩაში ფაშიზმის წინააღმდეგ, იმპერიალისტური ომის, პირველ რიგში კი საბჭოთა კავშირზე თავდასხმის წინააღმდეგ, საერთაშორისო სოციალ - დემოკრატიის — მუშათა კლასის ჯალათის წინააღმდეგ!“ (ადს).

კომპარტიის ხელმძღვანელობით

ბერლინი, 6 მაისი. გერმანიის ყველა ქალაქებში იმართება მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები, რომლებსაც ხელმძღვანელობს კომპარტია, ზოგიერთ შემთხვევაში მაშინაც კი, როცა დემონსტრაცია აკრძალულია. დრეზდენში გაიმართა მრავალრიცხოვანი კომუნისტური კრება, რომელიც გადაიქცა საპროტესტო მანიფესტაციად ბერლინის ამბების წინააღმდეგ. პოლიციამ კონფისკაცია უყო პროკლამაციებს. დააპატიმრეს რამდენიმე კაცი. (ადს).

ქუჩაში გამართული ბრძოლის მსხვერპლი

ბერლინი, 6 მაისი. ნეიკელნში ქუჩაში გამართულ ბრძოლის მსხვერპლთა შორის აღმოჩნდა ახალ - ზელანდიის ერთ-ერთი გაზეთის კორესპონდენტი მაკეი. მიუხედავად გაფრთხილებისა, მან არ დასტოვა ბრძოლის რაიონი, სადაც იგი მოკლულ იქნა. (ადს).

ჯავშნიანი ავტომობილები და ტყვია-მფრქვევები მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ

ბერლინი, 6 მაისი. ვედინგსა და ნეიკელნში საალყო წესების გამოცხადების შემდეგ პოლიციამ დაიწყო დაუზოგველი შეტევა იმ ქუჩებზე, სადაც მოწყობილი იყო ბარიკადები. ბრძოლაში მონაწილეობას იღებდნენ ჯავშნიანი ავტომობილები. პოლიცია ბარიკადებს განუწყვეტლივ უშენდა ტყვია-მფრქვევებს. სხვათაშორის, პოლიცია სარგებლობდა აგრეთვე ხელით სასროლი გრანატებით. პოლიციის მიერ მოკლულთა შორის არის 8 კაცი, რომელთაც არავითარი კავშირი არ ჰქონიათ ამბებთან; მათ შორის რამოდენიმე ქალია. პოლიციამ ალყა შემოარტყა რაიონებს, რომლებშიაც გამოცხადებული იყო საალყო წესები. ზოგიერთი სახლის აივანზე პოლიციამ ტყვია-მფრქვევები დადგა.

თვით ბურჟუაზიული გაზეთები, რომელნიც ჩვეულებრივად გააფთრებულ ანტიკომუნისტურ კამპანიას აწარმოებენ, ჰგმობენ პოლიციის მხეცურ მოქმედებას მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ. ბერლინის მუშათა მასების განწყობილებისათვის მეტად დამახასიათებელია ბურჟუაზიული გაზეთის „ცველფ ურ ბლატ“-ის კორესპონდენტის ცნობა მისი საუბრის შესახებ სოციალ-დემოკრატ მუშებთან. ამ მუშებმა განუცხადეს მას, რომ ბევრმა მუშამ, რომელიც პირველ მაისამდე სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრი იყო, დააბრუნა თავისი პარტბილეთი და შევიდა გერმანიის კომპარტიაში. (ადს).

პოლიციის სიმხეცე

ბერლინი, 6 მაისი. ბერლინის პროკურატურამ ბრძანება გასცა—არ დაასაფლაონ ბრძოლის დროს ქუჩებში მოკლულთა გვამები. დამარხვის ნებართვას მისცემენ გვამების განკვეთის შემდეგ.

მემარცხენე მუშური გაზეთები, რომელნიც გამოდიან ორშაბათობით, იუწყებიან, რომ პოლიცია ისროდა ისეთ ტყვიებს, რომლებიც სხეულში მოხვედრის შემდეგ სკდებიან. ორი მოკლულის განკვეთის დროს აღმოჩნდა, რომ მათი ჭრილობები მიყენებულია ასეთი ტყვიებისაგან.

5 მაისს ბერლინის ქუჩებში იყიდებოდა არალეგალური გაზეთის „როტე შტურბტაგე“-ს პირველი ნომერი. დააპატიმრეს გაზეთის რამდენიმე გამყიდველი. (ადს).

საპროტესტო გაფიცვა

ბერლინი, 6 მაისი. 4 მაისს ბერლინის ბევრ საწარმოში, განსაკუთრებით ლითონის მრეწველობაში, მოხდა საპროტესტო გაფიცვები პოლიციის მოქმედების წინააღმდეგ ვედინგსა და ნეიკელნში.

ჰალეში, ლითონის მრეწველობის თითქმის ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში, აგრეთვე სხვა საწარმოებში მოხდა ერთდღიური საპროტესტო გაფიცვა პოლიციის ტერორის წინააღმდეგ ბერლინში. ჰალეშივე გაიმართა დიდი საპროტესტო დემონსტრაცია. (ადს)

საალყო წესების გაგრძელება

ბერლინი, 6 მაისი. 4 მაისს საღამოთი ნეიკელნისა და ვედინგის ალყაშემორტყმულ რაიონებში ხელახლა გამოაცხადეს საალყო წესები. საღამოს 9 საათზე ყველა სახლში სინათლე ჩააქრობინეს და ფანჯრები ჩააკეტინეს. მთელ ღამეს მუშაობდნენ პროჟექტორები, რომლებიც პოლიციამ სახლების ბანებზე და აივნებზე მოაწყო. მთელი ალყაშემორტყმული რაიონი შემოვლებული იყო მავთულის ღობეებით. შუაღამისას ქუჩებში ძლიერი სროლა ისმოდა. პოლიციის ჯავშნოსნები ქუჩებში დადიოდნენ და სახლებს ტყვიამფრქვევებსა და თოფებს უშენდნენ. შუაღამის შემდეგ ალყაშემორტყმულ რაიონში პოლიციამ რამდენჯერმე სროლა ასტეხა.

პოლიციის ოფიციალური ცნობებით, შუაღამისას პოლიციელთა რაზმებმა აღმოაჩინეს ფრონტელთა წითელი კავშირის წევრთა კრება. კრება დაშალეს. მთელ ღამეს ალყაშემორტყმულ რაიონებში 100 კაცი შეიპყრეს.

ბერლინის მუშათა მასების აღშფოთება

ბერლინი, 6 მაისი. ბერლინის საწარმოთა წარმომადგენლების კრებას, რომელიც მოიწვია ცენტრალურმა საპირველმაისო კომიტეტმა, 302 საწარმოს დელეგატები დაესწრნენ.

სიტყვები წარმოსთქვეს საწარმოთა წარმომადგენლებმა, რომლებმაც კრებას აუწყეს ბერლინის მუშათა მასების აღშფოთება პოლიციის, მისი ხელმძღვანელების და აგრეთვე სოციალ - დემოკრატიული პარტიის ლიდერების საქციელის გამო.

ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ კომუნისტური ორგანოს „როტე ფანეს“-ს აკრძალვა და სისხლის ღვრა ბერლინში ადასტურებენ კაპიტალისტური შეტევის გაძლიერებას, რომელიც მიმართულია მუშათა კლასის კრებების მოწყობის უფლების წინააღმდეგ და რომელსაც მხარს უჭერს სოციალ - დემოკრატია.

ბერლინის საწარმოთა წარმომადგენლების კრება მოუწოდებს გერმანიის მუშათა კლასს —განაგრძოს ბრძოლა ბერლინის მუშების საარსებო მოთხოვნებათა დასაკმაყოფილებლად, ხოლო პოლიციის ტერორის მსხვერპლთა დასაფლავების დღეს უკანასკნელი სალამი უძღვნას დახოცილ ამხანაგებს. (ადს).

კომპარტიის ბერლინ - ბრანდენბურგის ორგანიზაციის კონფერენცია

ბერლინი, 6 მაისი. შესდგა კომპარტიის ბერლინ - ბრანდენბურგის ორგანიზაციის მრავალრიცხოვანი კონფერენცია. კონფერენციამ შეიმუშავა დირექტივები, რომლებიც სავალდებულოა პარტიის ყველა ორგანოსათვის: ბრძოლა ქუჩისათვის გრძელდება გაორკეცებული ძალ-ღონით, მაისის დამდეგს დახოცილთა დაკრძალვის დღე უნდა აღინიშნოს მძლავრი მანიფესტაციით და წამოყენებულ იქნას შემდეგი ლოზუნგები: ძირს პოლიციის ტერორი, ძირს სისხლისმსმელი სოციალ-დემოკრატია, ძირს რეფორმისტი შტრეიკბრეხერები და გამთიშველები, ძირს პოლიციის ტერორისა. შიმშილისა და ომის მთავრობა! იბრძოლეთ პროლეტარიატის დიქტატურისა და საბჭოთა კავშირისათვის! გაუმარჯოს მებრძოლი პროლეტარიატის მთლიან ფრონტს!

კონფერენციამ დაადგინა: ყოველგვარი საშუალებანი იქნას მიღებული, რომ დახოცილთა დაკრძალვის დღეს მუშები საწარმოებიდან წავიდნენ 2 საათზე, ხოლო ტრანსპორტის მუშებმა 15 წუთით შესწყვიტონ მუშაობა. თუ პოლიცია მთლიან მანიფესტაციას შეუძლებლად გახდის, მაშინ კრებები და მანიფესტაციები ცალკე რაიონებში მაინც უნდა მოხდეს. (ადს)

ჩხრეკა კომპარტიის ბინაზე

ბერლინი, 6 მაისი. პოლიციამ გაჩხრიკა კომპარტიის ბინა (ლიბკნეხტის სახელობის სახლი) წაიღეს დასაბეჭდი მასალა და ხელთნაწერები. (ადს)

ბერლინის ამბების გამოძახილი

პრაღა, 6 მაისი. შესდგა ქალაქის პროფკავშირთა კრება, რომლის მონაწილენი (200 კაცი) გაემართნენ გერმანიის მისიისაკენ, რათა მოეწყოთ საპროტესტო დემონსტრაცია ბერლინის ამბების გამო.

ასეთივე დემონსტრაციის მოწყობა განზრახული იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცეკას წინ.

პოლიციამ დემონსტრანტები გაფანტა. დააპატიმრეს 3 კაცი. 6 მაისს დანიშნული იყო კომუნისტური საპროტესტო მიტინგი ბერლინში მომხდარი სისხლის ღვრის წინააღმდეგ. პოლიციამ მიტინგი აკრძალა.

ლონდონი, 6 მაისი. ინგლისის კომპარტიამ გერმანიის კომპარტიას გაუგზავნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია:

„ინგლისის კომპარტია გერმანიის კომუნისტების სახით სალამს უძღვნის დასავლეთ ევროპის მუშათა კლასის ავანგარდს, ინგლისის მუშათა კლასის მებრძოლ ნაწილს საიმედო მოკავშირეს იმპერიალისტური ომის საფრთხის წინააღმდეგ ბრძოლაში“.

პარიზი, 6 მაისი. საფრანგეთის კომპარტიამ ბერლინის მუშებს გაუგზავნა დეპეშა, რომელშიაც სალამს უძღვნის მათ გმირულ ბრძოლას ბურჟუაზიისა და სოციალ-დემოკრატიის წინააღმდეგ. დეპეშაში ნათქვამია:

„საფრანგეთის კომპარტია, რომელიც გადადის მწვავე კლასობრივი ბრძოლის პერიოდში, მოუწოდებს საფრანგეთის პროლეტარიატს—მიბაძოს გერმანიის მუშათა კლასის მაგალითს“. (ადს).

რევოლიუციონური ორგანიზაციების დაშლა

ბერლინი, 6 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„ბავარიის შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოაცხადა, რომ წითელ ფრონტელთა კავშირი, აგრეთვე „როტე იუნგფრონტ“-ის კავშირი ყველა მათი ორგანიზაციით დაშლილიაო. დაშლილი ორგანიზაციების ქონებას კონფისკაცია უყვეს. (ადს).

გერმანიის გაზეთები წითელ ფრონტელთა დათვალიერების შესახებ.

ბერლინი, 6 მაისი. „ბერლინერ ცეიტუნგ ამ მიტაგ“-ი ათავსებს სხვების მიერ ნაკარნახევ ცნობას, რომელშიაც ნათქვამია:

„პრუსიის წითელფრონტელთა კავშირის აკრძალვა მოხდა გერმანიის ცენტრალური მთავრობის თანხმობით. გერმანიის დანარჩენი სახელმწიფოები უეჭველად მიბაძავენ პრუსიის მაგალითს. ამ შემთხვევაში საბოლოოდ აკრძალული იქნება სამების დღისათვის დანიშნული წითელფრონტელთა დათვალიერება, რომელიც, ჰამბურგში აკრძალვის შემდეგ, გადატანილ იქნა საქსონიაში. კავშირის სრულიად გერმანიის გამგეობაში, მისი ბერლინ-ბრანდენბურგის განყოფილების გამგეობაში, აგრეთვე კავშირის ყველა ქვედა საფეხურის ორგანიზაციაში კონფისკაცია უყვეს ინვენტარს და ქაღალდებს. კონფისკაცია უყვეს აგრეთვე კავშირის საბანკო საანგარიშო წიგნაკებს. (ადს).

ფრონტელთა წითელი კავშირის აკრძალვა

ბერლინი, 6 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა გრჟეზინსკიმ აკრძალა ფრონტელთა კომუნისტური წითელი კავშირი მთელ პრუსიაში“. (ადს)

უკანასკნელი ცნობები

საბჭოთა დელეგაციის წამოსვლა ჟენევიდან

ჟენევა, 7 მაისი. განიარაღების კონფერენციის მოსამზადებელი კომისიის საბჭოთა დელეგაცია გაემგზავრა მოსკოვისაკენ ბერლინის გზით (ადს).

ბრძანება წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლის შესახებ

ბერლინი, 7 მაისი. ზევერინგის წინადადებით, ჰამბურგის სენატმა გამოსცა ბრძანება წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლის შესახებ (ადს).

ბერლინი, 7 მაისი. წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლასთან დაკავშირებით მრავალ ადგილას მოხდა ჩხრეკა კავშირის, აგრეთვე კომპარტიის სადგომებში. ჰალეში, კელნში, კენიგსბერგში, ესენში და მრავალ სხვა ქალაქებში წითელ ფრონტელთა სადგომები დაიკავეს პოლიციის ძლიერმა რაზმებმა.

ვოლფის სააგენტოს ცნობა

ბერლინი, 7 მაისი. ვოლფის სააგენტო იუწყება: „სანდო ცნობებით, საქსონიის მთავრობამ დღეს გამოსცა ბრძანება წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლის შესახებ საქსონიაში. ანჰალტის მთავრობამ განაცხადა, რომ მას არა აქვს განზრახული კავშირის დაშლა“. (ადს).

კომუნისტური პრესის დევნა

ბერლინი, 7 მაისი. კომპარტიის ცენტრალურ ორგანოს „როტე ფანე“-ს აკრძალვის შემდეგ დაუყოვნებლივ დაიწყო პროვინციალური კომუნისტური გაზეთების დევნაც. მაგალითად, მაგდებურგში აკრძალეს კომუნისტური გაზეთი „ტრიბუნა“ ბერლინის ამბების შესახებ, მოთავსებული მოწინავე წერილისათვის (ადს).

„როტე შტურმ-ფანე“-ს მეორე ნომერი

ბერლინი, 7 მაისი. გუშინ საღამოს გამოვიდა „როტე შტურმ-ფანე“-ს (რომელიც „როტე ფანე“-ს მაგიერ გამოდის) მეორე ნომერი. გაზეთი წითელ ფრონტელთა კავშირის დაშლის გამო სწერს: „პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი სოციალ-დემოკრატი გრჟეზინსკი და გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრი სოციალ-დემოკრატი ზევერინგი კრძალავენ წითელ ფრონტელთა კავშირს იმიტომ, რომ ამ კავშირს თავის დროშაზე უწერია საბჭოთა კავშირის დაცვა. მაგრამ კავშირი არ დაუშვებს თავის დაშლას. ჩვენ არაფრად არ ვაგდებთ გრჟეზინსკისა და ზევერინგის ამკრძალველ ბრძანებას. მუშებისათვის წითელ ფრონტელთა კავშირი დაშლილი არ არის. პროლეტარიატის მებრძოლი ორგანიზაციები ინარჩუნებენ თავიანთ შემჭიდროებულ რიგებს“ (ადს).

უნგრეთის კომპარტიის საპირველმაისო მოწოდება

ვენა, 7 მაისი. ბუდაპეშტის გუშინდელი გაზეთები აქვეყნებენ იმ საპირველმაისო მოწოდების შინაარს, რომელსაც ავრცელებს უნგრეთის კომპარტია. მოწოდებას სათაურად აქვს: „უნგრეთის მუშებს“. მოწოდება მოაგონებს უნგრეთის პროლეტარიატს იმ საპირველმაისო დემონსტრაციას, რომელიც გამართა გამარჯვებულმა მუშათა კლასმა საბჭოების დიქტატურის დროს უნგრეთში, და მოუწოდებს მუშებს იბრძოლონ ხორტის და ბეტლენის რეჟიმის დასამხობად და უნგრეთში პროლეტარიატის დიქტატურის აღსადგენად. ამ მოწოდების გავრცელებასთან დაკავშირებით დააპატიმრეს 20 მუშა (ადს).

დაპატიმრებანი რუმინეთში

ვენა, 7 მაისი. საპირველმაისო მოწოდებათა გავრცელებასთან დაკავშირებით რუმინეთში გრძელდება მუშების დაპატიმრება. იასში დააპატიმრეს 16 მუშა იმისათვის, რომ ისინი ავრცელებდნენ მუშურ-გლეხური ბლოკის გაზეთის „დეზრობირეა“-ს სასწრაფო ნომრებს და პოლიციის აკრძალვის მიუხედავად გამართეს დემონსტრაცია წითელი დროშებით (ადს).

ავსტრიის კომპარტიაში გადასვლა

ვენა, 7 მაისი. როგორც „როტე ფანე“ იუწყება, ტადტენის (ბურგენლანდი) სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციამ, რომელიც შესდგება ღარიბი გლეხებისა და სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო მუშებისაგან, გამოაქვეყნა კოლექტიური განცხადება ავსტრიის კომპარტიაში გადასვლის შესახებ. ორგანიზაციის კომიტეტმა კოლექტიური გამოსვლა სოციალ - დემოკრატიული პარტიიდან დაასაბუთა პარტიის ცეკასთვის გაგზავნილ წერილში, რომელიც გამოქვეყნებულია „როტე ფანე“-ში. წერილში, სხვათა შორის, ნათქვამია: „ჩვენ, მუშები და ღარიბი გლეხები, სულელები ვიქნებოდით, რომ დავრჩენილიყავით სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში მხოლოდ იმისათვის, რომ ფაშისტების სანადირო ობიექტი ვყოფილიყავით. მხოლოდ კომუნისტური პარტია იბრძვის პროლეტარიატისათვის, როგორც ეს დიდი ხანია გამოაცხადეს მარქსმა და ენგელსმა, შემდეგ კი ამხ. ლენინმა. ჩვენ ვაფასებთ და პატივს ვცემთ ლენინს, ჩვენ გვიყვარს იგი და სიკვდილამდე მისი ერთგულნი დავრჩებით“. (ადს).

მუნიციპალური არჩევნები საფრანგეთში

პარიზი, 7 მაისი. საფრანგეთში მუნიციპალური არჩევნების დროს კომუნისტების უმრავლესობა ხელახლა არჩეულია 18 მუნიციპალიტეტში. ჩრდილოეთ დეპარტამენტში კომპარტიას პირველი ადგილი უჭირავს მიღებული ხმების რიცხვის მიხედვით ხუთ მუნიციპალიტეტში. დეპარტამენტ პა-დე-კალეს ოლქების უმრავლესობაშიაც კომპარტიას პირველი ადგილი უჭირავს. (ადს).

პირველი მაისი კოვნოში

რიგა, 7 მაისი. კოვნოდან მიღებული ცნობებით, პირველ მაისს იქ შესდგა მუშათა დემონსტრაცია. პოლიციამ სროლა აუტეხა დემონსტრანტებს. ბევრია მოკლული და დაჭრილი.

პოლიციის მსხვერპლნი

ბერლინი, 7 მაისი. „ახტ ურ აბენდბლატ“-ი აქვეყნებს მაისის ამბების დროს დახოცილთა გვამების განკვეთის შედეგებს. ამ შედეგების მიხედვით გამორკვეულია, რომ ყველა მოკლულნი დაიღუპნენ პოლიციელების სროლით და არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ კერძო პირს პოლიციელისათვის ესროლოს. ერთად ერთმა პოლიციელმა, რომელიც დაჭრილია სასროლი იარაღით, როგორც ეტყობა, თითონ დაიჭრა თავი. გაზეთი მოითხოვს უსასტიკეს გამოძიებას იმ პოლიციელთა საქმეზე, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა მკვლელობისათვის. (ადს).

პროფკავშირთა ეროვნებათაშორისო გაერთიანების ყრილობა

პრაღა, 6 მაისი. გაიმართა ჩეხო-სლოვაკიის პროფკავშირთა გაერთიანების ეროვნებათაშორისო მორიგი ყრილობა. ყრილობის პირველ დღეს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ მოხდეს წითელი პროფკავშირების რეორგანიზაცია საწარმოო პრინციპის მიხედვით და გადაქცეულ იქნან ისინი გაერთიანებად — „ჩეხო-სლოვაკიის წითელ პროფკავშირთა ცენტრი“. მეორე დღეს პოლიციამ დახურა ყრილობა და ძალით გასწმინდა სადგომი (ადს).

საპირველმაისო დემონსტრაციაზე

სტოკჰოლმი, 6 მაისი. კვირას გაიმართა საპირველმაისო დემონსტრაცია, რომელიც გადადებული იყო ცუდი ამინდის გამო. დემონსტრაციაში მონაწილეობა მიიღო 15.000 კაცმა. მათ შორის თითქმის ნახევარი მონაწილეობას იღებდა კომპარტიის დროშებით (ადს).

ძლიერი გრიგალი

ნიუ-იორკი, 6 მაისი. ვირგინიის შტატში გრიგალმა დაანგრია სკოლა. დაიღუპა 18 მოწაფე და ერთი მასწავლებელი. სხვა ადგილებში ძლიერმა ქარმა დაანგრია ბევრი სახლი. არის ადამიანის მსხვერპლი.

მოლაპარაკება ესტონეთ-საბჭ. კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების შესახებ

რეველი, 6 მაისი. დაიწყო მოლაპარაკება ესტონეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ. საბჭოთა კავშირის და ესტონეთის დელეგაციების პირველ პლენარულ სხდომაზე ურთიერთი მისალმებების შემდეგ არჩეულ იქნა საქმიანი კომისია, რომელიც დაუყოვნებლივ შეუდგა ესტონეთის მიერ წარმოდგენილ ხელშეკრულების პროექტის მუხლობრივ განხილვას. (ადს)

ახალი მთავრობა ავსტრიაში

ვენა, 6 მაისი. ავსტრიის პარლამენტმა 89 ხმით 59-ის წინააღმდეგ აირჩია ახალი მთავრობა, რომელსაც ხელმძღვანელობს შტრერუვიცი. ახალი კანცლერი შტრერუვიცი არის მრეწველი, მრეწველთა ბევრი ორგანიზაციის ხელმძღვანელი წევრი. შტრერუვიცი ქრისტიანულ-სოციალისტურ პარტიაში ეკონომიური საკითხების უდიდეს მცოდნედ ითვლება.

ბურჟუაზიული პრესის აზრით, ახალი კაბინეტი შინაპოლიტიკურად წარმოადგენს სოციალ-დემოკრატებთან თანამშრომლობის მთავრობას. საგარეო პოლიტიკაში მთავრობა განაგრძობს ზეიპელის მთავრობის პოლიტიკას.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის ორგანო „არბეიტერ ცეიტუნგ“-ი სწერს:

„სოციალ-დემოკრატები მზად არიან მთავრობასთან ერთად გადალახონ დაბრკოლებები და გადასჭრან აქტუალური საკითხები, თუ კაბინეტი არ მიბაძავს ყოფილ საკავშირო კანცლერის ზეიპელის მაგალითს სოციალ-დემოკრატებისადმი დამოკიდებულების საკითხში“. (ზეიპელი ანგარიშს არ უწევდა სოც-დემოკრატიას, როგორც პოლიტიკურ ფაქტორს).

კომუნისტური „როტე ფანე“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ შტრერუვიცის მთავრობა წარმოადგენს ფაშისტური კურსის განგრძობის და გაღრმავების განსახიერებას. ასეთი კურსი უზრუნველყოფილია ბოგუენის (სამხედრო მინისტრი ზეიპელის კაბინეტში) დატოვებით ახალი მთავრობის შემადგენლობაში. (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ანტირელიგიური მუშაობა „აღდგომის“ დღეებში

მოსკოვი, 7 მაისი. პირველი მაისის რიცხვებში ანტირელიგიური კამპანია მოსკოვში არაჩვეულებრივად გაცხოველდა. კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ საერთო შეტევამ თავისი გამოხატულება ჰპოვა ამ შემთხვევაშიაც. მოსკოვს არ ახსოვს ასეთი ძლიერი და ორგანიზაციულად მომზადებული იერიში სარწმუნოების ძველ გავლენის წინააღმდეგ. მუშათა ორგანიზაციები, სტუდენტობა და მოწაფეები მასიურად ჩაება ანტირელიგიურ კამპანიაში.

ხუთ მაისს ღამით გათენებამდე მუშაობდნენ კინოები, მოსკოვის ყველა მოედანზე და ცენტრალურ ქუჩებში გაიმართა მუშებისა და მოსწავლე ახალგაზრდობის მეტად საინტერესო კარნავალი. დემონსტრაციები ჩირაღდნებით ხელში და რევოლიუციონური სიმღერებით დადიოდნენ ქუჩებში. მოწყობილი იყო მრავალი მოძრავი ესტრადა, რომლებზედაც უჩვენებდნენ ანტირელიგიურ მოკლე პიესებს. განსაკუთრებით დიდი იყო ულმერთოების მუშაობა ეგრედ წოდებულ „მაცხოვრის ტაძართან“, სადაც მოსკოვის ძველი ბურჟუაზია და მათი დღევანდელი მაჩანჩალები იშვიათი ზეიმით იხდიდნენ „აღდგომის“ დღესასწაულს.

რუსეთის მწერლები მიემგზავრებიან უკრაინაში

მოსკოვი, 7 მაისი. ამ დღეებში მოსკოვიდან ხარკოვში, კიევში, ოდესაში და პოლტავაში მიემგზავრება რუსეთის მწერლების ერთი ჯგუფი. ეს მგზავრობა წარმოადგენს საპასუხო ვიზიტს. როგორც ცნობილია, წარსულ ზამთარში რუსეთის მწერლებთან მჭიდრო კავშირის გაბმის მიზნით მოსკოვში ჩამოვიდნენ უკრაინელი მწერლები.

წყალდიდობა მოსკოვში

მოსკოვი, 7 მაისი. ერთი კვირაა მდინარე მოსკოვი არაჩვეულებრივად არის ადიდებული. ყინული წყალს ჯერ კიდევ მთლიანად არ გაუტანია. ადგილ - ადგილ ყინულის ნამსხვრევები გროვდება, ისედაც დიდი რაოდენობით მომავალი წყალი გუბდება და ქუჩებზე გადმოდის. ბრიანსკის სადგურის მოედანი, დევიჩიეს მიდამოები და სხვა დაბლობი სანაპირო ადგილები დიდ საფრთხეში არიან. მიღებულია ყოველგვარი ზომები სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად. გამოყოფილია სარაიონო კომისიები წყალდიდობასთან საბრძოლველად. მორიგეობა მთელი დღის განმავლობაში სწარმოებს. სამხედრო ნაწილები და ცეცხლის მქრობელი რაზმები მომარაგებულნი არიან სპეციალური მოწყობილობით წყალთან საბრძოლველად.

მეფე გეორგ მეოთხის ქანდაკებას არ ინდობენ

მოსკოვი, 7 მაისი. მოსკოვის გაზეთებში მოთავსებულია დუბლინიდან (ირლანდია) მიღებული ცნობა იმის შესახებ, რომ იქ მესამედ ააფეთქეს მეფე გეორგ მეოთხის ქანდაკება. ორი წინა აფეთქების შემდეგ ქანდაკება ორივეჯერ აღდგენილ იქნა. უკანასკნელ დროს პოლიცია განსაკუთრებული სიფხიზლით იცავდა ქანდაკებას. მიუხედავად ამისა აფეთქება მაინც მოხდა მესამედ. გაბოროტებული პოლიცია შურს იძიებს: იჭვით დაპატიმრებულია რამდენიმე კაცი.

საქართველოს [illegible] ბიბლიოთეკა

ეროვნული

ა.-კ. საბჭოთა მე-5 ყრილობა

ყრილობის გახსნა

ორშაბათს, 6 მაისს, საღამოს გაიხსნა ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-5 ყრილობა.

ყრილობის პირველი სხდომა გახსნა ა.-კ. ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მ. ცხაკაიამ, რომელმაც მოკლე მიმოხილვა გაუკეთა ა.-კ. ცაკის ორი წლის მუშაობას და შეეხო ყრილობის წინაშე დასმულ ამოცანებს.

ამხ. მ. ცხაკაიას სიტყვა

ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-5 ყრილობას განაცხადა ამხ. ცხაკაიამ, ფრიად საპასუხისმგებლო მომენტში უხდება მუშაობა. ჩვენი ქვეყნის წინაშე გადასაწყვეტად სდგას ინდუსტრიალიზაციის, მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურ საფუძველზე გარდაქმნის ამოცანა. ეს ამოცანა მოითხოვს მთელი ჩვენი ძალების მობილიზაციას, რომ დავსძლიოთ ის სიძნელეები, რომელნიც წინ ეღობებიან ჩვენ მიერ სოციალისტური მშენებლობის გასაფართოებლად მიღებულ ღონისძიებებს. ბევრ ამხანაგში ის სიძნელე, რომელიც აუცილებელია ჩვენი ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ჩამორჩენილობის პირობებში, იწვევს მერყეობას და ორჭოფობას, რაც ხელს უშლის ჩვენს მუშაობას. ამით ისინი სამსახურს უწევენ საბჭოთა ხელისუფლების კლასიურ მტრებს, რომელთაც ძლიერი იერიში მოაქვთ მუშათა კლასის და ღარიბი გლეხობის წინააღმდეგ როგორც სოფლად, ისე ქალაქად. ჩვენი საბოლოო გამარჯვებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს თვით ჩვენ რიგებში ყოველგვარი ორჭოფობის და მერყეობის ალკვეთა, ძალების შეკავშირება და გაერთიანებული ფრონტით ბრძოლა ყოველ-გვარ დაბრკოლებათა გადასალახავად. ერთსულოვნებას და სიმტკიცეს ვუსურვებ ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-5 ყრილობას—მის წინაშე წამოჭრილ რთულ ამოცანების გადაწყვეტის საქმეში. (მქუხარე ტაში).

შემდეგ ყრილობა ირჩევს საქმიან პრეზიდიუმს, სამდივნოს, სამანდატო, სარედაქციო კომისიებს და საპატიო პრეზიდიუმს.

საპატიო პრეზიდიუმი

საპატიო პრეზიდიუმში ყრილობამ მქუხარე ტაშის ცემით აირჩია შემდეგი ამხანაგები: სტალინი, რიკოვი, ბუხარინი, მოლოტოვი, ვოროშილოვი, ტომსკი, რუძუტაკი, კალინინი, კუიბიშევი, ორჯონიკიძე, კიროვი და მიქოიანი.

დღის წესრიგი:

ყრილობამ დამტკიცა შემდეგი დღის წესრიგი: 1. ამიერ-კავკასიის მთავრობის საანგარიშო მოხსენება; 2. ამიერ-კავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების 5 წლიანი გეგმა; 3. მოხსენება ა.-კ. სასოფლო მეურნეობის განსავითარებლად მისაღებ ღონისძიებების შესახებ; 4. მოხსენება ამიერ-კავკასიის დარაიონების შესახებ; 5. ა.-კ. საბჭოთა მე-4 ყრილობის შემდეგ მიღებულ დეკრეტების და დადგენილებების დამტკიცება; 6. საკონსტიტუციო საკითხები; 7. ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის არჩევა; 8. საბჭოთა სრულიად საკავშირო მე-5 ყრილობის დელეგატთა არჩევა.

მისალმებანი ყრილობას

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ ყრილობას პატაკით წარუდგა ა.-კ. ცაკის შეფობის ქვეშ მყოფ ცხენოსანთა ბრიგადის უფროსი ოლენევი და ა.-კ. ცაკის შეფობის ქვეშ მყოფ შავი ზღვის ფლოტის კრეისერის „კომინტერნის“ წარმომადგენელი. ორივე საშეფო ერთეულის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამხედრო ვარჯიშობა წარმატებით მიმდინარეობს, რომ ორივე სამხედრო ერთეული ყოველ წუთს მზად არის საჭიროების დროს პირველ მოწოდებისთანავე აისხას იარაღი მუშათა სახელმწიფოს მტრების თავდასხმის მოსაგერიებლად. მათ სიტყვას ფარავს მქუხარე ტაში.

შემდეგ უკრაინიდან გადმოფრენილ კომკავშირელ ახალგაზრდობის და მთელი უკრაინელი მშრომელი ახალგაზრდობის სახელით ყრილობას მიესალმა უკრაინის კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. გოლუბი, რომელმაც თავის მისასალმებელ სიტყვაში ხაზი გაუსვა მეფის დროს ჩაგრულ ერთა სამეურნეო და კულტურულ აღორძინების სწრაფ ტემპს საბჭოთა პირობებში.

ამის შემდეგ ყრილობა შეუდგა საქმიანობას.

ა.-კ. მთავრობის საანგარიშო მოხსენება

მომხსენებელი ამხ. შ. ელიავა

ამიერ-კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავა მოხსენებას იწყებს საერთაშორისო მდგომარეობის მიმოხილვით.

საერთაშორისო მდგომარეობა

საერთაშორისო ასპარეზზე, ამბობს მომხსენებელი,—ერთი-მეორეს უპირდაპირდება ორი ძალა—სოციალისტური ქვეყნის ძალები და მეორე მხრით ის ძალები, რომელნიც ამ ქვეყანას გარს შემორტყმიან,—საერთაშორისო ბურჟუაზიის ძალები. ეს ორი ძალა ეჯიბრება არა მარტო ომისა, ან მშვიდობიანობისათვის ბრძოლის ფრონტზე, არამედ კაცობრიობის მოქმედების ყველა სფეროში.

ჩვენი ქვეყანა იცავს მშვიდობიანობის ლოზუნგით და დღიდან თავისი არსებობისა იგი ახორციელებს ამ ლოზუნგს. საბჭოთა კავშირი ყოველგვარ საშუალებებით იბრძვის საერთაშორისო მშვიდობიანობისათვის. ამის საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს წარმოადგენს საბჭოთა მთავრობის მიერ დადებული მთელი რიგი ხელშეკრულებები და შეთანხმებები, რომელთაც საფუძვლად უდევს ერთი მეორეზე თავდაუსხმელობის პრინციპი, ასეთი ხელშეკრულებები დავდევით ჩვენ აღმოსავლეთის სახელმწიფოებთან, გერმანიასთან, ხოლო უკანასკნელად საბჭოთა დიპლომატიამ მიაღწია იმას, რომ ჩვენმა უახლოესმა მეზობლებმა დასავლეთის მხრიდან ხელი მოაწერეს კელოგის პაქტს. ჩვენს მშვიდობიანობას არა ნაკლებ მეტყველობით მოწმობს საბჭოთა დიპლომატიის ბრძოლა განიარაღების კონფერენციის მომზადებელ კომისიის სესიაზე ჟენევაში, სადაც ერთი-მეორეს ეჯახება საბჭოთა კავშირის მშვიდობიანი პოლიტიკა და ბურჟუაზიული ქვეყნების გაერთიანებული ფრონტი, რომელსაც არ სურს მიიღოს საბჭოთა კავშირის განიარაღების პროექტის არც ერთი ვარიანტი, როგორც მშვიდობიანობის ერთად-ერთი გარანტია.

ეს ბუნებრივიც არის, რადგან არც ერთს კაპიტალისტურ სახელმწიფოს გულწრფელად არ სურს მშვიდობიანობის დამყარება. პირიქით ისინი ემზადებიან ახალი ომისათვის, მსოფლიოს ხელ-ახალი გადაყოფისათვის.

ამ სახელმწიფოებს შორის ყველაზე რეაქციონურ ძალას წარმოადგენს დიდი ბრიტანეთი, რომელიც გამარჯვებული გამოვიდა მსოფლიო ომიდან და რომელსაც ეხლა უპირდაპირდება, როგორც მოწინააღმდეგე, ამერიკის შეერთებული შტატები. ამ უკანასკნელის იმდენად განვითარა თავისი მრეწველობა, რომ არ ჰყოფნის ამჟამად მის გავლენის ქვეშ მოქცეული ბაზრები და ეძებს ახალ ადგილებს თავის საქონლის გასასაღებლად.

ა. შ. შტატების მიერ წამოსროლილი ზღვების თავისუფლების ლოზუნგი და თვით კელოგის პაქტი წარმოადგენს ერთ-ერთ საშუალებას სხვა სახელმწიფოების და, მათ შორის, ინგლისის განსაიარაღებლად და ამერიკის ბატონობის განსამტკიცებლად მსოფლიო ბაზარზე. ინგლისი ერთი ხელით ღებულობს კელოგის პაქტს, ხოლო მეორე ხელით ახალ-ახალ სახელმწიფოებს რაზმავს ამერიკის წინააღმდეგ. ინგლის-საფრანგეთის საიდუმლო შეთანხმება, მოლაპარაკება ასეთივე შეთანხმების დასადებად ინგლის-იაპონიის შორის, მოწმობს იმას, რომ ინგლისი ქმნის ახალ ბლოკს ამერიკის წინააღმდეგ და ამზადებს პირობებს ახალი ომისათვის.

იგივე ინგლისი სათავეში უდგას ანტი-საბჭოთა პოლიტიკას. იგი სცდილობს საბჭოთა კავშირს გარს შემოარტყას მტრულად განწყობილი სახელმწიფოები და ამ მიზნით აწყობს ის, სადაც შესაძლებელია, რეაქციონურ გადატრიალებას. ამის საუკეთესო მაგალითია ავღანისტანის ამბები. ჯერ-ჯერობით აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოებში ინგლისის ასეთმა პოლიტიკამ მისთვის სასურველი ნაყოფი ვერ გამოიღო. ინგლისმა ვერ შესძლო საბჭოთა კავშირის იზოლიაცია, მან ვერ მიაღწია ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებულ ფრონტს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თვით ინგლისშიაც იზრდება მოძრაობა სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობის აღსადგენად ჩვენს ქვეყანასთან. ინგლისის ნავთის მრეწველთა ძლიერმა ჯგუფმა, რომელიც გააფთრებული იბრძოდა ჩვენს წინააღმდეგ, ქედი მოიხარა ჩვენ მიერ წაყენებულ პირობების წინაშე და ხელი მოაწერა ჩვენს ხელშეკრულებას. ხოლო ამას წინად ჩვენს ქვეყანაში ჩამოსული ინგლისის ვაჭარ-მრეწველთა დელეგაცია, რომელიც გაეცნო ჩვენი ქვეყნის მდგომარეობას, მის ბაზარს,—დარწმუნდა, რომ სავაჭრო ურთიერთობაზე მეტია ლაპარაკი, თუ წინასწარ არ შეიქმნა ნორმალური პოლიტიკური ურთიერთობა ინგლისსა და საბჭოთა კავშირს შორის.

საბჭოთა კავშირთან დაახლოვების ტენდენციები ძლიერდება ამერიკაშიც, რომელთანაც ჩვენ დავდევით მნიშვნელოვანი ხელშეკრულება. ამერიკაში ინტერესი ჩვენი ქვეყნისადმი იმდენად გაიზარდა, რომ ამ მოკლე ხანში იქიდანაც მოემგზავრება ვაჭარ-მრეწველთა დელეგაცია. ეს ფაქტები აშკარად მოწმობს, რომ ინგლისის ცდა—გაამარტოოს და გააცალკეოს პოლიტიკურად და ეკონომიურად ჩვენი ქვეყანა,—მარცხით თავდება.

მეორე მხრით ჩვენ ხელს ვერ დავაფარებთ იმ გარემოებას, რომ ურთიერთობა ამერიკას და ინგლისს შორის დღითი-დღე მწვავდება, რომ თანდათან უფრო აშკარა ხდება მათი მზადება საბოლოო ძალთა შეწონვისათვის. ჩვენ ამ გამწვავებული ურთიერთობის პერიოდში ვცხოვრობთ და ვმუშაობთ. ჩვენ ვცდილობთ ვისარგებლოთ და სავსებით გამოვიყენოთ ეს შესვენების დრო, რომ ჩვენი მოქმედების ყველა დარგებში მომზადებული დავხვდეთ მოსალოდნელ გართულებას.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობა

შემდეგ მომხსენებელი ახასიათებს საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობას.

აქედან გაქცეული რუსი ეკონომისტები,—ამბობს ამხ. ელიავა,—ვერ მალავენ ჩვენს მიღწევებს სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, მაგრამ თავს იმითი ინუგეშებენ, რომ საბჭოთა კავშირი თანდათან უახლოვდება ეკონომიურ და სოციალურ წინააღმდეგობათა გამოუვალ ჩიხს, მათი აზრით, ეს წინააღმდეგობა ბოლოს და ბოლოს დაღუპავს პროლეტარიატის დიქტატურის ქვეყანას. საბჭოთა კავშირის საგეგმო კომისიის მიერ დამუშავებული უტყუარი ციფრები მოწმობენ, თუ რამდენად საფუძვლიანია ჩვენი მოწინააღმდეგების იმედი საბჭოთა კავშირის „მოახლოვებული აღსასრულის“ შესახებ.

ეს ციფრები კი გვეუბნება შემდეგს: ჩვენი ქვეყნის მრეწველობა სამოქალაქო ომის დასასრულს დაეცა 20 პროცენტამდე, სასოფლო მეურნეობა 45 პროცენტამდე, ფულის სისტემა მოიშალა, ბაზარი გაუქმდა—ასეთ პირობებში შეუდგა საბჭოთა ხელისუფლება სახალხო მეურნეობის აღდგენას და 6—7 წლის განმავლობაში მიაღწია შემდეგს: თუ 1913 წელს რუსეთის სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქცია უდრიდა 20 მილიარდ მანეთს, (კერძოდ მრეწველობის პროდუქცია—8.433 მილიონ მანეთს), 1927—28 წელს სახალხო მეურნეობის საერთო პროდუქციის ღირებულებამ მიაღწია 22,800 მილიონ მანეთს, აქედან მრეწველობის 10,800 მილიონ მანეთს, სასოფლო მეურნეობის—12,260 მილიონ მანეთს. სახალხო მეურნეობის ყველა ძირითად დარგებში ჩვენ გაუთანასწორდით ომის წინა დროინდელ დონეს. თუმცა არის ისეთი დარგები, რომელიც ჩვენი სახალხო მეურნეობის ვიწრო ადგილებად ჩაითვლებიან. ასეთია თუჯის წარმოება, რომელიც ჯერ კიდევ ვერ აღწევს ომის წინანდელ დროის დონეს და რომელიც ვერ აკმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას. პირველი მოხმარების საგნების წარმოება სავსებით აღდგენილია და ალაგ-ალაგ სჭარბობს წინანდელ დონეს. გვაქვს აგრეთვე დიდი წარმატება ტრანსპორტის დარგში. სადაც ზრდა უკვე 30 პროცენტს აღწევს; ხელფასის ზრდა, რომელიც ქვეყნის ეკონომიური წარმატების მაჩვენებელია, უდრის საშუალოდ 80 პროც. ომის წინა დროსთან შედარებით გადიდებულია 5 პროცენტით მთელი სახალხო შემოსავალი. ყველა ეს მიღწევა შედეგია იმ სამეურნეო პოლიტიკის, რომელსაც ატარებდა საბჭოთა ხელისუფლება. ეს პოლიტიკა კი ითვალისწინებს ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას, სოციალისტური სექტორის გაძლიერებას სახალხო მეურნეობის ყველა დარგებში.

ამიერ-კავკასიის მრეწველობა

რაც შეეხება ამიერ-კავკასიას, აქაც სოციალისტური მშენებლობა იმავე ლოზუნგით მიმდინარეობს, როგორც საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებში. აქაც ჩვენ ვაწარმოებთ სახალხო მეურნეობის სოციალისტურ რეკონსტრუქციას ინდუსტრიალიზაციის საფუძველზე. ამ ამოცანის გადაჭრა ჩვენში უფრო ძნელია, რადგან ჩვენ, თუ ნავთისა და მარგანეცის მრეწველობას არ მივიღებთ მხედველობაში, კაპიტალისტებიდან მემკვიდრეობა არ მივვიღია. ჩვენ მუშაობის დაწყება მოგვიხდა სრულიად სუფთა ადგილზე.

წინასწარ პირობათ ჩვენი მრეწველობის განვითარებისათვის ჩავსთვალეთ წყლის ენერგიის გამოყენება და ამ მიზნით შეუდექით ელექტრო - მშენებლობას. ამჟამად ჩვენ უკვე გვაქვს მთელი რიგი სარაიონო სადგურები, რომელნიც წლიურად რამოდენიმე ასეულ მილიონ კილოვატ საათს ამუშავებენ. 5 წლის განმავლობაში კიდევ ამ საქმეზე უნდა დაიხარჯოს 122 მილიონი მანეთი. 1926—27 წელს ელექტრო-ენერგიის წარმოება უდრიდა 374.700 კილოვატ საათს. 1927—28 წელს 411.500 კ. საათს. 1928—29 წელს მიაღწევს 519.500 კილ. საათს. ამის და მიხედვით იზრდებოდა ენერგიის მოხმარება, რომელმაც 1927—28 წ. მიაღწია 345 მილიონ საათს, ხოლო 1928—29 წელს 430.500 კილოვატსაც გადააჭარბებს.

ვითარდება ჩვენი ტრანსპორტი, რკინისგზის ქსელი გაფართოვდა, შესამჩნევად გაიზარდა კაპიტალური დაბანდებაც, შენდება შავი ზღვის და ჯულფის რკინის-გზები, პირველი მათგანი თბილისსა და სამხრეთ-რუსეთ შორის გასავლელ მანძილს შეამცირებს 800 კილომეტრით. ამავე დროს იზრდება ტვირთ-ზიდვა, რომელმაც უკვე გადააჭარბა რამოდენიმე ათეული პროცენტით წინანდელ დონეს. თანდათან კლებულობს უბედურ შემთხვევათა რიცხვი, რაც ტრანსპორტის გაჯანსაღებით აიხსნება. უკანასკნელ ხანებში ტეხნიკის უკანასკნელ სიტყვის მიხედვით აშენდა მთავარ პუნქტებზე საცივარები, რომელნიც გაადიდებს ჩვენი რკინის-გზის ტვირთ-ბრუნვას.

ამიერ-კავკასიის ტოპოგრაფიულ პირობებში უდიდესი მნიშვნელობა აქვს არა სალიანდაგო ტრანსპორტს,— გზა-ტკეცილებს. ბიუჯეტით გადადებული თანხები საგზატკეცილო მშენებლობისათვის წლიდან - წლამდე მატულობს, ამავე დროს ცხოვრებაში ტარდება საგზაო ბეგარა, რომლის ძალით ყოველი სოფლელი მოქალაქე ვალდებულია საგზაო მშენებლობას მოახმაროს 7 დღე წელიწადში.

შევაკეთეთ ჩვენი ნავთსადგურები და ვაშენებთ ახალ ნავთსადგურს სოხუმში. იზრდება ავტო - ტრანსპორტი, რომელიც ამჟამად ამუშავებს 346 მანქანას.

უფრო ინტენსიური ტემპით ვითარდება ჩვენში მრეწველობა. სოციალისტური მრეწველობის ხვედრითი წონა ჩვენს ეკონომიკაში თანდათან ძლიერდება. მრეწვ. საერთო პროდუქცია 1927—28 წელს უდრიდა 488 მილ. მან., ესე იგი 66,3 პროც., ხოლო სასოფლო მეურნეობის საერთო პროდუქცია 249 მილიონ მანეთს, ესე იგი 33,7 პროც.

მძიმე ინდუსტრიის განვითარებას ამიერ-კავკასიაში ჩვენ ეხლა ვიწყებთ. წინასწარი პირობები,— ამისთვის ჩვენ უკვე გვაქვს. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე საშუალებას გვაძლევს, რომ მშენებლობა მძიმე ინდუსტრიის დარგში ჩქარი ტემპით ვაწარმოვოთ. ეს ასეც ხდებოდა დღემდე. კაპიტალური დაბანდებანი მრეწველობის ახალ დარგებზე (ნავთის გამოკლებით) 1926 —27 წელს შეადგენდა 24.558 ათას მანეთს; 27—28 წ. 45.865 ათას მანეთს, 28—29 წ. 62.555 ათას მანეთს. სულ 4 წელში კაპიტალური დაბანდება შეადგენს 156 მილიონ მანეთს; ნავთის მრეწველობასთან ერთად 570 მილიონ მანეთს. ამგვარად ახალ მშენებლობაზე უამრავი თანხები იხარჯება.

ყოველწლიური მატება (ПРИРОСТ) ჩვენს მრეწველობაში უდრის 22 პროც., მაშინ, როცა გერმანიასა და ამერიკაში იგი 10 პროცენტს არ აღემატება. განვითარებასთან დაკავშირებით იზრდება მუშა-ხელის რაოდენობა, რომელმაც გასულ 1927—28 წლის განმავლობაში ათი ათასით მოიმატა, ხოლო მიმდინარე წელს მიემატება კიდევ 8 ათასი.

ჩვენი მრეწველობის ერთ მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მან ვერ მიაღწია თვითღირებულების შემცირებას 10 პროცენტამდე, თუმცა შრომის ნაყოფიერებამ უკანასკნელ წლების განმავლობაში მოიმატა. ჩვენი მორიგი ამოცანაა— გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, უფრო ჩქარი ტემპით შევამციროთ თვითღირებულება, რასაც ჩვენ მივაღწევთ შრომის დისციპლინის განმტკიცებით.

7 საათიან სამუშაო დღეზე დღემდე ჩვენ გადავიყვანეთ ჩვენი საწარმოთა 10 პროც. მრეწველობის განვითარებას ჩვენში აბრკოლებს აგრეთვე კვალიფიციური მუშა-ხელის და მაღალი ტეხნიკური ძალების ნაკლებობა. დღემდე ასეთ მუშა-ხელის და ტეხნიკური პერსონალის მომზადება ნელი ტემპით მიმდინარეობს. ჩვენ ეს ტემპი აუცილებლად უნდა დავაჩქაროთ, რომ არ ჩამოვრჩეთ მრეწველობის ზრდას. ამ უახლოეს წლებში ჩვენ განზრახული გვაქვს შემდეგი სამუშაოების დაწყება: ტყვარჩელის ბუდობების ექსპლოატაცია, ტყიბულის მაღაროების რეკონსტრუქცია, დაქსენის მადნების დამუშავება, ფერო-მარგანეცის ქარხნების აგება, ფერად ლითონების დამუშავება, აზოტის, ქიმიური ქარხნების მოწყობა და სხვა. ჩვენს მუშაობას დღემდე ახასიათებდა უგეგმობა, სამუშაოების პროექტების წინასწარ დაუმუშავებლობა, მშენებლობის სიძვირე და ნელი ტემპი. ეს ბუნებრივი მოვლენა იყო, რადგან ჩვენ ვეჩვეოდით და შეცდომებზე ვსწავლობდით მუშაობას, მაგრამ შემდეგში ასეთი მუშაობა მრავალი შეცდომებით შეუწყნარებელი და გაუმართლებელია.

სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის განვითარებას ამიერ-კავკასიაში წინ ეღობება მრავალი ობიექტიური გარემოება: მიწების დაქსაქსულობა, მეტის - მეტი აგრარული სიჭარბე, მუშა-საქონლის ნაკლებობა და მიწის დამუშავების პრიმიტიული ფორმები. საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა მიმართულია იქითკენ, რომ სოფლის მეურნეობამ თავი დააღწიოს ამ ობიექტიურ დაბრკოლებებს.

მიწის სივიწროვის აღსაკვეთად ჩვენ ხელი მოვკიდეთ ირიგაციას, პირველ წელშივე დავიწყეთ საირიგაციო სამუშაოები, რადგან წყლის რესურსების გამოყენებით ჩვენ შესამჩნევათ შეგვიძლია გავადიდოთ მიწის სასარგებლო ფართობი. 1926 წ. ამ საქმეზე დავხარჯეთ 6 მილიონი 136 ათასი მანეთი, 1927 წ.—8.125 ათას მანეთი; 1928 წ. 9.700 ათასი მანეთი; 1929 წ. ვხარჯავთ 11.060 ათას მანეთს. ამავე წელს წყლის საქაჩავების მოსაწყობად იხარჯება 1.700 ათასი მანეთი.

მეორე ღონისძიებას ჩვენი სოფლის მეურნეობის განსავითარებლად წარმოადგენს მისი მექანიზაცია. ყოველწლიურად იზრდება გაუმჯობესებულ სასოფლო სამეურნეო მანქანათა მიწოდება. სასოფლო მეურნეობის მექანიზაციაზე 26 წელს დავხარჯეთ 582.408 მანეთი, 28 წ. 1.720 ათასი მანეთი, ხოლო 1929 წ. დაიხარჯება 2.759 ათასი მანეთი. მაგრამ სოფლის მეურნეობის მექანიზაცია ნაყოფს ვერ გამოიღებს, თუ ისევ დარჩა მიწის დაქსაქსულობა, რადგან მანქანის გამოყენება მიწის პატარა ნაჭერზე შეუძლებელია. ამიტომ მთავარი ყურადღება ექცევა ჩვენი სოფლის კოლექტივიზაციას. ჩვენი ქვეყნის შემდგომი განვითარება აუცილებლად გვკარნახებს კოლექტივიზაციის გაძლიერებას. ამ მიმართულებით ჩვენ ბევრი რამ გასაკეთებელი გვაქვს. ჯერ-ჯერობით ამიერ - კავკასიაში არის მხოლოდ 56 საბჭოთა მეურნეობა და 1168 — კოლექტიური მეურნეობა, რომელიც აერთიანებს 22 ათას მეურნეს 23.000 ჰექტარი მიწით, ე. ი. 2,2 პროც-ს. ეს ძალიან მცირე პროცენტია და ჩვენ უნდა გავაძლიეროთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპი.

მიწადმოწყობა ჩვენ უნდა შევუფარდოთ კოლექტიურ მშენებლობას. მიწადმოწყობის დღემდე არსებული სისტემა უკუგდებული უნდა იქნეს და უპირატესობა მიეცეს ჯგუფურ მიწადმოწყობას, რომელიც აადვილებს მეურნეთა გადასვლას მიწის კოლექტიურ დამუშავებაზე. უნდა გამოვიყენოთ კონტრაქტაცია, რომლის საშუალებით გლეხობას შეგვიძლია შევასწავლოთ მიწის კულტურული დამუშავება და გავაძლიეროთ მათი კოოპერატიული შეკავშირება.

მესაქონლეობას ამიერ - კავკასიის სოფლის მეურნეობაში დიდი ადგილი უჭირავს, მისი ხვედრითი წონა 31,9 პროცენტს უდრის. მის შემდგომ განვითარებას აბრკოლებს საკვების ნაკლებობა. საირიგაციო მუშაობის გაძლიერებით ჩვენ უნდა გავადიდოთ სათიბების ფართობი და ამით შევქმნათ ხელსაყრელი პირობები მესაქონლეობის განვითარებისათვის.

ამავე დროს ჩვენ უნდა ვიზრუნოთ მარცვლეული კულტურის გავრცელებისათვის, რომ ამ კულტურის ფართობის და აგრეთვე მოსავლიანობის გადიდებით შევამციროთ ჩვენი ქვეყნის პურეულის დეფიციტი, რომელიც ამჟამად იმდენია, რამდენიც ომამდე იყო. ნათესების სივრცე გასულ წელთან შედარებით წელს 5 პროცენტით არის გადიდებული.

მარცვლეული კულტურის ფართობის გადიდებას თან უნდა სდევდეს ტეხნიკურ კულტურათა გავრცელება. ამ მხრივ ჩვენ მიერ უკვე გადადგმულია პრაქტიკული ღონისძიებები. აზერბეიჯანში და სომხეთში ფართოვდება ბამბის, ბრინჯის, თამბაქოს ნათესების სივრცე, ხოლო საქართველოში ჩაის პლანტაციების თამბაქოს და სხვ. კონტრაქტაცია უმთავრესად ჩვენში ვრცელდება ტეხნიკურ კულტურებზე.

ამიერ - კავკასია მდიდარია ტყეებით, მაგრამ ისინი მოუწყობელია და ცუდათ არის დაყენებული მათი ექსპლოატაციის საქმე. ჩვენი მორიგი ამოცანაა მათი მოწყობა და წესიერი ექსპლოატაცია, რაც ჩვენს ბიუჯეტს დიდ შემოსავალს მისცემს.

ჩვენი სოფლის მეურნეობისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ახალ სასოფლო- სამეურნეო გადასახადს, რომელიც დიდ შეღავათებს აძლევს საშუალო შეძლების მეურნეებს თუ კი ისინი ხელს მოკიდებენ თავის მეურნეობის გაუმჯობესებას და აღდგენას. არანაკლები მნიშვნელობა აქვს სახელმწიფო დაზღვევას, რომელსაც ამჟამად ბევრი ნაკლი ახასიათებს, რაც მოითხოვს დაუყოვნებლივ გამოსწორებას.

ვაჭრობა

დიდი მიღწევები გვაქვს ჩვენ საქონლის ბრუნვაში. ვაჭრობის დარგში სოციალისტური სექტორი თანდათან დევნის კერძო კაპიტალს. გასულ წელს სახელმწიფო ვაჭრობის ბრუნვა უდრიდა 350 მილიონ მანეთს, კოოპერაციის — 459 მილიონ მანეთს, კერძო კაპიტალის — 342 მილიონ მანეთს. სამომხმარებლო კოოპერაცია ამჟამად ქალაქში აკავშირებს მოსახლეობის 40 პროცენტს, ხოლო სოფლებში საშუალოდ — 23 პროცენტს.

ჩვენი ქვეყნის ერთი უბედურება ის არის, რომ ჩვენ ვერ მოვსპეთ უმუშევრობა, რომელიც მატულობს, მაგრამ უნდა ითქვას, რომ კვალიფიციურ სამრეწველო მუშებს შორის უმუშევრობას ადგილი არა აქვს. უმუშევრობის წყაროს უმთავრესად წარმოადგენს სოფლიდან სამუშაოდ წამოსული მუშა ხელი და ახალგაზრდობა, რომელსაც უშვებენ ჩვენი სასწავლებლები. ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ავღკვეთეთ შეუსაბამობა ჩვენ მოთხოვნილებებსა და ჩვენ სასწავლებლებს შორის. ჩვენი საშუალო და უმაღლესი სასწავლებლები დღემდე ვერ გვაწვდიან ჩვენი მეურნეობისათვის საჭირო ძალებს, რაც მათი ჰუმანიტარული ხასიათით აიხსნება. შეუფერებელია ჩვენი საჭიროებებისათვის უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტთა რაოდენობა. იმ დროს, როდესაც გერმანიასა და ამერიკაში ყოველ 2 ათას მცხოვრებზე მოდის ერთი სტუდენტი, ამიერ - კავკასიაში ყოველ 350 მცხოვრებზე მოდის ამდენივე. ჩვენ ეს შეუსაბამობა უნდა მოვსპოთ.

ბიუჯეტი

შემდეგ მომხსენებელი ეხება ბიუჯეტს და ამბობს, რომ წლიდან წლამდე ჩვენი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტიანობა მცირდება, ბიუჯეტის შემოსავლის საგადასახადო ნაწილი კლებულობს და სამაგიეროთ მატულობს არასაგადასახადო ნაწილი; მცირდება სამმართველო - სააპარატო ხარჯები და მის ხარჯზე დიდდება სამეურნეო საჭიროებაზე გაღებული თანხები. თუმც სამეურნეო-ადმინისტრატიული ხარჯების შემცირება ჯერ სავსებით გატარებული არ არის, ჩვენ შევსძელით მხოლოდ ფაქტიურად ხარჯების 8 პროცენტით შემცირება, რაც საკმაო არ არის და რაც სვამს საკითხს მუშაობის გაძლიერების შესახებ ამ მიმართულებით.

ამავე დროს დგას საკითხი ჩვენი აპარატის გაჯანსაღების შესახებ. იგი ჯერ კიდევ დაავადებული არის ბიუროკრატიზმის სენით, რომელსაც ასაზრდოებს წარსული რეჟიმის მემკვიდრეობა. ჩვენ უნდა გავასუფთაოთ ჩვენი აპარატი ამ ელემენტებისაგან და შევავსოთ იგი საუკეთესო, კლასობრივად გათვითცნობიერებული მუშებით და გლეხებით.

დასკვნა

ასეთია ჩვენი მუშაობა და ჩვენი მორიგი ამოცანები სამეურნეო და პოლიტიკური საქმიანობის სფეროში. რამდენადაც ჩვენ ვძლიერდებით, რამდენადაც სოციალისტური მშენებლობა იმარჯვებს, იმდენად უფრო მწვავდება ურთიერთობა ჩვენსა და ჩვენ მოწინააღმდეგებს შორის, კლასობრივი ბრძოლა უფრო გაცხარებულ ხასიათს ღებულობს. ნაციონალურ რესპუბლიკებში ეს ბრძოლა ეროვნულ ნიადაგზე გადადის და ჩვენ კლასიურ მოწინააღმდეგეებში აძლიერებს შოვინისტურ განწყობილებას. მათი წინააღმდეგობა ჩვენთვის საშიში არ არის, თუ ჩვენ მას წინასწარ ორგანიზაციულად დარაზმულნი შევხვდებით. ჩვენ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მათთან ბრძოლა და ყველა სიძნელეების დაძლევა მძიმე საქმე არ იყოს. სოციალისტური მშენებლობა უფრო დიდი და ძნელი ასატანი საქმეა, ვიდრე სამოქალაქო ომი. სოციალისტური მშენებლობისათვის არანაკლები ხალისი, ენერგია და პათოსია საჭირო. მე ვუსურვებ ამხანაგებს იმავე ენერგიასა, ხალისს და მხნეობას, როგორითაც აღჭურვილნი იყვნენ ჩვენი ამხანაგები სამოქალაქო ომის დროს. (მქუხარე ტაში).

ყრილობის დღიური

გუშინ საღამოს ამოიწურა მთავრობის მოხსენების გარშემო ჩაწერილ ორატორთა სია, დღეს დილით საბოლოო სიტყვას იტყვის ამხ. შ. ელიავა.

დილის სხდომაზე ყრილობას მიესალმა უკრაინა-ამიერ-კავკასიის საავიაციო საზოგადოების წარმომადგენელი. ამავე საზოგადოებამ მოაწყო დელეგატების ფრენა ქალაქს გარშემო.

მეორე დღე

მეორე დღე—7 მაისის დილის სხდომაზე დაიწყო კამათი ამიერ-კავკასიის მთავრობის საანგარიშო მოხსენების გარშემო.

კამათი ამიერ-კავკასიის მთავრობის მოხსენების გარშემო

კამათში გამოსული ამხანაგები შეჩერდენ სოფლის მეურნეობის და მრეწველობის არსებულ მდგომარეობაზე, და მათი განვითარების პერსპექტივებზე, საგზაო მშენებლობაზე, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე, აპარატის გაჯანსაღებაზე და სხვა.

სოფლის მეურნეობა

დელეგატები, იწონებენ რა მთავრობის მიერ აღებულ ხაზს სოფლის მეურნეობის განსავითარებლად, ეხებიან იმ მიზეზებს, რომელნიც პარტიისა და მთავრობის დირექტივების გატარებას აფერხებენ. კოლექტივიზაციის იდეა სოფლად უკვე საკმაოდ პოპულარულია, ღარიბი და საშუალო გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი თანახმაა მოაწყოს კოლექტივები, მაგრამ იმ პრიმიტიული საწარმოო საშუალებებით, რომელნიც მათ მოეპოვებათ, კოლექტივის მოწყობა მიზანშეუწონელია. კოლექტივი ისე უნდა მოეწყოს, რომ შემდეგში არ დაიშალოს, ამისათვის კი საჭიროა უზრუნველვყოთ სოფელი მანქანებით და კავი შევსცვალოთ გუთანით, ჯერ-ჯერობით კი მანქანების მიწოდების ტემპი ნელია. გარდა ამისა, უნდა გაძლიერდეს სათანადო ორგანოების ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებზე, დაჩქარდეს ჯგუფური მიწადმოწყობა, გატარდეს სისწორით სასოფლო-სამეურნეო გადასახადის ახალი კანონი, გაუმჯობესდეს სახელმწიფო დაზღვევის საქმე, გაძლიერდეს საირიგაციო-სამელიორაციო მუშაობა და სხვ. აუცილებლად შესწავლილი უნდა იქნეს აგრეთვე ამიერ-კავკასიის სხვადასხვა რაიონები, რომ მეურნეობის ამა თუ იმ დარგის განვითარებას რაციონალური და მიზანშეწონილი ხასიათი მიეცეს. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების სხვადასხვა რაიონებს ახასიათებს მსგავსება: მიზანშეწონილი იქნება თუ შეიქმნება ერთი ორგანო, რომელიც გეგმიან ხელმძღვანელობას გაუწევს სოფლის მეურნეობის განვითარებას მთელ მხარეში.

საგზაო მშენებლობა

სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს კარგი გზები, საგზაო მშენებლობა უკანასკნელ ხანებში გაძლიერდა, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი. ბიუჯეტით გადადებული თანხა საკმაო არ არის. უსახსრობის გამო მთელი წლობით შეუკეთებელია რესპუბლიკური და სამხარო მნიშვნელობის გზატკეცილები, რომელიც თანდათან უვარგისდებიან. ადგილები უძლურნი არიან მოუარონ ყველა გზებს; გარდა იმისა, რომ საჭიროა თანხების გადიდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მტკიცედ უნდა გატარდეს აგრეთვე საგზაო ბეგარა ადგილობრივ მნიშვნელობის გზების შესაკეთებლად და გასაყვანად.

მრეწველობა

ეხებიან რა მრეწველობის განვითარების საკითხებს, დელეგატები საჭიროდ სცნობენ, რომ ვიდრე რაიმე ქარხნის აგება დაიწყებოდეს წინასწარ შესწავლილ იქნეს პირობები, რომ შემდეგ წარმოება უზრუნველყოფილი იქნეს საკმაო ნედლეულით, მეტი ყურადღება უნდა მიექცეს, დელეგატების აზრით, გეოლოგიურ კვლევა-ძიებებს, მთელი საბჭოთა კავშირი ამჟამად განიცდის ლითონის ნაკლებობას, ლითონის ბუდობები კი ამიერ-კავკასიის ყველა კუთხეში საკმაოზე მეტია. საჭიროა ამ თავითვე დაწყებულ იქნეს თუ ამ მადნების დამუშავება არა, გეოლოგიური კვლევა-ძიება მაინც მათი მარაგისა და ხარისხის გამოსარკვევად.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე შინამრეწველობას, რომელსაც მისდევს ამ.-კავკასიის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი და რომლის ხვედრითი წონას არ შეესაბამება ის თანხები, რომელიც მაზე იხარჯება.

დაბა-ქალაქების კეთილმოწყობა

დელეგატები ჩერდებიან აგრეთვე ქალაქებისა და დაბების კომუნალურ მშენებლობის და მათი კეთილმოწყობის საკითხზე. უკანასკნელ წლებში ამიერ-კავკასიაში წარმოიშვენ მთელი სამრეწველო რაიონები მუშათა საკმაო რაოდენობით, ასეთ ქალაქების კეთილმოწყობას ცენტრმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს, გადადოს თანხები წყალსადენების, გასანათებელი ელსადგურების მოსაწყობად, ტრამვაის ხაზის გასაყვანად და სხვ.

ავტოტრანსპორტის განვითარება, ზოგიერთი დელეგატის აზრით, ჩამორჩება ჩვენი მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ზრდას, ტვირთმზიდავ ავტო-მანქანების რიცხვი ვერ აკმაყოფილებს საჭიროებას. ავტომობილების ნაკლებობით აიხსნება, რომ ზოგან ჯერ კიდევ ფოსტის გადატანა ცხენით სწარმოებს კარგ გზატკეცილიან რაიონებშიაც კი. საკმაო არ არის ფოსტა—ტელეგრაფის ქსელი, რომლის გაფართოება აუცილებელია განსაკუთრებით, ცენტრისაგან დაშორებულ რაიონებში, (სვანეთში, მთიან ყარაბახში, ქურდისტანის მაზრაში და სხვ.).

შრომის დისციპლინა

მრავალი ორატორი შეეხო შრომის დისციპლინის განმტკიცების და სახელმწიფო აპარატის გაწმენდის საკითხს.

შრომის დისციპლინა მოისუსტებს არა მარტო საწარმოებში, არამედ თვით სახალხო კომისარიატებში, რომელთა უჯრებებში ყველა თანამშრომელი საკმაოდ დატვირთული არ არის საქმით და სადაც სამუშაო საათებში ხდება კრებები და სხვადასხვა საზოგადოებრივი დავალებათა შესრულება. შრომის დისციპლინის ამაღლებისათვის საჭიროა მუშაობის უზრუნველყოფა სათანადო იარაღებით, სპეცტანსაცმელით და ხელფასის დაუგვიანებლად გასტუმრება. ჩვენი სახელმწიფო აპარატის გაჯანსაღებას, ბევრი დელეგატის დასკვნით, აბრკოლებს ის გარემოება, რომ ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი ხელს უშლის მუშათა დაწინაურებას, არ ეხმარება მათ, არ უწევს ხელმძღვანელობას და სხვ.

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა

შეჩერდენ რა კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე, დელეგატები აღნიშნავდენ, რომ სოფლები ჯერ კიდევ მოკლებულია საექიმო პუნქტებს, საექიმო პერსონალს, მედიკამენტებს, ხოლო ფაბრიკა-ქარხნებთან ჯერ კიდევ ბევრგან არ არსებობს საბავშო ბაგები, რაც ხელს უწყობს მუშა-ქალთა შრომის ნაყოფიერების დაცემას და შეუძლებელს ხდის კულტურულ მუშაობას მათ შორის.

სათანადო სიმაღლეზე ვერ სდგას პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობა. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია ნელი ტემპით მიმდინარეობს, ჯერ კიდევ ვერ შეიქმნა ისეთი პირობები, რომ მოზრდილი ასაკის მშრომელნი ხალისით დაიარებოდნენ წ.-კ. უ. სალიკვიდაციო პუნქტებზე.

სახალხო განათლების საკითხზე შეჩერდა კავკასიის წითელდროშოვანი არმიის სარდლის მოადგილე ამხ. ფაბრიციუსი, რომელმაც განაცხადა, რომ ჩვენი სკოლები დაბალი საფეხურიდან უმაღლეს საფეხურამდე მეტის-მეტად დატვირთულია სხვადასხვა საგნებით. ცუდ ნივთიერ პირობებში მყოფი ახალგაზრდა ვერ უძლებს ამ დატვირთვას და სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ბევრი მათგანი უვარგისი ხდება ამა თუ იმ სამეურნეო კულტურული დარგში მუშაობისათვის. საჭიროა ჩვენი სასწავლებლების პროგრამები განიტვირთოთ არა აუცილებელი საგნებისაგან, მეორე მხრით, გადიდდეს თანხები ჩვენი მოსწავლე ახალგაზრდობის ნივთიერი პირობების უზრუნველყოფისათვის.

პროფ. შ. ნუცუბიძე ჩვენი უმაღლესი სასწავლებლების მიმართ მომხსენებლის მიერ აღებული ტონი მიაჩნია პესიმისტურად. ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებს, ამბობს პროფ. ნუცუბიძე, ახასიათებს ნაკლი, მაგრამ მისი გამოსწორება შესაძლებელია. მართალია მომხსენებელი, როცა ამბობს, რომ ჩვენ უმაღლეს სასწავლებლებში კურს დამთავრებული ახალგაზრდობა არც ღირსებით და არც რაოდენობით არ შეესაბამება ჩვენი სამეურნეო ცხოვრების მოთხოვნილებებს. ამ გარემოების მიზეზი არის ჩვენი ისტორიული წარსული, რომლის მემკვიდრეობიდან განთავისუფლება ადვილი არ არის. ახალგაზრდობა უმაღლეს სწავლას ხვალის ცხოვრებაში საუკეთესო გზის გამოსანახ საშუალებად. ეს არის ნაშთი ჩინოვნიკურ თავად - აზნაურ წყობილების, როცა უდიდეს მიღწევად ითვლებოდა ჩინოვნიკური კაკარდა. ეს შემცდარი შეხედულება ქმნის სწრაფვას იმ ატმოსფეროს, როცა ახალგაზრდას ერთად-ერთ გზად მიაჩნია უნივერსიტეტში შესვლა. ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს გერმანიასა და ამერიკაში იმიტომ, რომ იქ პირობები სულ სხვაგვარია. ჩვენი სამეურნეო ცხოვრება ჯერ კიდევ იმდენად არ არის განვითარებული, რომ სავსებით გამოიყენოს საშუალო ცოდნით აღჭურვილი ყველა ახალგაზრდა. ამიტომ ახალგაზრდა ცდილობს გადაახტეს ამ შუა საფეხურს და მიიღოს უმაღლესი ცოდნა. ევროპის ქვეყნებში კი საშუალო კვალიფიკაციის მუშაკი ჩვეულებრივ პოულობს ასპარეზს თავის ცოდნისა და გამოცდილებისათვის. მეურნეობის განვითარებით ჩვენც უნდა შევუქმნათ ასეთი პირობები ჩვენს ახალგაზრდობას.

ამხ. ავქსენტიევსკის სიტყვა

საღამოს სხდომაზე კამათში მონაწილეობა მიიღო კავკასიის წითელდროშოვან არმიის მთავარსარდალმა ამხ. ავქსენტიევსკიმ, რომელსაც ყრილობა მქუხარე ტაშის ცემით შეხვდა.

წითელი არმიის მებრძოლ ჯარისკაცებს, მათ მეთაურებს და პოლიტმუშაკებს, — განაცხადა ამხ. ავქსენტიევსკიმ, — კარგად ესმით, რომ ბურჟუაზიის ლაყბობას განიარაღების შესახებ პარალელურად თან სდევს შეუჩერებელი ზრდა სამხედრო შეიარაღებისა, საჰაერო და საზღვაო ფლოტის საზღაპრო გადიდება. ეს გარემოება უკარნახებს მუშათა კლასს მოსთხოვოს წითელ არმიას ანგარიში, რამდენად არის იგი მომზადებული მტრის მოსალოდნელი თავდასხმის მოსაგერიებლად.

შემთხვევითი არ არის, რომ საბჭოების საკავშირო ყრილობის დღის წესრიგში სდგას მოხსენება ჩვენი ქვეყნის თავდაცვის მდგომარეობის შესახებ. მეტი არ იქნება, რომ ამიერ-კავკასიის საბჭოთა მე-5 ყრილობას გავაცნო კავკასიის წითელდროშოვანი არმიის მდგომარეობა, რომელიც არ ჩამოურჩება არც სამხედრო მომზადების, არც დისციპლინის და არც პოლიტიკური მომზადების მხრით საბჭოთა კავშირის დანარჩენ რესპუბლიკების არმიებს. ეს ცხადჰყო გასული წლის სამხედრო მანევრებმა და მიმდინარე წლის საზამთრო მუშაობამ. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მომავალი ზაფხულის მანევრებიც დაადასტურებს ჩვენი არმიის საუკეთესო სამხედრო თვისებებს.

წელს ჩვენ გაგვიადვილდა ახალგაზრდობის გაწვრთნა განსაკუთრებით იმიტომ, რომ ჩვენ ჯარში მივიღეთ წერა-კითხვის მცოდნე, საკმაოდ გათვითცნობიერებული ახალგაზრდობა, რომლის სამხედრო და პოლიტიკური გაწვრთნა უკვე იმდენად რთულ ამოცანას არ წარმოადგენს. დიდი მიღწევა გვაქვს არა მარტო ძირითადი კადრების გაწვრთნაში, არამედ ტერიტორიალურ - სამილიციო ნაწილების მშენებლობაში. ამ ნაწილების სამხედრო ცოდნა და პოლიტიკური მომზადება არ ჩამორჩება საკადრო ნაწილებისას, ამას კი უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისათვის.

სამხედრო მუშაკები არ წარმოადგენენ, ბურჟუაზიული ქვეყნების არმიის მუშაკებივით, განცალკევებულ კასტას. ისინი ცხოველ მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ქვეყნის სამეურნეო - კულტურულ მუშაობაში. ჩვენ გულის ფანცქალით ვადევნებდით თვალს ხუთწლიანი გეგმის შედგენას, რადგან დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა დიდად არის დამოკიდებული ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარებაზე. თავდაცვისათვის საჭირო იქნება არა მარტო ჯარის შეიარაღება, არამედ მთელი მოსახლეობის ფეხზე დაყენება. ჩვენი მეურნეობა უნდა განვითარდეს იმდენად, რომ უზრუნველყოს არა მარტო კადრები, არამედ მთელი მოსახლეობა საჭირო რესურსებით. სწორედ ამ თვალსაზრისით ვარჩევდით და ვიხილავდით ჩვენ ხუთწლიან გეგმას.

ამხანაგებო, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ წითელი არმია დღითი დღე ამაღლებს თავის ცოდნას, თავის სამხედრო უნარიანობას. თქვენ შეგიძლიათ სრული სიმშვიდით შეუდგეთ ხუთწლიანი გეგმის განხორციელებას. რევოლუციის დროშა სამედო ხელს უჭირავს. (მქუხარე ტაში).

პარტიაში

ოპორტუნიზმი მარჯვნიდან

II. მემარჯვენეები ინდუსტრიალიზაციის შესახებ.

ინდუსტრიალიზაციის საკითხებში მემარჯვენეები ეყრდნობიან ამხ. ფრუმკინის „მოთხოვნილების და შესაძლებლობის თეორიას“.

რაში გამოიხატება ამ თეორიის შინაარსი. მემარჯვენეები გვიმტკიცებენ, რომ, ვითომ ჩვენ აგვიღია ინდუსტრიალიზაციის განუხორციელებელი ტემპი, ვითომ ჩვენ ანგარიშს არ ვუწევთ იმ შესაძლებლობას, რომელიც სინამდვილეში მოგვეპოვება და გამოვდივართ მარტო ქვეყნის მოთხოვნილების პრინციპებიდან. ამიტომ, დაასკვნიან ისინი, საჭიროა გადასინჯულ იქნეს მთელი ჩვენი გეგმები ინდუსტრიალიზაციის ტემპის შემცირების მხრივ.

ინდუსტრიალიზაციის გეგმის შედგენის დროს პარტიას მხედველობაში ჰქონდა მთელი რიგი პირობები, როგორიცაა კაპიტალისტური გარემოცვა, მოსალოდნელი ომი ბურჟუაზიულ ქვეყნებს და ს. ს. ს. რესპუბლიკის შორის (რაიც მოითხოვს მშრომელთა ფართე მასების შეიარაღებას გამარჯვებისათვის), საქონლის ხიმშილის ლიკვიდაციას და ქვეყნის ტეხნიკის რეკონსტრუქციას. პარტია გრძნობს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის აღებული ტემპის სიძნელეს, რისთვისაც მოუწოდებს ის მუშათა კლასს დასძიმოს მთელი ძალღონე და გაატაროს გეგმა.

1922 წ. ბოლოს კომინტერნის მე-4 კონგრესზე დიდი სიამაყით განაცხადა ამხ. ლენინმა, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ შესძლო დაებანდა მძიმე ინდუსტრიალიზაციაში 20 მილ. მანეთით (იხ. ლენინი, ტ. XVIII ნ. 1, გვ. 88). ჩვენი მეურნეობის განვითარების საშუალებით, ჩვენ შევსძელით ეს თანხა საგრძნობლად გაგვედიდებია. მაგ., 1924—25 წ. კაპიტალური დაბანდების თანხა სახელმწიფო მრეწველობაში უდრიდა 353,5 მილ. მან., 1925 — 26 წ. —790 მილ. მან., 1928—29 წ. ეს თანხა გაიზარდა 1.650 მილ. მანეთამდე. თუ ამ წლებს შევადარებთ სახელმწიფო მსხვილი წარმოების პროდუქციის ზრდის პროცენტების მიხედვით წინა წლებთან, ჩვენ მივიღებთ შემდეგ სურათს:

1925—26	1926—27	1927—28	1928—29
42,2	18,2	22,5	22,5

ჩრდილო - ამერიკის შეერთებულ შტატების წარმოებისათვის ეს ზრდა პროცენტებში გამოიხატება შემდეგი ციფრებით:

1890—95 წ. —8,2 პროც. საშუალოდ;
1895—1900 წ.—5,2 პროც. საშუალოდ.
1900—1905 წ.—2,6 პროც. საშუალოდ;
1905—1910 წ. — 3,6 პროც. საშუალოდ.

საქართველოს რესპუბლიკის ცენზიანი მრეწველობის საერთო პროდუქციის ზრდა საგეგმო კომისიის საკონტროლო ციფრების მიხედვით უდრის:

1925—6	1926—7	1927—8	1928—9
53,0	55,7	68,7	107,9

აქედან აშკარა არის, რომ მთელი რიგი მოვლენები, რომლებიც დაკავშირებული არის საბჭოთა ეკონომიური სისტემის უპირატესობასთან (კაპიტალისტურ ქვეყნებთან შედარებით) ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ამგვარი სწრაფი ტემპით განვითარებას. რაც შეეხება კაპიტალური დაბანდების ხუთწლიან გეგმას, პროექტი ითვალისწინებს შემდეგი რაოდენობის თანხის გაღებას:

1928—29 წ.	1929—30 წ.	1930 — 31 წ.	1931—32 წ.	1932—33 წ.
1.624 მილ. მან.	2,290 მილ. მ.,	2.780 მილ. მ.,	3.016 მილ. მან.	3,192 მილ. მან.

ყოველწლიური კაპიტალური დაბანდება საქართველოს წარმოებაში გათვალისწინებულია შემდეგ ციფრებში:

1928—29,	1929 — 30	1930—31,	1931—32	1932—33
		ათას მანეთებში:		
25.763	44.744,	45.952	29.610	28.233

სოციალისტური მშენებლობის აუცილებლობა მოითხოვს მთელი ქვეყნის ფინანსიური შესაძლებლობის დაჭიმვას ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის სასარგებლოდ. ვინც ამ გარემოებას გვერდს უხვევს, ის, შეგნებულად თუ შეუგნებლად, ეხმარება პროლეტარიატის დიქტატურის როგორც შინაურ, ისე გარეშე მტერს.

„სანამ ჩვენ წვრილ - გლეხურ ქვეყანაში ვცხოვრობთ, მანამდე კაპიტალიზმისათვის,— ამბობს ლენინი,— უფრო მკვიდრი ბაზა იარსებებს რუსეთში, ვიდრე კომუნიზმისათვის. ეს კარგად უნდა გვახსოვდეს. ყველამ, ვინც ყურადღებით დაჰკვირვებია სოფლის ცხოვრებას და ის ქალაქის ცხოვრებისათვის შეუდარებია, იცის, რომ ჩვენ კაპიტალიზმის ფესვები არ აღმოგვიფხვრია და არ დაგვინგრევია საძირკველი, რომელიც შინაური მტრის საფუძველს წარმოადგენს. შინაურ მტერს ზურგს უმაგრებს წვრილი მეურნეობა; მის მოსასპობად ერთი საშუალება არსებობს, ეს არის ჩვენი ქვეყნის მეურნეობის, სხვათა შორის, მიწადმოქმედების გადაყვანა ახალ ტეხნიკურ ბაზისზე— თანამედროვე მსხვილ წარმოების ტეხნიკურ ბაზისზე“ (ლენინი —ტ. XVII., გვ. 427).

ე. ი. ინდუსტრიალიზაციის ტემპს უაღრესად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა მარტო გარეშე მტრის დაძლევაში, არამედ შინაური მტრის არსებობის ლიკვიდაციაშიც. მემარჯვენეებს ვერ გაუგია ინდუსტრიალიზაციის ტემპის მნიშვნელობის საკითხი.

ამხ. ფრუმკინი, რომელსაც ეკუთვნის პირველობა მემარჯვენეების ეკონომიურ პლატფორმის გამომუშავებაში, აცხადებს ერთ თავის წერილში (იხ. „Торгово-пром. газета“ № 246, 21 ოქტ. 1928 წ.) რომ პარტია ებრძოდა ტროცკისტულ ჯგუფს ვითომ იმიტომ, რომ ტროცკისტები მოითხოვდნენ ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპს. რომ აიცილონ თავიდან ბრალდება ტროცკისტულ პლატფორმასთან სიახლოის. ამხ. ფრუმკინი აღიარებს, რომ საჭირო არის ამ ტემპის შენელება. კიდევ მეტი. ის თავის „მოთხოვნილების და შესაძლებლობის“ თეორიას პარტიის ნამდვილ დებულებათ აცხადებს და თავგამოდებით იბრძვის გაზეთის რედაქციის წინააღმდეგ, რომელიც არ ეთანხმება მას.

მართალია, თუ არა ფრუმკინის გაგება იმ ბრძოლისა, რომელიც პარტიამ ჩაატარა ტროცკისტების წინააღმდეგ? რასაკვირველია, არა.

ბრძოლა სწარმოებდა „მემარცხენე“ გადახრის წინააღმდეგ სულ სხვა საკითხზე. მათ მოისურვეს ტროცკისტული „პერმანენტული თეორიის“ გამოცემა ზეინდუსტრიალიზაციის სახით. ისინი შეეცადენ თეორეტიულად დაემტკიცებინათ, რომ გლეხობა შეადგენს ერთგვარ კოლონიას მუშათა კლასისათვის. ამ უკანასკნელს შეუძლია მოახდინოს ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია გლეხობის ზურგზე. პარტია კი ილაშქრებდა ამ ტროცკისტულ თეორიის წინააღმდეგ და არა ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპის გამო.

საერთოდ, ინდუსტრიალიზაციის ტემპის წინააღმდეგ მემარჯვენეები სამ არგუმენტს აყენებენ: 1) ჩვენი ფინანსიური მდგომარეობა ძალზე დაჭიმულია, 2) არ არის საყოფი მშენებლობის მასალა და 3) ინდუსტრიალიზაციის ჩქარი ტემპი იწვევს „სოფლის დეგრადაციას“.

ნუ თუ ანბანური ჭეშმარიტება არ არის, რომ რამდენადაც ჩვენი მეურნეობის განვითარებას შეუფარდებთ „ვიწრო ადგილებს“ (როგორიცაა ამ შემთხვევაში მშენებლობის მასალის დამზადების ტემპი), იმდენად ეს „ვიწრო ადგილები“ წარმოების განვითარების საერთო მოვლენად გადაიქცევა; განა ამა თუ იმ წარმოების დარგის ჩამორჩენილობის ლიკვიდაცია ინდუსტრიალიზაციის ტემპის შენელებით შეიძლება; განა ინდუსტრიალიზაცია არ შექმნის პირობებს, რომ დროებითი ჩამორჩენილი დარგები დაეწიონ განვითარებულებს? კიდევ მეტი. ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია შეუწყობს ხელს ქვეყნის ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებას და არა პირიქით, როგორც ეს გამომდინარეობს მემარჯვენეების მტკიცებიდან.

აი, რა დიდ როლს მიაკუთვნებდა ამხ. ლენინი მძიმე ინდუსტრიის განვითარებას. „ჩვენ ვერ შევძლებთ ვერავითარ მრეწველობის აშენებას, თუ არ აღვადგინეთ და არ უშველეთ ჩვენ მძიმე ინდუსტრიას, საერთოდ უიმისოდ ჩვენ დავიღუპებით როგორც დამოუკიდებელი ქვეყანა“ (ლენინი, —XVIII ტ., 2 ნ., გვ. 88). ხაზი ჩვენია. დ. დ). მემარჯვენეები ამ გარემოებას ივიწყებენ და სწორედ ამით აიხსნება მათი მტრული განწყობილება ინდუსტრიალიზაციისადმი.

დავ. დოლიძე.

როგორ სწარმოებს ღარიბთა შორის მუშაობა

(წერილი კახეთიდან)

ღარიბთა შორის მუშაობის ყველაზე პოპულარული და მისაღები ფორმა ღარიბთა ჯგუფებია. მიუხედავათ ამისა ღარიბთა ჯგუფების მუშაობა შემთხვევით ხასიათს ატარებს, თითქმის არსად არაა ისეთი მდგომარეობა, რომ ყველა არსებული ღარიბთა ჯგუფი მუშაობდეს, მაგალითად: კახეთის მაზრაში გამოკვლეულ იქნა 72 ღარიბთა ჯგუფი, ამათგან სისტემატიურ მუშაობას მხოლოდ 27 ჯგუფი აწარმოებს; დანარჩენი ჯგუფები მხოლოდ ქაღალდზე არსებობენ.

ღარიბთა შორის მუშაობის პრაქტიკამ დაგვარწმუნა, რომ ღარიბთა ჯგუფების გამოცოცხლება დამოკიდებულია უმთავრესად უკანასკნელთა სხდომებისათვის სერიოზული ხასიათის დღის წესრიგის შერჩევაზე.

დამტკიცებულია, რომ ღარიბთა ჯგუფები, რომელნიც იხილავენ სოფლის მეურნეობის განვითარება და გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს, აქტიურად და ნაყოფიერათ მუშაობენ.

კოლექტივების მოწყობა, სას.-სამ. იარაღ-მანქანების მომარაგება და განაწილება, სას. დაზღვევის საქმის მოგვარება, მიწის მოწყობა, კოოპერაციის მუშაობა, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის გამოყოფა-დაცვა—აი საკითხები, რომელნიც აცოცხლებენ ღარიბთა ჯგუფების მოქმედებას. აღნიშნულ საკითხებს ღარიბები გულმოდგინედ არკვევენ და სწყვეტენ. თავიანთ გადაწყვეტილებებს თავ-გამოდებით იცავენ კიდეც ყველა არჩევით ორგანოში. ამრიგად, ღარიბთა ჯგუფების დღის წესრიგის გაუმჯობესება ერთი მთავარი პირობათაგანია ღარიბთა შორის მუშაობის ნაყოფიერი წარმოებისათვის.

ამასთანავე, უსათუოდ უნდა გაიზარდოს პასუხისმგებლობა ღარიბთა კრებების, ჯგუფების და კონფერენციების დადგენილებათა ცხოვრებაში გასატარებლად. მთელი რიგი სათემო ორგანიზაციების დათვალიერება აშკარავებს, რომ ღარიბთა წინადადებებს და დადგენილებებს ბევრჯერ უყურადღებოდ სტოვებენ.

როცა კახეთში, ალაზან-გაღმა რაიონის ერთ-ერთ თემკომის მდივანს შეეკითხენ; „რისთვის არ ღებულობს თემკომი ზომებს ღარიბთა დადგენილებების გასატარებლათ“-ო—მან უპასუხა: „ღარიბთა ჯგუფების დადგენილებები რომ გავატაროთ, მილიონები უნდა გველაგოსო“. აქედან სჩანს, რომ აღნიშნულ თემში ღარიბების დადგენილებებს ანგარიშს არ უწევენ, რაც პარტიის ავტორიტეტს უდიდეს საფრთხეს უმზადებს სოფლად.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მიუხედავად მრავალი ღონისძიებებისა, საშუალო გლეხთა აქტივის მიზიდვა ღარიბთა კრებებზე და ჯგუფებზე სუსტად ხდება. ხშირად შეხვდებით სოფლის კომუნისტს. რომელიც აცხადებს: „იმას (ლაპარაკია საშუალო გლეხზე) აივნიანი სახლი აქვს, გუთანი აქვს. საქონელი ჰყავს და უსათუოდ მესაქონლეების და მდიდრების ინტერესებს დაიცავსო“—ასეთ შეხედულებას საშუალო გლეხზე შევხვდებით როგორც პარტიის წევრებში, ისე ღარიბთა შორისაც. ამის შედეგი ის არის, რომ საშუალო გლეხის მიზიდვაზე ლაპარაკი კი ლაპარაკათ რჩება და სინამდვილეში საშუალო გლეხთა აქტივი ღარიბთა შორის მუშაობიდან ბევრგან ჩამოცილებული არიან.

ღარიბთა კრებებზე საშუალო გლეხთა აქტივის პერსონალურ გამოძახებასთან ერთად საჭიროა ღარიბთა ჯგუფების და კრებების დღის წესრიგში ისეთი კითხვების შეტანა, რომელიც საშუალო გლეხებს შეეხება და აინტერესებს.

ქალების მონაწილეობა ღარიბთა შორის მუშაობაში დღემდე უნუგეშო მდგომარეობაშია. ღარიბთა კრებებზე იშვიათად თუ შეხვდებით ქალებს. აუცილებლად საჭიროა ღარიბი და საშუალო წრიდან გამოსული გლეხ-ქალთა სისტემატიური მოწვევა ღარიბთა კრებებზე და ჯგუფებზე. პარტიის ამოცანები ღარიბთა შორის მუშაობის დარგში სპეციალურად უნდა დამუშავდეს ქალთა სადელეგატო კრებებზე და ყველა არჩევით ორგანოს წევრ-ქალთა შორის. ამ მიმართულებით სპეციალური დავალებები უნდა მიეცეს სადელეგატო კრებების ორგანიზატორებს კომუჯრედიდან.

რაც შეეხება ღარიბთა ჯგუფების სათემო და სამაზრო კონფერენციებს, იგი სავსებით გამართლებულია როგორც ღარიბთა შორის მუშაობის მკვიდრ ნიადაგზე დაყენების ერთ-ერთი საუკეთესო ფორმა. ამიტომ მათი მოწვევის პრაქტიკა ძალაში უნდა დარჩეს.

ა. ჭ—უა.

გაზაფხულის თესვა

რა გვაქვს და რა გვიშლის ხელს

(წერილი ლაგოდეხიდან)

საგაზაფხულო თესვისათვის მზადება თემში გაცხოველებით დაიწყო. სათემო სამეულის ინიციატივით აღირიცხა და შეკეთდა სასოფლო - სამეურნეო მანქანა-იარაღები (8 სალეწი მანქანის შეკეთება მიმდინარეობს დღესაც); 16 ტრაქტორი, 7 მწკრივში სათესი მანქანა, 12 ტრიერი, 8 სამკელი და 13 ცალი სათიბი. ღარიბებს და კოლექტიურ მეურნეობათა დახმარების მიზნით გამოიყო სას.-სამ. ამხანაგობის საკუთარი თანხებიდან 3,000 მან. და ეს თანხა უნაწილდება გლეხობას. დღემდე ჩატარებულია კოლექტივების ხელმძღვანელთა ორი თათბირი (თვითეულ თათბირს დაესწრო 30—35 კოლექტ. ხელმძღვანელი) აგრონომებთან ერთად, რასაც უდავოდ სასურველი შედეგი მოჰყვება. საკრედიტო ამხანაგობას აქვს მანქანა-იარაღების ნაწილების საწყობი, რაც მარაგის მხრივ სავსებით უზრუნველყოფილია. ამავე დროს სათემო ფონდში გადარიცხული მიწები დასამუშავებლად გადაეცა ღარიბებს გლეხობასა და კოლექტივებს. თემში მომქმედი მანქანა-იარაღები სრულიად უზრუნველყოფილია საწვავი მასალით (ბენზინი, ნავთი და სხვ.) სამომხმარებლო კოოპერაციის მიერ, მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ერთი ხელშეშლა. სააქციზო ორგანიზაცია საკმაოდ უშლის ხელს გლეხებს საწვავი მასალა შეიძინონ იაფ-ფასებში, მათ მიერ თავის დროზე საჭირო საბუთების გაუცემლობის გამო. კოლექტივის წევრებს უხდებათ ხშირად საბუთებზე ხეტიალი და დროს უბრალოდ გაცდენა. საჭირო იქნება (ალბად, მსგავს მოვლენებს სხვა თემებშიაც ექნება ადგილი) სააქციზო სამმართველოს ზომები, რათა მოწმობების გაცემა ხდებოდეს უფრო განმარტივებულ-სასწრაფო წესით.

საკრედიტო ამხანაგობის მეშვეობით დაიდვა ხელშეკრულება სიმინდის ნათესებზე 49 ჰექტ., გეგმით კი გათვალისწინებულია 60—70 ჰექტ. ხელშეკრულების დადებას, კონტრაქტაციის სასურველად ჩატარებას საკმაოდ უშლის ხელს ადგილობრივად მოხვნის სიძვირე, მაგ., დესეტინის მოხვნა ღირს ნის სიძვირე. მაგ., დესეტინის მოხვნა ღირს ბებს აქ გადამწყვეტი სიტყვა ეკუთვნით. ამხანაგობის ნორმალურ მუშაობის პირობებში მიწის მოხვნის, ეს ღირებულება საგრძნობლად შემცირდება.

მეთამბაქოეთა ამხანაგობა — „ლაგოდეხის თამბაქო“-ს მიერ დადებულია ხელშეკრულება 760 ჰექტ. ნათესზე. გასული წლის მოსავლიანობა უკვე ჩაიბარა სას.-სამ. ამხანაგობამ და გლეხობამ გაინაღდა ხვედრი თანხა, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ ერთი რამ,— თამბაქოს კულტურისათვის საჭირო - გამოსადეგი მიწა დღემდე არაა შესწავლილ - გამოყოფილი. ეს კი მეტად აფერხებს მუშაობას, რადგანაც გლეხი - მეურნე, იმ მიწებზე, რომლებიც მეთამბაქოეობისათვის მეტად გამოსადეგია, სთესავს პურს.

მომავალში ეს საკითხი უნდა იქნას შესწავლილი, — ხოლო თემი უზრუნველყოფილი პურით, თუ გვინდა განვითარდეს ეს სპეციალური კულტურა. ამ საკითხს მრავალ მხრივ აქვს მნიშვნელობა.

თესვის კამპანიის ჩატარების პროცესში აღსანიშნავია ლაგოდეხის ქართულ 7 წლ. შრომის სკოლის მონაწილეობა. მოწაფეთა ჯგუფები გაემგზავრნენ სოფლებში უღარიბეს გლეხებისათვის დახმარების მიზნით. მოსახლეობა ასეთ დახმარებას ნდობით შეხვდა და ნაყოფიც გამოიღო. თემის მასწავლებლობამ ფართე კამპანია ჩაატარა უბნებში ახალი სას.-სამ. საგადასახადო კანონის შესახებ.

სამწუხაროდ, ზოგიერთ პროფკავშირის ადგილკომები ძალზე უყურადღებოდ ექცევიან თესვის კამპანიის ამოცანებს, საჭირო იქნება მეტი აქტივობა და ცხოველი მონაწილეობა.

ა. კვიტაშვილი.

კომკავშირელების მონაწილეობა თესვაში

(ყარაიას თემი)

ყარაიას თემში საკმაოდ ძლიერი ქ. ქ. ორგანიზაციაა; თურქი გლეხობის ახალგაზრდობის საუკეთესო ნაწილიც გაერთიანებულია კომკავშირის რიგებში და შეიძლება შესაფერი მუშაობის წარმოებაც, რომ კარგი ხელმძღვანელობა ჰქონდეთ.

საერთოდ უნდა შევნიშნოთ სოფლის ქ. ქ. ორგანიზაციებს, რომ ისინიც ცდილობენ სხვებს დაეხმარონ, ან სოფლის საქმე აკეთონ (შაბათობა, წითელარმიელების ოჯახების და ქვრივ-ობლების დახმარება და სხვ.), მაგრამ ძალიან ნაკლებათ ზრუნავენ თავიანთ ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესებაზე. რომ გადაათვალიეროთ თემკომების და სოფლის ქ. ქ. უჯრედების ოქმები, ყველგან შეხვდებით დადგენილებებს—შაბათობის მოწყობის, სხვის დახმარების და სხვა საზოგადოებრივი საქმის კეთების შესახებ; ცხადია, ეს კარგია, მაგრამ ვერსად ვერ ნახავთ, რომ უჯრედს ემსჯელოს თავის წევრების გასაერთიანებლათ და მიწების კოლექტიურად დამუშავებისათვის.

ასე დამართია ყარაიას კომკავშირელებსაც. ისინი დღიურად მუშაობენ და ისე ირჩენენ თავს, მიუხედავად ამისა, აქტიური მონაწილეობა მიუღიათ არხების გაწმენდაში და სხვა საზოგადოებრივ სასარგებლო საქმის კეთებაში, მაგრამ არავის აზრათ არ მოსვლია, რომ გაეერთიანებინათ ქ. ქ. წევრები და თუგინდ თითო პატარა ნაკვეთ მიწაზე ბამბა დაეთესათ. ეს ნაკლი კი უმთავრესად იმის შედეგია, რომ არც ერთ უჯრედს და თემკომსაც არ დაუმუშავებიათ თბილისის კომიტეტის მიერ გადაგზავნილი პრაქტიკული მითითებანი თესვის კამპანიაში ქ. ქ. მონაწილეობის მიღების შესახებ. კომკავშირელები თესვის კამპანიებში არ იყვნენ გამოყოფილნი. აქ ერთი სამანქანო ამხანაგობა იყო შემდგარი და უყურადღებობის გამო კულაკების პროვოკაციით დაიშალა. ამჟამად ეს ნაკლი გამოსწორებულია. შესდგა თესვის კომისია, შესაფერი ახსნა-განმარტებაც ჩატარდა ქ. ქ. მონაწილეობის შესახებ საგაზაფხულო თესვაში. შედეგი ასეთია: კარატაპის და ერთობის ქ. ქ. უჯრედების 30 წევრმა აიღეს 10 დესეტინა მიწა ბამბის კოლექტიურ დასათესათ. სადგურ ყარაიას ქ. ქ. კომუჯრედთან ერთად კლუბის ასაგები ფონდის გასაძლიერებლათ, დასამუშავებლად აიღეს 10—12 დესეტინა თავის მინდორი. აგტაგლის კომკავშირელებმა სურვილი განაცხადეს შეადგინონ არტელი; ამ საქმის წარმოება დაევალა ადგილობრივ მასწავლებელს, სოფ. ანანოევკის კომკავშირელებმა მოითხოვეს თავისუფალი მიწის ნაკვეთის დამუშავება და ბამბის დათესვა.

საერთოდ ყარაიას კომკავშირელები ფართოდ ებმიან ბამბის კულტურის გავრცელებაში, მაგრამ ბევრმა დღესაც არ იცის, თუ ვის უნდა მიმართონ ამ სასარგებლო საქმის შესახებ.

ქ. ქ. თემკომმა და პარტიულ ორგანიზაციებმა შესაფერი ყურადღება უნდა მიაქციონ ქ. ქ. სამეურნეო ინიციატივას და მოთხოვნილებას.

ფ. მესხიძე.

(ხაშური)

კომკავშირის ხაშურის ორგანიზაცია გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩასატარებლად. კომკავშირელ მუშებისაგან შედგენილია მანქანა-იარაღების შემკეთებელი ბრიგადა, რომელიც სისტემატიურად აწარმოებს სხვადასხვა სოფლების იარაღების შეკეთებას. შედგენილია სპეციალური კადრი საგაზაფხულო თესვის სახელმძღვანელოდ; დაარსებულია სპეციალური ფონდი თესვის საჭიროებისათვის, აგრეთვე კომკავშირის ხაშურის რაიკომს განზრახული აქვს მოაწყოს კოლექტივები დამოუკიდებელ მეურნეებისაგან. საამისო ნაბიჯი უკვე გადადგმულია.

გ. კირტაძე.

ტვირთები თესვისათვის

ტვირთების გადაზიდვის მომწესრიგებელმა ამიერ-კავკასიის კომიტეტმა მოიწვია სპეციალური თათბირი დაინტერესებულ ორგანიზაციების და დაწესებულებების მონაწილეობით. თათბირმა აღნიშნა, რომ სათესი მასალის გადაზიდვა ამ.-კავკასიის რკინიგზებზე დამაკმაყოფილებლად და შეუფერხებლად მიმდინარეობს. თესვის კამპანიისათვის დანიშნულ მასალის ადგილებზე მიზიდვა ბრკოლდება მიწსახკომების, ბამბის კომიტეტების და სხვ. მიერ ტვირთების არათანაბრათ გადაგზავნის და აგრეთვე რკინისგზიდან ტვირთების დაგვიანებით გამოხსნის გამო.

სალიანში, ჩარხებისა და წყალსაქაჩავებისათვის საჭირო ხე-ტყის მასალა, ორი თვე დარჩა ნავებზე გადმოუტვირთველი. ტვირთის პატრონების გამოუცხადებლობის გამო, ნავსადგურში დიდხანს იყო გაჩერებული ფქვილი და სხვ. ტვირთი. არა დამაკმაყოფილებლად მუშაობს „კასპარი“, რომელიც თავის დროზე არ აწვდის ტონაჟს, აჩერებს ტვირთებს ნავსადგურებში და სხვ.

ხორბლეული და ტეხნიკურ კულტურების

კონტრაქტაცია

ამიერ-კავკასიის მუშგლეხინის ცნობებით, ამიერ-კავკასიის ყველა რაიონებში კონტრაქტაცია წარმატებით მიმდინარეობს და მნიშვნელოვნად აჭარბებს გეგმით დასახულ სივრცეს. ამასთან ერთად, კონტრაქტაციის გატარების დროს აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული კავშირები სრულებით არ იყვნენ მზად კონტრაქტაციის გაფართოებისათვის. კოოპერატიულმა კავშირებმა ვერც თესლი და ვერც საწარმოო მანქანები ვერ მიაწოდეს თავის დროზე იმ რაიონებს, რომლებმაც გააფართოვეს კონტრაქტაციის თავდაპირველად განზრახული სივრცე. ყველგან შენიშნულია აგრეთვე ხელშეკრულებების დადების და ავანსების გაცემის საგრძნობლად დაგვიანება.

პირველ ადგილი კონტრაქტაციის ჩატარებაში უჭირავს საქცო საზ-ბა — „კახეთს“, რომელმაც ბრწყინვალედ შეასრულა კონტრაქტაციის ყველა პირობები და ვადები, რითაც რადიკალურად უზრუნველყო აგროკულტურულ ღონისძიებათა განხორციელება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ასი პროცენტით შევასრულოთ საწარმოო პროგრამა

ფართოდ გავშალოთ სოც. შეჯიბრება ფაბრიკა-ქარხნებ შორის

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში 6 მაისს გაცდენილი იქნა 48 კაც-დღე.—სპილენძის სატკეცი ქარხანა გადავიდა 7 საათის სამუშაო დღეზე.—მუშათა ფართო მასების მონაწილეობით სოციალისტურ შეჯიბრებაში მივაღწევთ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებას და ნაწარმოების ხარისხის გაუმჯობესებას.

შრომის ნაყოფიერება სწრაფი ტემპით იზრდება

(კოლოფების ფაბრიკა)

სოციალისტური შეჯიბრების ხუთეული გამოყოფილია პირველი აპრილიდან. ხუთეულის მიერ მუშათა საერთო კრებაზე ჩატარებული იყო მოხსენება სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობაზე, ამავე საკითხზე ჩატარებული იყო თათბირები საამქროებში. კოლოფების ფაბრიკა სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია თამბაქოს ფაბრიკა „პროლეტარი"-მ. უკანასკნელ ხანებში ფაბრიკაში შრომის ნაყოფიერება აწეულია; მაგ., 1927—28 წლის განმავლობაში თითო მუშა ამზადებდა დღეში 698 კოლოფს, 1928—29 წლის პირველ კვარტალში კი თითო მუშაზე მოდის 746 დამზადებული კოლოფი. ე. ი. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 6,9 პროც.

პირველ აპრილიდან 10 აპრილამდე სამუშაო დრო უმიზეზოდ გააცდინა 10 კაცმა და დაგვიანებით სამუშაოზე გამოცხადდა 9 კაცი. სულ გაცდენილია 8 დღე და 1 საათი. 11 აპრილიდან 20 აპრილამდე კი სამუშაო დრო უმიზეზოდ გააცდინა 4 მუშამ და დაიგვიანა ორმა. გაცდენილია სულ 8 დღე და 4 საათი. სამუშაო საათების უმიზეზოდ გამცდენი მუშები გამოცხადებული არიან „შავ დაფაზე". შეჯიბრების პერიოდში სამუშაოდან მოხსნილია მუშა-კორობკინი.

უნდა აღინიშნოს, რომ ადგილკომში ვერ არის საკმაოდ გარკვეული იმ როლში, რომელსაც უნდა თამაშობდნენ პროფორგანიზაციები სახელმწიფო წარმოებებში. ამის დასამტკიცებლად შეიძლება შემდეგი ფაქტის მოყვანა: სამუშაოდან მოხსნილი კორობკინი რამდენიმეჯერმე იყო გაფრთხილებული ადმინისტრაციის მიერ შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, რაც გამოიხატებოდა ზარმაცობაში და ხულიგნობაში. სხვათა შორის, აღნიშნულმა კორობკინმა ერთ-ერთ ქალს მუშაობის დროს ხოჭო ჩუვდო კისერში, ამის გამო ქალს გული შეუწუხდა. ადმინისტრაციამ გადასწყვიტა კორობკინის სხვა საამქროში გადაყვანა, მაგრამ კორობკინს იმდენი უტიფრობა შესწევდა, რომ ადგილკომში განასაჩივრა ადმინისტრაციის განკარგულება. ადგილკომმაც საქმე არ დაყოვნა, საკონფლიქტო კომისიის სხდომაზე მოიწვია მეჩექმეთა კავშირის ცენტრალური გამგეობის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ნაცვლიშვილი—მოითხოვა კორობკინის დატოვება ისევ იმ საამქროში, სადაც წინეთ მუშაობდა. ამას ადგილკომი ასაბუთებდა იმით, რომ მომავალში, ალბად, გამოსწორდება კორობკინი. ასეთ „დასაბუთებას" ადმინისტრაცია არ დათანხმდა და კორობკინის ადგილზე მოიწვია სხვა მუშა. ეს არ მოეწონა კორობკინს და უშვერი ლანძღვა-გინება დაუწყო როგორც ადმინისტრაციას, ისე იმ მუშას, რომელიც მის ადგილზე იყო მოწვეული. ამის გამო ადმინისტრაცია იძულებული გახდა მოეხსნა კორობკინი სამუშაოდან. ეს ფაქტი და აგრეთვე ბევრი სხვაც ამტკიცებს, რომ ადგილკომი საკმაოდ ვერ არის გარკვეული თავის დანიშნულებაში.

ურ.

7 საათის სამუშაო დღე სპილენძის სატკეც ქარხანაში

8 მაისიდან სპილენძის სატკეცი ქარხანა გადავიდა 7 საათის სამუშაო დღეზე. ცდემა, რომელიც ჩატარდა ქარხანაში, დაამტკიცა, რომ 7 საათის სამუშაო დღის შემოღება ქარხანაში არ გამოიწვევს პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებას და შრომის ნაყოფიერების დაცემას თუ კი ქარხანა უზრუნველყოფილი იქნება ნედლი მასალით.

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლას მუშები აღფრთოვანებით შეხვდნენ და თავის კრებაზე გამოიტანეს დადგენილება, რათა ზუსტათ შეასრულონ საწარმოო პროგრამა. ამავე დროს კრებამ დაავალა ქარხნის ადმინისტრაციას, ბრძოლა აწარმოოს შრომის დისციპლინის დარღვევის წინააღმდეგ და მიიღოს ზომები წარმოების ნედლი მასალით უზრუნველსაყოფად და, პროდუქციის თვითღირებულების კიდევ უფრო შესამცირებლად.

ქარხანაში შრომის ნაყოფიერება თანდათან იზრდება. მაგალითად, თუ 1928 წლ. ოქტომბერში გამომუშავებული იყო 31,6 ტონა სპილენძი, ნოემბერში დამუშავდა 38,4 ტონა, დეკემბერში 38,06 ტონა, 1929 წლის იანვარში — 39,21 ტონა, თებერვალში — 41,27 ტონა, მარტში — 39,31 ტონა და აპრილში — 34,4 ტონა. (აპრილში გამომუშავების შემცირება აიხსნება იმით, რომ ნედლი მასალის უქონლობის გამო წარმოებაში გაცდენილი იყო 5 დღე). ამავე დროს საგრძნობლად შემცირდა პროდუქციის თვითღირებულებაც: 1927 — 28 წელს პროდუქციის თვითღირებულება შემცირდა 2,64 პროცენტით, ხოლო 1928 — 29 წლ. პირველ კვარტალში 8,5 პროცენტით.

შვიდი საათის სამუშაო დღეზე გადასვლა კიდევ უფრო განამტკიცებს შრომის დისციპლინას, ასწევს შრომის ნაყოფიერებას და შეამცირებს პროდუქციის თვითღირებულებას.

შარან.

სოციალისტური შეჯიბრება

გამოწვევა მივიღეთ

ხარკოვისა და როსტოვის ორთქლმავლების და ვაგონების სახელოსნოების მიერ სტალინის სახელობის თბილისის ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხნის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევის ჟამო, ქარახანასთან გამოიყო სპეციალური კომისია, ქარხნის მთავარი ინჟენერის მაისუროვის, ხუთეულის წარმომადგენლის ამხ. ნიჩუგოვსკის, ამხ. ჯიჯოევის და ქარხნის სატარიფო - მომწესრიგებელი ბიუროს წარმომადგენლის ამხ. ვოლსკის შემადგენლობით. კომისია იმუშავებს მაჩვენებლებს, რომელთა საფუძველზე, მოხდება სოციალისტური ხელშეკრულების დადება სტალინის სახელობის ქარხანასა და გამომწვევ სახელოსნოებ შორის.

ამ დღეებში სტალინის სახელობის ქარხნის საამქროებში მოხდა მუშების მიტინგები, რომლებმაც ერთხმად მიიღეს ხარკოვისა და როსტოვის მუშების გამოწვევა. ახლო მომავალში შესდგება ტეხნიკური თათბირი, რომელზედაც ინჟენერ - ტეხნიკოსთა პერსონალი განიხილავს მაჩვენებლებს იმის შესახებ, თუ რა უნდა გააკეთოს ქარხანამ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვევასთან დაკავშირებით.

მუშათა დელეგაციები

სტალინის სახელობის თბილისის ვაგონების და ორთქლმავლების შემკეთებელ ქარხანაში მიღებულია ცნობა, რომ 15 მაისს თბილისში ჩამოვა ხარკოვის სახელოსნოს მუშების დელეგაცია, რომელიც სტალინის სახელობის ქარხანასთან დასდებს სოციალისტურ შეჯიბრების ხელშეკრულებას.

განზრახულია სტალინის სახელობის ქარხნის მუშების დელეგაციის გაგზავნა როსტოვში, ლენინის სახელობის სახელოსნოსთან სოციალისტური ხელშეკრულების დასადებათ.

შრომის ნაყოფიერება იზრდება

ს.მ.უ.ს. მესამე სტამბაში

პოლიგრაფტრესტის მესამე სტამბაში სოციალისტური შეჯიბრების ხუთეული აპრილის ბოლო რიცხვებში ჩამოყალიბდა, მაგრამ პრაქტიკულად ხუთეულს ჯერჯერობით არაფერი გაუკეთებია. მიუხედავათ ამისა უკანასკნელ ხანებში შრომის ნაყოფიერება საგრძნობლად გაიზარდა.

1928 წ. ოქტომბერში კაც-დღის შრომის ნაყოფიერება განისაზღვრებოდა 5 მან. 68 კაპიკით, ნოემბერში 5 მან. 78 კაპ., დეკემბერში 6 მან. 12 კაპ, მიმდინარე წლის იანვარში —6 მან. 88 კაპ., თებერვალში — 6 მან. 71 კაპ. და მარტში კი 6 მან. 65 კაპიკით. ამრიგად შრომის ნაყოფიერება გაზრდილია 17 პროცენტით (ხელფასის ზრდა კი გამოიხატება 10 პროცენტით). შემცირებულია აგრეთვე სამუშაო დღეების უმიზეზოდ გაცდენის შემთხვევები. ა.-წ. იანვარში უმიზეზოდ გაცდენილი იყო 22 კაც-დღე, თებერვალში —17, მარტში—15 და აპრილში 1 კაც-დღე.

საწარმოო თათბირების დადგენილებანი ადმინისტრაციის მიერ თუმცა სრულდება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საწარმოო თათბირებზე უმთავრესად ისმება წვრილმანი საკითხები და მათ მიერ არ ხდება წარმოების უფრო დეტალური შესწავლა. ალბათ ამას მიეწერება ის გარემოება, რომ მუშათა დასწრება საწარმოო თათბირებზე არ აღემატება 50-55 პროცენტს.

ხ.

ძეხვის ქარხანა

ქარხანაში ჩამოყალიბებულია სოციალისტური შეჯიბრების სამეული, მაგრამ მას წარმოება სრულებით არა აქვს შესწავლილი. სამეულს არ გააჩნია ცნობები შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის თვითღირებულების და სხვ. მდგომარეობის შესახებ. ადგილობრივი ქარხკომიც სუსტ მონაწილეობას იღებს აღნიშნულ სამეულის მუშაობაში. აღსანიშნავია, რომ ზოგჯერ ქარხანაში ადგილი აქვს სამუშაო დროის გაცდენას იმის გამო, რომ ქარხანა ხშირად დაგვიანებით ღებულობს ხორცს, რაც ზრდის პროდუქციის თვითღირებულებას. მიმდინარე წლის იანვარში, გამომუშავებული იყო 78.258 კილო ძეხვი, თებერვალში 74.469,5 კილო, მარტში 88.260,8 კილო. იანვარში ერთი კაც-დღე ამზადებდა 69,06 კილო ძეხვს, თებერვალში 69,6 კილოს და მარტში კი 81,9 კილოს.

სამუშაო საათების გაცდენა

სტალინის სახელობის ორთქლმავალთა და ვაგონების შემკეთებელ ქარხანაში 6 მაისს, **სამუშაოზე არ გამოცხადებულა 60 მუშა**. ე. ი. ერთ დღეში სამუშაო დღის უმიზეზოთ გაცდენა **უდრის 48 კაც-დღეს**. გარდა ამისა, იყო აგრეთვე სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადების 60 შემთხვევა. დაგვიანება საშუალოდ არ აღემატებოდა ათ წუთს.

სოციალისტური შეჯიბრების ჩამტარებელი ხუთეული.

როგორ მუშაობენ გლეხკომები

გლეხკომების მუშაობა თანდათანობით უმჯობესდება. — ქუთაისის მაზრის გლეხკომებმა 68 ათასი მანეთის დახმარება აღმოუჩინეს ღარიბ გლეხობას. —ადგილობრივ ორგანიზაციებმა სასტიკად უნდა ებრძოლონ გლეხკომის ქონების მიმთვისებლებს.

გავაჯანსაღოთ გლეხკომების საქმიანობა

გლეხკომების მნიშვნელობა ღარიბებს გლეხთა, ქვრივ-ობლების და წითელარმიელთა ოჯახების დახმარების საქმეში, საკმაოდ დიდია.

საქართველოში გლეხკომები წარმოიშვნენ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. თავის-თავად ცხადია, თვითეული ახლად წარმოშობილი ორგანიზაციის საქმიანობას პირველ ხანებში თან ახლავს მნიშვნელოვანი ნაკლი. ასეთი ნაკლისაგან არც გლეხკომები იყვნენ დაზღვეული. მათ მუშაობას აფერხებდა პირველ ყოვლისა, სათანადო ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი მუშაკების სიმცირე, ზოგიერთ გლეხკომებში მოკალათებული იყო მოკულაკო და საბჭოთა ხელისუფლებისადმი მტრულად განწყობილი ელემენტები. ასეთი პირები თავის-თავის სარგებლობაზე უფრო ზრუნავდნენ, ვინემ ღარიბთა დახმარების აღმოჩენაზე. ამ ნიადაგზე ხშირი იყო გლეხკომებში გაფლანგვის და სახალხო ქონების მითვისების შემთხვევებიც; ზოგჯერ გლეხკომები ხელს კიდებდენ ისეთ საქმიანობას, რომლებიც არ შეადგენდა მათ პირდაპირ დანიშნულებას, ადგილი ქონდა ფუნქციების აღრევასაც გლეხკომებსა და თემაღმასკომებს შორის. პირველნი, ესე იგი გლეხკომები ითვისებდნენ ხელისუფლების ადმინისტრატიულ ორგანოების ფუნქციებს.

მაგრამ ყველაფერი ეს შემდეგში თანდათანობით გამოსწორდა და დღეს თამამად შეიძლება აღინიშნოს, რომ გლეხკომების მუშაობა საგრძნობლად გაფართოვდა და გაუმჯობესდა. ამის ნათელ სურათს გვაძლევს ამ დღეებში ჩატარებული ქუთაისის სამაზრო გლეხკომის პლენუმი, რომელსაც 50 ძირითადი ორგანიზაციების წარმომადგენლები დაესწრო. როგორც პლენუმზე გამოირკვა, გლეხკომების მიერ ღარიბთათვის აღმოჩენილი დახმარების რაოდენობა 68 ათას მანეთს უდრის. გარდა ამ მნიშვნელოვანი დახმარებისა, გლეხკომებს გადაწყვეტილი აქვს ღარიბი გლეხობისათვის სათესლე სიმინდის მიწოდება 1.500 ფუთის რაოდენობით.

მიუხედავად ამ მიღწევების, გლეხკომებს ჯერ კიდევ აქვთ თავიანთ მუშაობაში ნაკლოვანებანი. ამათში უმთავრესი ის გარემოებაა, რომ მათ არ გადაუდგამთ სათანადო ნაბიჯი სასოფლო მეურნეობის კოლექტიურად გარდაქმნის საქმეში. ამ მხრით მათი მუშაობა უსათუოდ სუსტია და ვერ იძლევა იმ ეფექტს, როგორიც საჭირო და აუცილებელია.

გლეხკომებში უმთავრესად გაერთიანებულია ღარიბი გლეხობა. მათი დარაზმვა კოლმეურნეობებში გლეხკომების საქმიანობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან საქმეს უნდა წარმოადგენდეს, მიუხედავად ამისა, ზოგიერთი, თვით გლეხკომებში მომუშავენი ჰაურბიან კოლექტივებში გაერთიანებას. ამ ნაკლის აღმოფხვრას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ამასთან ერთად საჭიროა გლეხკომებიდან განიდევნონ ის თითო-ოროლა არასასურველი ელემენტები, რომლებიც ფლანგავენ გლეხკომის ქონებას და დაინტერესებული არიან ეს ორგანიზაცია თავისი საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენონ.

ვ. ვ.

მუშაობა სუსტია

საგარეჯო, თბილისის მაზრა

საგარეჯოს სასოფლო გლეხკომის გაჯანსაღებას არაფერი ეშველა. ჯერ იყო და მისი ქონება გაფლანგეს, რის გამო დამნაშავეთ უკვე მოეთხოვათ პასუხი. მაგრამ, სამწუხაროდ ის არის, რომ მისი გამოსწორება და საღ გზაზე დაყენება კიდევ ვერ მოხერხდა. ადგილობრივ ხელისუფლებამ ვერ შეურჩია საგარეჯოს გლეხკომს რიგიანი მესვეურები. წარსულ თვეში გლეხკომის თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. ი. ღუღუნიშვილი, რომელიც ამავე დროს კოოპერატივის ნოქარია და სრულებით არა აქვს დრო, რომ გლეხკომის მუშაობა აწარმოოს ნაყოფიერად. დროა ადგილობრივ ხელისუფლებამ იზრუნოს გლეხკომის გაჯანსაღებაზე.

ვ. გარსიაშვილი.

ჩვენი მიღწევები

(ქუთ. სამაზრო გლეხკომის პლენუმი)

20 აპრილს, გაიხსნა ქუთაისის სამაზრო გლეხკომის გაფართოებული პლენუმი. პლენუმზე გამოცხადდა 50 ძირითადი ორგანიზაციების წარმომადგენელნი. პლენუმის სხდომა გახსნა ამხ. ჟორჟოლიანმა. დღის წესრიგში იყო დასმული შემდეგი საკითხები: 1) სამგლეხკომის და თემგლეხკომების მოხსენება მათი განვლილ მუშაობა - საქმიანობაზე; 2) თესვის კამპანიაში გლეხკომების მონაწილეობა, 3) გლეხთა სახლის გასაფართოვებლად თანხების გამონახვა; 4) პლენუმის და პრეზიდიუმის შევსება და 5) მიმდინარე საკითხები.

მოხსენების ირგვლივ შემოვიდა მრავალი საქმიანი შეკითხვები და გაიხსნა გაცხოველებული კამათი.

განვლილი მუშაობა პლენუმის მიერ ცნობილი იქნა დამაკმაყოფილებლად. მომავალი მუშაობის გასაცხოველებლად გლეხკომებს მიეცათ ახალი გეგმა და მთელი რიგი ამომწურავი პრაქტიკული ღონისძიებანი, დაკვრითი წესით ცხოვრებაში გასატარებლად.

გეგმის თანახმად უმთავრესი ყურადღება მიქცეული აქვს გეგმიან მუშაობას, კოლექტივების ქსელის გაფართოვებას და მათზე ფულადი და ნატურით დახმარების გაწევას. მაზრაში თესვის კამპანიის ნაყოფიერად ჩატარებას, რაც გამოხატულია თესლის მიწოდებაში, იარაღ-მანქანებით მოხმარებაში, ნათესების გაფართოვება-გადიდებაში, შრომითი დახმარების აღმოჩენაში. აგრეთვე ღარიბებზე, ინვალიდებზე, ქვრივ-ობლებზე, წით.-არმ. უმუშახელო ოჯახზე და ყველა უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირებზე მაქსიმალური დახმარების აღმოჩენა, როგორიცაა დაუბრუნებელი ფულადი და ნატურალური სესხები.

პლენუმის სხდომამ დაადასტურა, რომ ქუთაისის მაზრ. არსებულ გლეხკომებს, განვლილ საანგარიშო პერიოდში ყოველგვარი დახმარება გაუწევია ფულად და ნატურით, რაც ფულზე გადაყვანით უდრის — 68.000 მანეთს, გარდა კულტურულ დარგში გაწეული და ჩატარებული მრავალგვარი მუშაობისა.

თესვის კამპანიის დარგში სამგლეხკომს გეგმაში აქვს გათვალისწინებული კოლმეურნეობებზე და ღარიბებზე დაარიგოს დაუბრუნებლად 1.500 ფუთი სათესლე მასალა. მათ შორის 500 ფუთი უკვე დარიგებულია. აგრეთვე სამგლეხკომმა გოდონის და წყალტუბოს ღარიბებიდან შემდგარ კოლექტივებს, გადასცა ორი წისქვილი, 5 საბრუნავი ქვით, ღირებული 3,000 მანეთამდე.

პლენუმმა მიაქცია აგრეთვე ყურადღება სამაზრო გლეხთა სახლის გაუმჯობესებას რადიო - სადგურით, საწოლების გაფართოვებით, და სხვა, რისთვისაც საჭიროდ სცნო გაღებულ იქნას ყველა გლეხკომების მიერ 3.500 მანეთი.

ქ. იმნაძე.

დასაჯეთ გამფლანგველი

ბაღდათის თემი, ქუთაისის მაზრა

ბაღდათის თემის გლეხკომის მდივნად მსახურობდა ალექსანდრე ფულარიანი, რომელიც ამავე დროს ითვლებოდა ა. ლ. კ. კ. თემკომის მდივნად და თემსაბჭოს პრეზიდიუმის წევრად. ორჯერ მოხდენილ რევიზიის დროს გლეხკომში არავითარი დანაკლისი არ აღმოჩენილა, ხოლო 12 აპრილს მესამედ მოხდა რევიზია, ვინაიდან ფულარიანი შესცვალა ივანე ჩიქვინიძემ. უკანასკნელი რევიზიის დროს აღმოჩნდა, რომ ფულარიანი გლეხკომში სხვადასხვა წყაროებიდან შემოსულ თანხების ნაწილს თვითონ ითვისებდა და ორდერის ერთ მხარეს ნაკლებს აღნიშნავდა. ასეთი ფანდებით ფულარიანს მიუთვისებია გლეხკომის თანხებიდან 74 მან. 90 კაპ., რომლის გამოაშკარავებისთანავე ფულარიანი მიიმალა და ცდილობს საქმის მიფუჩეჩებას.

საჭიროა ასეთი კომბინატორებს, რომლებიც ითვისებენ სახალხო ქონებას და სახელს უტეხენ გლეხკომის მუშაობას, მოეთხოვოს სასტიკი პასუხი.

მრახი.

აღმოვფხვრათ ნათლიმამობა

სოფ. ხევი, გურია

სოფელ ხევის გლეხკომი დიდი ხანია არსებობს, მაგრამ მათი გამგეობის ცუდი მუშაობით და ზემდგომი ორგანოების უყურადღებობით ჩვენს გლეხკომს არავითარი წინსვლელობა არ ეტყობა. პირიქით, მისი საქმიანობა თანდათან უკან მიდის. გასულ წელში გლეხკომს თავმჯდომარეობდა ამხ. ბ. სიხარულიძე, თავის მუშაობის დროს მან ხევში გახსნა გლეხკომის სახარაზო და სასადილო. სახარაზოში გამგეთ დააყენა თავისი შვილი, ხოლო სასადილოში თვითონ მოეწყო ვინმე რამიშვილთან ერთად. მამა-შვილმა „კარგად" შესძლეს გლეხკომის საქმის წაყვანა. ნელ-ნელა გამოსასლეს გლეხკომის ქონება. იზარალა როგორც სასადილომ, ისე სახარაზომ, მიუხედავად იმისა, რომ საქონელი იყიდებოდა როგორც კერძო ბაზარზე.

სიხარულიძეს საბოლოო ანგარიშით დააკლდა 400 მანეთი, მაგრამ ამ ფულის გაფლანგვისათვის მისთვის არავითარი პასუხი არ მოუთხოვიათ. მიმდინარე წელში გლეხკომის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ილარიონ მამალაძე, რომელმაც გლეხკომის სახარაზო დახურა და გახსნა მხოლოდ სასადილო. სასადილოში გამგეთ დააყენა თავისი დის შვილი ა. ჩანტლაძე, რომელიც გასულ წლებში მსახურობდა კერძო სასადილოში და მისი გულის ყური იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ გლეხკომის სასადილო როგორმე ჩაეხშო. ეხლა ეს ვაჟბატონი თვით მოექცა გლეხკომის სასადილოში და როგორც სურს, ისე მოიხმარს გლეხკომს.

საჭიროა გლეხკომების ასეთ ხელმძღვანელებს მიექცეს ჯეროვანი ყურადღება, გადახდეს სიხარულიძეს გაფლანგული თანხა, ხოლო ამჟამად გლეხკომიდან მოცილებული იქნას ისეთი ელემენტები, რომლებიც ბიძაშვილობენ და აყენებენ გლეხკომში კერძო ვაჭრებს.

ხეველი.

გლეხკომის სასადილოა თუ სამიკიტნო?

აბაშის თემი, სენაკის მაზრა

ზოგიერთ გლეხკომებს გახსნილი აქვთ სასადილოები. ერთი ასეთი სასადილო აქვს აბაშის თემის გლეხკომსაც. ზემოაღნიშნული სასადილო სამიკიტნოს უფრო მოგაგონებთ, ვინემ ნამდვილ სასადილოს. მასში დაუსრულებელი ღრიანცელია, ფასები ისეთივეა, როგორც კერძო სამიკიტნოებში. სასადილო მოუწყობელია და სოფლიდან ჩამოსულ გლეხობას მთელი საათობით უხდებათ ლოდინი სადილისათვის, სასადილოს თანამშრომლებიც ყურადღებას არ აქცევენ თავიანთი მოვალეობის შესრულებას. იმ დროს, როცა ასეთ სასადილოებში განსაზღვრული ნორმით უნდა არსებობდეს ღვინის გაცემა, ასეთ წესს აქ არავინ ასრულებს.

საჭიროა გლეხკომების სასადილოები არ გავდნენ უბრალო სამიკიტნოებს, ისინი უნდა იყვნენ ისეთი სასადილოები, სადაც მომხმარებელს შეეძლება ნორმალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. კერძოდ გლეხკომის სასადილოები პირველ რიგში სამსახურს უნდა უწევდნენ სათემო ცენტრში საქმეზე მოსულ მშრომელ გლეხობას.

ნ. მ—ძე.

უმართებულო ბრალდება

მიმდინარე წლის 3 მარტის „კომუნისტში" მოთავსებული იყო კორესპონდენცია, რომლის ავტორიც აღნიშნავდა, თითქოს სტუდ. აკაკი ბაღათურია არის კულაკის შვილი და მას უკანონოდ ეძლევა სტიპენდია სახელმწიფოსაგან. როგორც ადგილობრივი კვლევაძიებით და წარმოდგენილი საბუთებით დადასტურდა, აღნიშნულ კორესპონდენციაში ხსენებული ფაქტი არ შეესაბამება სინამდვილეს. ამხ. აკ. ბაღათურია არის პარტიის წევრი და აქტიური საზოგადოებრივი მუშაკი. მამა მისი კი საშუალო გლეხია.

ა.-კ. სახკომსაბჭოში

დამატებითი ავანსების გაცემა ღარიბ მებამბეებზე

ა.-კ. სახკომსაბჭოს დადგენილებით, ღარიბ მებამბეებისათვის დამატებითი ავანსების მისაცემი ფონდი ა.-კ. ფედერაციაში შემავალ რესპუბლიკებს შორის განაწილებულია შემდეგნაირად: აზერბეიჯანის რესპუბლიკას მიეცემა 700.000 მანეთი. აქედან 564.000 მანეთი ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეობათათვის და 136.000 მანეთი კოლექტიურ მეურნეობებისათვის; სომხეთს—230.000 მანეთი. აქედან ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეთათვის —205.000, ხოლო კოლექტიურ მეურნეობებისათვის—25.000 მანეთი; საქართველოს 63.000 მანეთი ინდივიდუალურ ღარიბ მეურნეთათვის და 7.000 მანეთი კოლექტიურ მეურნეობათათვის.

ბამბის მეურნეთა სოციალური შემადგენლობის შემოწმება

ამიერ-კავკასიის მებამბეობის კომიტეტს დაევალა ა.-კ. ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოსთან ერთად დაამუშაოს ამიერ-კავკასიაში ბამბის მეურნეთა სოციალური შემადგენლობის საკითხი და სათანადო მოხსენება წარადგინოს ა.-კ. სახკომსაბჭოში არა უგვიანეს ა. წ. 1-ლ ივნისისა.

ტყეების დასაცავად

ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკების სახკომსაბჭოებს წინადადება მიეცემა მიწადმოქმედების კომისარიატების 1928—29 წ. ხარჯთ-აღრიცხვაში ტყის დასაცავად გათვალისწინებულ თანხებს გარდა დამატებით შეიტანონ 89.000 მანეთი. აქედან აზერბეიჯანის ტყეების დასაცავად—21.000 მანეთი და საქართველოს ტყეების საჭიროებისათვის—68.000 მანეთი.

საქ. სახკომსაბჭოში

ხილის ბაღების წამლობა

სახკომსაბჭომ მოიწონა სამხრეთ-ოსეთში, გორისა და ახალციხის მაზრებში 1928—29 წ. ხილის ბაღების მასიური წამლობის ჩასატარებლად მიწსახკომისა და სოფლის კავშირის მიერ შემუშავებული ხარჯთაღრიცხვა 150.000 მან. რაოდენობით, აქედან გორის მაზრისათვის — 101.550 მან., ახალციხის მაზრისათვის — 28.000 მან. და სამხრეთ-ოსეთისათვის — 20.000 მან.

ხილით მოვაჭრე ორგანიზაციებს დაეკისრა ხსენებული 150.000 მან. გაღება.

ხილით მოვაჭრე ორგანიზაციებს უფლება აქვთ ხილის ბაღების მასიური წამლობისათვის გაღებული თანხა აინაზღაურონ ამ ხარჯების შეტანით ხილის გასაყიდ ფასების კალკულიაციაში.

ხილის ბაღების მასიური წამლობა ჩატარდება მიწსახკომის პასუხისმგებლობის ქვეშ.

ბაღების მასიური წამლობის საქმის თვით მებაღეების მიერ თანდათანობით შეთვისების მიზნით სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო კონტრაქტაციის ხაზით შემდეგი ზომების გატარება:

სავალდებულოდ იქნა ცნობილი მებაღეთათვის თავის ბაღის საწამლავად საჭირო მუშა-ხელის უფასოდ მიწოდება, წინააღმდეგ შემთხვევაში სოფლის კავშირს უფლება ექნება მუშის დაქირავებისა იმ პირობით, რომ ამაზე გაწეული ხარჯი „სოფლის კავშირმა" აინაზღაუროს მიღებული ხილის ღირებულებიდან.

ზემოხსენებულ დადგენილების გასატარებლად საჭიროდ იქნა ცნობილი კომისიის დაარსება ადგილებზე (სამხრეთ-ოსეთში, გორისა და ახალციხის მაზრებში) მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლის, „სოფლის კავშირი"-სა და აღმასკომის სავაჭრო სექციის თავმჯდომარის შემადგენლობით.

ხაშურის უბნის რკინისგზელ მუშკორთა თათბირი

ხაშურის რკინისგზელ მუშკორებმა თათბირი მოიწვიეს პრესის დღესთან დაკავშირებით კვირას, 5 მაისს. ამ დღეს რკინის გზის მუშათა კლუბში გაიხსნა ზემოხსენებული უბნის მუშკორთა თათბირი, რომელსაც დაესწრო 50-მდე დელეგატი როგორც ხაშურიდან, ისე რკინისგზის ხაზის სხვადასხვა ადგილებიდან. თბილისიდან თათბირს დაესწრო გაზ. „კომუნისტი"-ს, „მუშა"-ს და „ზარია ვოსტოკა"-ს წარმომადგენლები.

თათბირის დღის წესრიგში დასმული იყო შემდეგი საკითხები: 1) მოხსენება სრულიად საქართველოს მუშკორთა პირველი თათბირის შედეგების შესახებ; 2) მოხსენება მუშგლეხკორთა დაცვის შესახებ და 3) საწარმოო და შრომის დისციპლინა.

პრეზიდიუმის არჩევის შემდეგ მუშ-გლეხკორთა სრ. საქართველოს 1-ლი თათბირის შედეგებზე მოხსენება გააკეთა გაზ. „კომუნისტი"-ს წარმომადგენელმა ამხ. ელიაძემ, რომელმაც დაწვრილებით გააშუქა თათბირის მიერ მიღებული დადგენილებები და განმარტა, თუ რა ცვლილებები შეიტანა თათბირმა მუშ-გლეხკორთა მოძრაობის შემდგომი ზრდისა და გაჯანსაღებისათვის.

მოხსენების ირგვლივ შემოვიდა მრავალი შეკითხვა. შეკითხვები უმთავრესად ეხებოდა იმ მტკივნეულ საკითხებს, რომლებიც ჯერ კიდევ თან სდევს მუშ-გლეხკორთა მოძრაობას. მომხსენებელმა დამაკმაყოფილებელი პასუხი გასცა თვითეულ შეკითხვას, რის შემდეგ გაიხსნა კამათი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ამხ. ტატიშვილმა, მუავანაძემ, ჰუმბურიძემ, ესაიაშვილმა, ქამუშაძემ, ზვიადაძემ, ნავროზაშვილმა, პაპუაშვილმა, ფარემუზოვმა, კოტიშენკომ და მეგრელიშვილმა.

თითქმის ყველა მოკამათენი აღნიშნავდენ მუშ-გლეხკორთა მოძრაობაზე სუსტ ხელმძღვანელობას პარტორგანიზაციებისა და რედაქციების მხრივ და მოითხოვდნენ ამიერიდან მაინც რედაქციებმა უფრო მჭიდრო კავშირი დაამყარონ მუშ-გლეხკორთა ორგანიზაციებთან და გაუწიონ მტკიცე ხელმძღვანელობა კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს. კამათში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე გაზ. „მუშა"-ს წარმომადგენელმა ამხ. ქელიძემ და „ზარია ვოსტოკა"-ს წარმომადგენელმა ამხ. ზორიფანმა.

თათბირის პირველ სხდომაზე დამთავრდა კამათი მოხსენების ირგვლივ.

მეორე სხდომაზე თათბირმა მოისმინა მომხსენებლის საბოლოო სიტყვა და მიიღო სათანადო რეზოლიუცია, რომელიც სავსებით იწონებს სრ. საქ. მუშ-გლეხკორთა პირველი თათბირის მიერ მიღებულ დადგენილებებს.

დღის წესრიგის მეორე საკითხი — მუშკორთა დაცვის შესახებ — მოიხსნა დღის წესრიგიდან თათბირზე პროკურატურის წარმომადგენლის გამოუცხადებლობის გამო.

საწარმოო და შრომის დისციპლინის შესახებ მოხსენება გააკეთა საუბკომის ინსტრუქტორმა ამხ. რომუსმა. მომხსენებელმა განმარტა თუ რა როლი უნდა შეასრულონ მუშკორებმა სოციალისტურ შეჯიბრთან დაკავშირებით საწარმოო და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. თათბირს მოხსენების ირგვლივ კამათი არ გაუმართავს და მიიღო ის სახელმძღვანელოდ.

თათბირმა დაადგინა პრესის დღის აღსანიშნავად მისასალმებელი დეპეშები გაუგზავნოს გაზ. „კომუნისტი"-ს, „ზარია ვოსტოკა"-ს, „მუშა"-ს და „რაბოჩაია პრავდა"-ს რედაქციებს და საგზაო კომიტეტს.

თათბირზე მუშკორებისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა ამხ. ახალკაცმა. დელეგატებმა გადაიღეს სურათი.

თათბირის უფრო ვრცელ ანგარიშს მოვათავსებთ ჟურნალ „საქართველოს მუშგლეხკორი"-ს პირველ ნომერში.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ თათბირის მუშაობა იყო ფრიად საქმიანი და ეჭვს გარეშეა ის სათანადო ნაყოფს გამოიღებს ხაშურის უბნის მუშკორთა მოძრაობაში.

დამსწრე.

უცხოელ ექსკურსანტების მისაღებად

საბჭოთა და სავაჭრო ფლოტის („სოვტორგფლოტ") თბილისის კანტორასთან შესდგა თათბირი მომავალი საექსკურსიო სეზონის სამზადისთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხების მოსაგვარებლათ. თათბირს დაესწრნენ „სოვტორგფლოტის" სხვადასხვა განყოფილებების წარმომადგენლები.

თათბირზე გაკეთებული მოხსენებიდან გამოირკვა, რომ მომავალ ზაფხულზე უცხოეთის მთელ რიგ ქვეყნებიდან საბჭოთა კავშირში მოემგზავრებიან მრავალრიცხოვანი ექსკურსიები, რომელთა უმრავლესობა დაინტერესებულია სპეციალურათ ამიერ-კავკასიის დათვალიერებით. უცხოელი ექსკურსანტების მოძრაობის მომწესრიგებელი ცენტრალური კანტორის ვარაუდით, მარტო საქართველოს სამხედრო გზატკეცილით საქართველოში ჩამოვა 7.000-დან 10.000-მდე უცხოელი ექსკურსანტი.

უცხოელი ექსკურსანტების მოძრაობის მომწესრიგებელი კანტორის მაგიერ, გადაწყვეტილია, მოსკოვში, მოეწყოს ახალი სააქციო საზოგადოება „რუსტურისტ"-ი, რომელიც უხელმძღვანელებს ექსკურსიების მოწყობას და მისცემს მათ მარშრუტებს მთელი საბჭოთა კავშირის ფარგლებში. ახალ საზოგადოებაში აქციონერებათ შევლენ — „სოვტორგფლოტი", გეოგრაფიული საზოგადოებანი და სხვა დაინტერესებული დაწესებულებები.

საქართველოში და მთელ ამიერ - კავკასიაში სხვადასხვა ექსკურსიების, უმთავრესად კი უცხოეთიდან ჩამოსულ ექსკურსიების მოძრაობის მოსაწესრიგებლათ და ექსკურსანტებისათვის სხვადასხვა საჭირო ცნობების მისაწოდებლათ, თბილისში უნდა დაარსდეს მოგზაურობის ბიურო, რომელიც ამიერ - კავკასიაში შეასრულებს საზოგადოება „რუსტურისტ"-ის ფუნქციებს.

თათბირმა საჭიროთ და აუცილებლათ აღიარა აღნიშნული ბიუროს მოწყობა თბილისში.

ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის თათბირი

პირველი სხდომა

გუშინ, „ა.-კ. სოფლის კავშირში" გაიხსნა ა.-კ. სას.-სამ. კოოპერაციის წარმომადგენელთა პირველი თათბირი, რომელზედაც მონაწილეობას ღებულობენ საქართველოს, აზერბეიჯანის, სომხეთის და ავტონომიურ რესპუბლიკათა სას.-სამ. კოოპერაციის ცენტრების, სპეციალურ სას.-სამ. ცენტრებს და მსხვილ სპეციალურ სას.-სამ. ამხანაგობათა წარმომადგენლები.

თათბირის პირველ სხდომაზე მოსმენილი იქნა მოხსენებები ადგილებიდან — სტატისტიკური მუშაობის მდგომარეობის შესახებ. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ სტატისტიკური მუშაობა მეტად მოიკოჭლებს, როგორც რესპუბლიკანურ ცენტრებში, აგრეთვე, განსაკუთრებით, ძირითა ქსელში. არ არის შემუშავებული სტატისტიკური მუშაობის მტკიცე ფორმები, ყოველი ცალკე ცენტრი მუშაობას აწარმოებს საკუთარი მეთოდის მიხედვით. რესპუბლიკანური ცენტრების მუშაობა კიდევ გართულებულია იმ გარემოებით, რომ მეტად ძნელდება საჭირო ცნობების თავის დროზე შეკრება, რაც დიდათ აზიანებს სტატმუშაობის წარმატებას და ნაყოფიერებას.

მეორე სხდომა

თათბირის მეორე სხდომაზე, გუშინ საღამოს, მოსმენილი იქნა ა.-კ. სოფლის კავშირის სტატისტიკური განყოფილების გამგის ამხ. ე. იაკობაშვილის მოხსენება სტატისტიკური მუშაობის გეგმის და ფორმების შესახებ.

ამხ. იაკობაშვილის მოხსენების შემდეგ თათბირმა მოისმინა გაზეთ „ზარია ვოსტოკა"-ს წარმომადგენლის ამხ. ზახაროვის საინფორმაციო მოხსენება ამიერ - კავკასიის კოლმეურნეობათა დათვალიერების შედეგების შესახებ. მომხსენებლის სიტყვით, დათვალიერებამ ნათლად გამოარკვია, რომ ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობებში ადგილი არა აქვს წევრთა ისე ხშირ ცვალებადობას, როგორც რუსეთში. კოლმეურნეობათა მოძრაობაში გამოირკვა სოფლის მუშაკ ენტუზიასტ-კომუნისტის სახე, რომელსაც სრული შეგნებით და მტკიცე ნაბიჯით მიყავს ჩვენი სოფლის მეურნეობა რეკონსტრუქციის გზით. გამოირკვა აგრეთვე, რომ გარდა აშკარად მტრულად განწყობილ უცხო ელემენტებისა, კოლმეურნეობათა მშენებლობას ხელს უშლიან გაკულაკების გზაზე მდგომი კომუნისტების მეურნეობებიც. თითქმის სრულიად არ არის მოგვარებული ორგანიზაციული და აგრიკულტურული ხელმძღვანელობა. სუსტად არის დაყენებული სესხების და იარაღ-მანქანების განაწილების საქმე.

მოხსენების გარშემო გამართულ აზრთა გაცვლა-გამოცვლის დროს გამოირკვა, რომ დათვალიერების შედეგათ მიღებული დასკვნები საჭიროებენ შესწორებას, ვინაიდან ჯერ ერთი თვით დათვალიერების დროს შეგროვილი ცნობები არ შეიძლება ჩაითვალოს სწორად და შემდეგ დათვალიერების შემდეგ კოლმეურნეობათა მშენებლობაში მოხდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. კოლმეურნეობათა მოძრაობის ნამდვილი სურათის და მტკივნეული საკითხების გამოსამჟღავნებლად საჭიროდ იქნა ცნობილი ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობათა ეკონომიური გამოკვლევის ჩატარება.

რადიო-გაზეთი ჩვენში

რადიო-გაზეთი ანუ გაზეთი „უქაღალდოთ და უსივრცოთ", ახალი საქმეა არა მარტო ჩვენში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიაც.

ქართულ რადიო - გაზეთს სულ ათი თვის არსებობის ისტორია აქვს.

პირველად ცალ-ცალკე გამოდიოდა „გლეხური" და „მუშათა" რადიო -გაზეთი. ეხლა კი ორივე ეს გაზეთი გაერთიანებულია მთლიან ყოველდღიურ ორგანოთ.

ამ გაზეთის გამოშვებას, უკეთ, რომ ვთქვათ, მის ეთეროვან სივრცეში გადაცემას, მრავალი გარემოება ამართლებს. მათ შორის მთავარი ისაა, რომ მისი მოსმენა მისაწვდომია, როგორც წერა-კითხვის მცოდნეთათვის, ისე უცოდინარებისათვისაც. ამ მხრივ ის განსაკუთრებით დიდ სამსახურს უწევს საქართველოს ჩამორჩენილ, მივარდნილ კუთხეებს, სადაც წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი მეტად მცირეა. ესეც, რომ არ იყვეს, ისეთ ადგილებში, როგორიცაა სვანეთი, ხევსურეთი და სხვა მოწყვეტილი კუთხეები, ბეჭდვითი ორგანო ერთობ დაგვიანებით აღწევს; რადიო-გაზეთისათვის კი არ არსებობს არც უგზოობა, არც მანძილის სიდიდე.

ეთეროვანი ტალღით, ელვისებური სისწრაფით ვრცელდება ახალი და ცოცხალი სიტყვა. გარდა ამისა, თავისი აუდიტორიის თავისებურობით, რადიო - გაზეთს ვერც ერთი ბეჭდვითი ორგანო ვერ შეედრება: მას არ ჰყავს „ხელის მომწერნი". არა აქვს განსაკუთრებული ტირაჟი, მისი მსმენელთა რიცხვი განუსაზღვრელი და მრავალფეროვანია.

არ შეიძლება აგრეთვე არ აღინიშნოს, რადიო-გაზეთის კიდევ ერთი უპირატესობა, — სახელდობრ ის, რომ რადიო-გაზეთში თვითეული მასალა მოცემულია მდაბიო, ყველასათვის გასაგებ და საინტერესო საუბრების სახით.

როგორც ყოველ ახალ საქმეს, ჩვენ რადიო-გაზეთსაც არ შეიძლება არ ქონდეს წმინდა ობიექტიური ხასიათის ნაკლოვანებანი. ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ არ გვაქვს საქმისათვის საჭირო გამოცდილება, არ ვიცით, რაზე ან როგორ უნდა ვსწეროთ რადიო-გაზეთში, რომ უკეთ დავაკმაყოფილოთ მსმენელთა მასები. ის რაც გამოდგება ბეჭდვითი ორგანოსათვის, შეიძლება სრულიად მიუღებელი იქნეს რადიო-გაზეთისათვის. რადიო - გაზეთი უნდა იწერებოდეს ცოცხალი, მიმზიდველი და რაც შეიძლება მდაბიო ენით. გრძელი პერიოდული წინადადებანი მისთვის მიუღებელია. ბუნდოვანება და მძიმე კილო, — რადიო-გაზეთის ყველაზე უბოროტესი მტერია. გარდა ამისა, საქართველოს პირობებში რადიო-გაზეთმა ანგარიში უნდა გაუწიოს მრავალფეროვან ეკონომიურ, სოციალურ, ეტნოგრაფიულ, გეოგრაფიულ, კულტურულ და, საერთოდ, ყოფაცხოვრების საკითხების თავისებურობას. მაგალითად, ის რაც საინტერესო და სასარგებლოც არის კახელ გლეხისათვის, შესაძლებელია სრულიად გაუგებარი და ინტერესს მოკლებული იქნეს რაჭველ გლეხისათვის. სწორედ ამ თავისებურებათა გათვალისწინებით ხდება რადიო-გაზეთის მასალის შერჩევა - დამუშავება.

რადიო - გაზეთს კორესპონდენტთა საკმაო რაოდენობა ჰყავს. მას თვეში ორასამდე წერილი მოსდის, მაგრამ ყველა წერილების გამოყენება, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, მცირე მნიშვნელობის შენიშვნასაც ჩვენ უყურადღებოდ არ ვტოვებთ. თვითეული კორესპონდენტი ღებულობს ჩვენგან სათანადო პასუხს იმის შესახებ, თუ რა ბედი ეწვია მის მიერ გადმოგზავნილ მასალას.

პრესის დღესთან დაკავშირებით, რადიო-გაზეთი ატარებს ერთ-თვიურ კამპანიას, რომლის მიზანია რადიოს მსმენელთა დახმარებით გამოამჟღავნოს გაზეთის ყველა მტკივნეული საკითხი და ნაკლოვანებანი. ამ მიზნით მივმართავთ რადიო - მსმენელებს, მუშგლეხკორებს, სამკითხველოების გამგეებს, კომკავშირის და პარტუჯრედებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს — გამოეხმაურონ ამ კამპანიას და მოგვაწოდონ ყოველგვარი შენიშვნები და მითითება - წინადადებანი იმის შესახებ, თუ რამდენათ დამაკმაყოფილებელია რადიო - გაზეთში მოთავსებული საუბრები, რა არის საჭირო იმისათვის, რომ რადიო - გაზეთი უკეთ აკმაყოფილებდეს მასების ფართო აუდიტორიის ინტერესებს..

ამასთანავე, პრესის დღესთან დაკავშირებით, რადიო-გაზეთი დაკვრითი ამოცანათ ისახავს კორესპონდენტთა რიცხვის ერთი სამათ გადიდებას.

ამას შევძლებთ მაშინ, თუ რადიო-აუდიტორია სათანადოდ გამოეხმაურება ჩვენი მუშაობის შემოწმებისა და კორესპონდენტთა რიცხვის გადიდების ერთ-თვიურ კამპანიას.

„რადიო-გაზეთი"-ს რედაქცია

მოუაროთ ტყეებს

(ტყის დღის გამო)

უკვე მესამე წელია ვატარებთ ჩვენში ტყის დღეს და შედეგებს ჯერჯერობით ნაკლებათ ვხედავთ. ჯერ კიდევ ნაკლებათ აქვს შეგნებული მშრომელ გლეხობას ტყის მნიშვნელობა, რის გამო მოვლის და დაცვის მაგიერ ტყეებს ანადგურებს უსისტემო გაჩეხვით, ახოების გაკეთებით, ცეცხლის წაკიდებით, საქონლის ძოვებით და სხვა. ის ღონისძიება, რომელსაც ატარებს სატყეო განყოფილება წმინდა ადმინისტრატიული ხასიათისაა და არ არის საკმარისი, საჭიროა კულტურული დონის ამაღლება და შეგნების შეტანა გლეხობის ფართე მასებში ტყის მნიშვნელობაზე.

ყველასათვის თვალსაჩინოა ის ზარალი, რომელიც მოაქვს წყალდიდობას. ხშირად გაიგონებთ, რომ წყალმა მოგლიჯა და წაიღო სახლები, ბაღ-ვენახები და გლეხის სარჩო-საბადებელი, გააფუჭა გზები, ზაფხულობით შრება წყაროები და მდინარეები, გვალვები აფუჭებენ მოსავალს და სხვა. ყველა ეს საზარალო მოვლენები გამოწვეულია უმთავრესად ტყეების განადგურებით. რამდენათაც ადვილია ტყის გაჩეხა და მოსპობა, იმდენათ ძნელია ტყის მოშენება და მოითხოვს მნიშვნელოვან თანხებს. ამისათვის გლეხმა უნდა იცოდეს ტყისაგან დიდათ დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის წარმოება, მოსავლიანობის გადიდება, საწვავი, საშენი და სას. სამ. იარაღების მასალის მიწოდება და კიდევ, თვით ადამიანის ჯან-მრთელობაც. ყოველივე ეს უნდა აუხსნათ, განუმარტოთ გლეხობას, როგორც საბჭოს სხდომებზე, საწარმოო თათბირებზე და საერთო სოფლის კრებებზე, ისე ინდივიდუალურათაც შესაძლებლობის ფარგლებში, ისე ვერ მივაღწევთ იმ მიზანს, რომელიც გვაქვს დასახული ამ დარგში.

გორის მაზრაში გლეხობას გადაეცა 32.000 ჰექტარი ადგილობრივ მნიშვნელობის ტყეები მოსავლელათ, მაგრამ ზოგიერთმა სოფლებმა ეს ბოროტად გამოიყენეს და მოვლის მაგივრათ ანადგურებენ, მაგალითად სოფ. მეტეხმა 4 წლის მარაგი უკვე გამოიტანა და დაწვა, ასევე მოიქცა კავთისხევის და სხვა სოფლებიც, რაც ყოვლად დაუშვებელია. ამისათვის ასეთ სოფლებს ვართმევთ ტყეებს და ვრიცხავთ სახელმწიფო ფონდში. სატყეო ადმინისტრაცია ტყის დღესთან დაკავშირებით უნდა ეცადოს ხელმძღვანელობა გაუწიოს ტყის გამოხშირვას, დაჯირკვის და შემოღობვის დროს და ჩაატარონ საუბრები. მაზრაში გამოყოფილია კომისია, თემებზე მიმაგრებულია ამხ-ბი ტყის დღის ჩატარებისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად, შედგენილია გეგმები და შედეგებზე ვილაპარაკებთ მუშაობის დამთავრების შემდეგ.

იმედი გვაქვს ადგილებზე ამხანაგები მიაქცევენ სერიოზულ ყურადღებას ამ საკითხს და შესაფერ დახმარებას აღმოუჩენენ სატყეო ადმინისტრაციას ტყის დღის ჩატარებაში.

ლ. გოგოლაძე.

ნ. ჯაყელის ხსოვნას

ა.-წ. მაისის 5-ს, ქ. ბათომში გარდაიცვალა დამსახურებული პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე ნიკო (თეოფანე) ვახტანგისძე, ჯაყელი.

ნიკო ჯაყელი დაიბადა 1862 წელს სოფელ საყვავისტყეში (გურიაში). ოზურგეთის სამოქალაქო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, შევიდა თბილისის სამასწავლებლო ინსტიტუტში, რომელიც წარმატებით დაამთავრა 1884 წელს. ამ წლიდან ვიდრე გარდაცვალებამდე ნ. ჯაყელი დაუღალავად და თავდადებით მოღვაწეობდა პედაგოგიურ ასპარეზზე. ამ ხნის განმავლობაში ის მუშაობდა ქ. შუშაში, ბათომში, ჭიათურაში, ქულაშში, ქობულეთში და უკანასკნელად, 1919 წლიდან ისევ ბათომში.



ბოლო დროს ნ. ჯაყელი მუშაობდა ლენინის სახელობის შვიდწლედის გამგეთ.

ნიკო ჯაყელს მოუხდა საზოგადო ასპარეზზე გამოსვლა ისეთ დროს, როდესაც ძველი რუსეთის შავ-ბნელი რეაქცია განაპირა ქვეყნებს უსპობდა თავისუფალი კულტურული განვითარების საშუალებას. ამხ. ნიკო მთელი თავისი ხანგრძლივი პედაგოგიური მოღვაწეობის მანძილზე ღირსეულად ატარებდა მასწავლებლისა და საზოგადო მოღვაწის საპატიო დროშას.

მართალია, ამხ. ნიკო აღარ არის დღეს ჩვენს რიგებში, მაგრამ უკვდავია ის საქმე, რომელსაც ის 45 წლის განმავლობაში ემსახურებოდა და, რომელმაც უკვდავჰყო მისი ხსოვნა მის მიერ აღზრდილ მრავალრიცხოვან ახალგაზრდობის გულში.

ი. ფ.

წითელ ჯარში

ცვალებად წითელარმიელთა სამთვიანი შეკრება

მიმდინარე წლის მაისის შუა რიცხვებიდან იწყება 1906 წელში დაბადებულ იმ ცვალებად წითელარმიელთა სამთვიანი სამოსწავლო შეკრება, რომლებიც გასული წლის შემოდგომის გაწვევის დროს ჩაირიცხნენ ტერიტორიალურ ნაწილებში.

სამთვიანი სამოსწავლო შეკრებაში გასავლელად გაწვეული იქნებიან ტერიტორიალური ნაწილების ყველა ცვალებადელები.

შეკრება ჩატარდება მხოლოდ სამწყობრო ნაწილებში.

სამი თვის მეცადინეობის შემდეგ ცვალებადი წითელი არმიელები მიიღებენ წითელ ფიცს და შემდეგ ჩაირიცხებიან ტერიტორიალურ ნაწილების შტატის შემადგენლობაში.

სამთვიანი სამოსწავლო შეკრების მიზანია მოამზადოს სავსებით გაწვრთნილი მებრძოლი, რომელსაც შეეძლება შეასრულოს საბრძოლო ამოცანები ჯარის წვრილ განაყოფებში. ამასთანავე, სამთვიანი შეკრების დროს ცვალებადელმა [illegible] უნდა შეითვისოს პოლიტიკური ცოდნის განსაზღვრული მინიმუმი.

სამთვიანი შეკრების შემდეგ, ოთხი შემდგომი წლის განმავლობაში, ცვალებადელნი გაწვეულნი იქნებიან ზაფხულობით ერთთვიან სამოსწავლო შეკრებებზე.

სამთვიანი სამოსწავლო შეკრებიდან არავინ იქნება განთავისუფლებული.

შეკრებაზე დაგვიანებით გამოცხადების საპატიო მიზეზათ ჩაითვლება მძიმე ავადმყოფობა, დადასტურებული სახელმწიფო სამსახურში მყოფ ექიმების მიერ, რაიმე სტიქიური უბედურება (წყალდიდობა, გზების დაზიანება) და ცვალებადელის ყოფნა გამასწორებელ სახლში.

სოციალისტური შეჯიბრება წითელარმიაში

გარდა იმისა, რომ სოციალისტური შეჯიბრება სწარმოებს არმიის შიგნით, ზოგიერთი სამხედრო ნაწილები ეჯიბრებიან ქარხნებს. დამთავრდა ქარხანა „მილომას"-თან და „ტექსტილ"-თან № ასეულის შეჯიბრების პირველი ათ-დღიური. შეჯიბრების შედეგათ მოჰყვა დისციპლინალური სასჯელის შემცირება ასეულსა და ქარხნებში და სხვ.

ამიერ-კავკასიის ქვეითი ჯარის სკოლამ შეჯიბრებაში გამოიწვია კავკავის და მოსკოვის ქვეითი ჯარის სკოლები, აგრეთვე ქ. ბაქოს ლენინის რაიონის მუშები. (ადს).

ტერიტორიალური ნაწილების საზაფხულო ბანაკი

ტერიტორიალური ნაწილების საზაფხულო ბანაკის აგება წარმატებით მიმდინარეობს.

ბანაკის ასაგებ ადგილზე მოზიდულია დიდძალი საამშენებლო მასალა (ხე-ტყე, აგური).

სწრაფი ტემპით სწარმოებს სამზარეულოების, საწყობების და სხვა საჭირო შენობების აგება.

მოკლე ხანში დამთავრდება წყალსადენის გაყვანა.

დამთავრებულია ხიდის აგება მდინარე ელდანზე.

გაკეთებულია კარავების დასადგმელი მოედნები. მოწყობილია ბილიკები და გზები.

ა.-კ. მრეწველობის შესწავლა

საკავშირო ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმის დადგენილებით 1-ლ ივნისამდე უნდა ჩატარდეს ამიერ-კავკასიის მრეწველობის გამოკვლევა. გამოკვლევის ჩასატარებლად საკავშირო ს. მ. უ. ს.-თან არსებულმა სამრეწველო ინსპექციამ გამოჰყო სპეციალისტთა კომისია, რომელიც უკვე ჩამოვიდა თბილისში და შეუდგა მუშაობას.

კომისიამ უნდა გამოარკვიოს შემდეგი: რა მდგომარეობაშია ან განვითარების როგორი პერსპექტივები აქვს მრეწველობის სხვადასხვა დარგებს (რესპუბლიკანური, ადგილობრივი და შინამრეწველური); განხორციელებულია თუ არა ხელისუფლებისა და პარტიის დირექტივა პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შესახებ; როგორი ტემპით სწარმოებს კაპიტალური მშენებლობა და სხვა.

კომისიამ უკვე დაამთავრა აზერბეიჯანის მრეწველობის გამოკვლევა და მისი მდგომარეობის შესახებ გამოიტანა თავისი დასკვნები. საქართველოს მრეწველობის შესწავლას კომისია დაასრულებს ამ დღეებში. 6 მაისს კომისია დაიყო ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი გაემგზავრა ქუთაისში — ტყიბულის მრეწველობისა და ახალშენებათა დასათვალიერებლათ, ხოლო მეორე ჯგუფი გაემგზავრა ერევანში სომხეთის ს. მ. უ. ს. მუშაობასთან გასაცნობათ.

კომისია თავის მუშაობას ამიერ-კავკასიაში დაასრულებს ათ დღეში და ყველა შეკრებილ მასალებს წარადგენს საკავშირო ს. მ. უ. ს. პრეზიდიუმში.

როგორ ჩატარდა შემნახველ სალაროების ერთთვიური პროფკავშირებში

საქართველოს პროფსაბჭომ ჯამი გაუკეთა პროფკავშირების მონაწილეობას შემნახველი სალაროების ერთთვიურის კამპანიაში. კამპანია უმთავრესად ტარდებოდა პროფკავშირების კლუბებში და წითელ კუთხეებში. კამპანიის ჩამტარებელ ცენტრალურ კომისიის მიერ გამოყოფილი იყო სპეციალური კადრი მომხსენებლებისა, რომლებიც მუშა-მოსამსახურეების ფართო კრებებზე მოხსენებებს აკეთებდნენ დაზოგვის მნიშვნელობის შესახებ როგორც მუშის ყოფა - ცხოვრებაში, ისე ქვეყნის სამეურნეო მშენებლობის წარმატებით განვითარებისათვის. წარმოებებში, კლუბებში და წითელ კუთხეებში გამოშვებული იქნა კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, რომლებშიაც გაშუქებული იყო მუშების შემნახველ სალაროებში ჩაბმის მნიშვნელობა.

მუშების კრებებზე ვრცელდებოდა სათანადო ლიტერატურა რუსულ, ქართულ და სომხურ ენებზე. ყველა კრებებზე გამოჰქონდათ დადგენილება თავისუფალ თანხების შემნახველ სალაროებში მოთავსების შესახებ. ყველა ამ ღონისძიებების წყალობით როგორც თბილისში, ისე პროვინციაში საგრძნობლად გაიზარდა მეანაბარეთა რიცხვი, გაიზარდა აგრეთვე ანაბარების თანხაც. ასე, მაგ. მარტის რაც ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ამ პემეანაბარეთა რიცხვი, გაიზარდა აგრეთვე ანაბარების თანხაც. ასე, მაგალითად, მარტის განმავლობაში შემნახველ სალაროებში ჩაბმული იქნა 6.293 ახალი მეანაბარე, ანაბარების თანხა კი იმავე დროის განმავლობაში გაიზარდა 187.300 მანეთით. კამპანიის ბოლოსთვის ამ თანხამ გადააჭარბა 220.000 მანეთს.

არსებულ ცნობების თანახმად, კამპანია ყველაზე უფრო წარმატებით იქნა ჩატარებული რკინის გზელთა კავშირში (შემნახველ სალაროებში ჩაბმულია მეანაბარეთა მნიშვნელოვანი რაოდენობა შემდეგ სადგურებში: გურჯაანი, აბაშა, სამტრედია, ხაშური, ჭიათურა, ტყიბული, რიონი) და გორისა და ქუთაისის მაზრებში. ზოგიერთ ადგილებში (მაგალითად, სამტრედია) კრებებზე ერთხმად გამოჰქონდათ დადგენილება ხელფასის 5 პროცენტის რეგულიარულად მოთავსების შესახებ შემნახველ სალაროებში.

კამპანიის ჩატარებაში საჭირო აქტივობა ვერ გამოიჩინეს ზოგიერთმა სამაზრო ორგანიზაციებმა (ახალციხე, ახალქალაქი და სხვ.), რაც ნაწილობრივ აიხსნება იმით, რომ ამ პერიოდში ტარდებოდა კამპანიაც, რომლებშიაც პროფკავშირები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ, და აგრეთვე იმით, რომ შემნახველი სალაროები ყველგან და ყოველთვის ვერ იჩენდნენ საკმაო ინიციატივას ამ საქმეში.

საერთოდ, შემნახველი სალაროების ერთთვიურის კამპანია პროფკავშირებში დამაკმაყოფილებლად იქნა ჩატარებული (ზოგიერთ კავშირებში შემნახველი სალაროების მეანაბარეთ ითვლება კავშირის ყველა წევრების 70—90 პროც.).

გაზაფხული თბილისში

სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოფენა

სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიური ფაკულტეტის საბუნებისმეტყველო დარგის სტუდენტთა სამეცნიერო წრე აწყობს გამოფენას დევიზით — „პირველი გაზაფხული თბილისის მიდამოებში".

საბუნებისმეტყველო წრეს ჩაუტარებია დიდი მუშაობა თბილისის მიდამოების ბუნების შესასწავლად. გამოფენის სახით მოცემულია მთელი ეს მუშაობა. აქ აშკარად ჩანს ბუნების თანდათანი გაღვიძება, თოვლის გადნობიდან დაწყებული დღემდე — აი პირველი გახარებული მცენარენი ენძელა და ზაფრანა, რომელთაც თავი ამოუყვიათ თოვლების გვერდით და მიწასაც კი ვერ ასცილებიან, აქვე მათი თანამყოლი პირველი მწერები; მათ გვერდით იგივე ადგილია შვიდი დღის შემდეგ, მცენარეებს მომატებიან, ეხლა მარტო ენძელა აღარ არის, უკვე ხუთი-ექვსი სხვა მცენარეა — და ასე ბოლომდე წარმოდგენილია თბილისის მიდამონი ყოველ ათი დღის შემდეგ თავის დამახასიათებელ მწერებით, მცენარეებით და სხვით.

დიდი ყურადღება აქვს მიქცეული გაზაფხულის მცენარეების და მწერების ბიოლოგის, მათ ყოფა-ცხოვრების და გარემოს ცვალებადობის, ბუნებრივ პირობათა გავლენას და დროის სხვადასხვაობას.

გამოფენა მარტო ბიოლოგიური მხარით არ ამოიწურება — აქვეა წარმოდგენილი თბილისის მიდამოების მთის ქანები და მინერალები, რომლითაც ასე მდიდარი და მრავალფეროვანი ყოფილა თბილისი.

გამოფენა დიდ მასალას მისცემს ჩვენს სკოლას და განსაკუთრებით ბუნებისმეტყველ მასწავლებელთ. აქ წარმოდგენილია იმის ნიმუში, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს დაკვირვება ბუნებაში, მასალის შეკრეფა და დამუშავება. გარდა ამისა გამოფენა მდიდარია სასწავლო მასალით, ის მთლიან სურათს იძლევა თბილისის მიდამოებში გაზაფხულის მოახლოვებაზე. თბილისის მასწავლებლობამ და სკოლებმა ფართეთ უნდა გამოიყენონ ეს შემთხვევა და მოაწყონ ექსკურსიები მის დასათვალიერებლად.

გამოფენა დასათვალიერებლად ღია იქნება დღეიდან დილის 10 საათიდან 3-მდე და საღამოს 5—9-მდე.

სტუდენტები გამოფენისათვის აწყობენ მინერალებს

ქუთაისი

სოციალისტური შეჯიბრების შედეგები

ქუთაისი, 6 მაისი. ქუთაისის აბრეშუმის სახვევ ფაბრიკაში საამქროების შეჯიბრებას შედეგად მოჰყვა აბრეშუმის ნართავის დამუშავების თვალსაჩინოდ გადიდება. აპრილში, მარტთან შედარებით, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 38,9 პროცენტით, ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულს გადამეტა 60,7 პროცენტით. თვალსაჩინოდ შემცირდა მუშაობის გაცდენა და საქონლის წახდენა. ფაბრიკამ თვითღირებულება შეამცირა 9,2 პროცენტით.

ქუთაისის აბრეშუმის სახვევმა ფაბრიკამ შეჯიბრებაში გაიწვია აგრეთვე სამტრედიის აბრეშუმის სახვევი ფაბრიკა. (ადს).

ანტირელიგიური დემონსტრაცია

ქუთაისი, 6 მაისი. 4 მაისს საღამოთი ქუთაისში გაიმართა მრავალათასიანი ანტირელიგიური დემონსტრაცია კომკავშირელებისა და წითელარმიელების მონაწილეობით, დემონსტრანტებმა ანთებული მაშხალებით დაიარეს ქუჩები. (ადს).

თესვის კამპანიის შედეგები

ქუთაისი, 6 მაისი. დამთავრდა სამაზრო აგრონომიული თათბირი სარაიონო აგრონომებისა და სპეციალისტების მონაწილეობით. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ 1 მაისისათვის დამუშავებულია დასათესი სივრცის 85 პროცენტი, ხოლო აქედან უკვე დათესილია 10 პროცენტი. უკანასკნელ ხანებში ამინდი ხელს უწყობს თესვას. გლეხები უკვე შეუდგნენ მასიურ თესვას. თათბირმა აღნიშნა, რომ ნათესი სივრცის 10 პროცენტით გადიდების გეგმა მთლიანად შესრულდება. თათბირმა აღნიშნა გლეხების მასიური მისწრაფება კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებისათვის. მაგრამ კოლექტიურ მეურნეობათა წარმატებით განვითარებას აფერხებს ის გარემოება, რომ კოლექტიურ მეურნეობათა ცენტრი კრედიტებს არ იძლევა სასოფლო - სამეურნეო მანქანა - იარაღის, მუშა - საქონლის და სხვათა შესაძენად. (ადს).

ხუთშაბათს, 9 მაისს, მელითონეთა კლუბში (პლეხანოვის პროსპექტი № 128) საშეფო საზოგადოების თბილისის საბჭო აწყობს

თბილისის მუშების და ამიერ-კავკასიის საბჭოთა მეხუთე ყრილობის დელეგატების დაკავშირების საღამოს

საღამო დაიწყება 8 საათზე. მუშები ბილეთებს მიიღებენ საშეფო საზოგადოების რაიონულ საბჭოებში.

ქრონიკა

შეღავათი პროლეტარულ სტუდენტობას

თბილისის მუშკოოპის გამგეობის და მუშკოოპის რწმუნებულთა მე-16 კრების დადგენილებით, უმაღლეს სასწავლებლებში და მუშფაკებში მოსწავლე სტუდენტებისთვის, რომლებიც სტიპენდიებს ღებულობენ არა უმეტეს 25 მანეთისა, სრული საპაიო თანხა განსაზღვრულია 5 მანეთით.

უკრაინის მუშა-ახალგაზრდობის დელეგაციის გამგზავრება

6 მაისს საღამოს თბილისიდან ბაქოში გაემგზავრა უკრაინის კომკავშირულ მუშა-ახალგაზრდობის დელეგაცია. დელეგაცია გაეცნობა აზერბეიჯანის კომკავშირის ორგანიზაციების მუშაობას და ორი დღის შემდეგ გაემგზავრება უკან ხარკოვში. თბილისიდან გამგზავრებისას დელეგაცია სადგურზე გააცილეს კომკავშირის თბილისის ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

წითელი არმიის ნაწილების გასვლა ბანაკად

კავკასიის წითელ დროშოვანი არმიის ნაწილებმა დაიწყეს ბანაკად გასვლა. პირველი ნაწილები გავიდნენ 5 მაისს და გზაში აწარმოებდნენ კამპანიას აღდგომის დღესასწაულის წინააღმდეგ. ამჟამად სწარმოებს სოციალისტური შეჯიბრება საუკეთესო კულტურული ბანაკის მოწყობაზე. (ადს).

შინაგანი რესურსების მობილიზაცია

საქ. სახ. მეურნ. უმაღ. საბჭოს ლითონის ტრესტი უკვე შეუდგა უვარგისი ქონების ჩაბარებას. მალე დამთავრდება მოლაპარაკება საქ. სატყეო მრეწველობის ტრესტთან ქარხნების ნარჩენების ჩასაბარებლად, რომლებსაც აუარებელი მასალის მოცემა შეუძლიათ. (ადს).

მიმოსვლის განახლება საქართველოს სამხედრო გზაზე

მაისის ბოლო რიცხვებიდან საქართველოს სამხედრო გზაზე განახლდება სისტემატიური საავტომობილო მიმოსვლა (თბილის-კავკავს შორის).

„ზაკავტოპრომტორგ“-ის ცნობით, ამჟამად უკვე დაწყებულია გზატკეცილის შეკეთება იმ ადგილებზე, რომლებიც დაზიანდა ზამთრის განმავლობაში.

მიხ. კოლცოვის ჩამოსვლა

თბილისში ჩამოვიდა ჟურნალ „ოგონიოკ“-ის რედაქტორი, ცნობილი ჟურნალისტი მიხ. კოლცოვი.

საექიმო დახმარება მომთაბარეებს

ჯანმრთელობის კომისარიატმა შეიმუშავა მომთაბარეთათვის საექიმო დახმარების აღმოჩენის გეგმა. ბორჩალოს, ახალციხის, ახალქალაქის და კახეთის მაზრებში გაიგზავნება საფერშლო რაზმები და მოეწყობა საექიმო პუნქტები.

გადაწყვეტილია ჯგუფობრივ მომუშავე მოჯამაგირეთაგან რამდენიმე კაცს შეასწავლონ პირველ საექიმო დახმარების საქმე და დაურიგონ პატარა აფთიაქები.

მარგანეცის ექსპორტი საზღვარგარედ

მარგანეცის საზღვარგარეთ გაზიდვის მხრივ აპრილი, სარეკორდო თვეთ ჩაითვლება: ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ამ თვეში გაიზიდა 81.339 ტონა მარგანეცი, აქედან უმეტესი ნაწილი შეერთებულ შტატებში. აპრილის განმავლობაში ფოთში ამერიკისათვის დაიტვირთა მარგანეცით 7 საზღვარგარეთული გემი, რომელთაც საერთოდ გაიტანეს 49.200 ტონა მარგანეცი. დანარჩენი ნაწილი გაზიდულია გერმანიასა, საფრანგეთსა, იტალიასა, ბელგიასა და ჰოლანდიაში.

1929 წ. სესხის რეალიზაცია

1929 წლის სესხის რეალიზაცია თბილისში წარმატებით მიმდინარეობს, განსაკუთრებით თავისუფალ პროფესიის პირთა შორის, როგორიც არიან მაგ., ექიმები, ინჟინერები და სხვ. გარდა ამისა, სესხი წარმატებით ვრცელდება შემნახველ სალაროების საშუალებით. თბილისში სესხის გავრცელების დღიდან, 15 აპრილიდან, გასაღებულია 60.000 მ. ობლიგაცია; აქედან, 30 პროც. გასაღდა შემნახველ სალაროების საშუალებით.

თბ. აღმასკომში

◆ **წყალსადენი სოფლად.** თბ. მაზრის სოფლებში წყალსადენის გასაყვანად აღმასკომმა დღემდე დახარჯა 193.906 მანეთი.

◆ **ქარხნის გაფართოება.** აღმასკომმა დაადგინა გააფართოოს ქარხანა „ხის ნაწარმი“.

სხვადასხვა

◆ **„ჭადრაკის რეფორმის საკითხი“.** შაბათს, 11 მაისს საღამოს 8 ს. ივ. ყიფიანი წაიკითხავს მოხსენებას: „ჭადრაკის რეფორმის საკითხი“.

ხელოვნება

მოსკოვის „რევოლიუციის თეატრის“ გასტროლები თბილისში

8 ივნისიდან სახელმწიფო ოპერის თეატრში იწყება მოსკოვის „რევოლიუციის თეატრის“ გასტროლები. თეატრის საგასტროლო რეპერტუარში შედის ხუთი პიესა: „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „კაცი პორტფელით“, „როდესაც ყივიან მამლები“, „ინგა“ და „მთა“.

მოსკოვის „რევოლიუციის თეატრი“ დაარსდა 1920 წელს. თეატრის ამოცანები, მისი დაარსების დროს, ჩამოყალიბებული იქნა მოკლე, მაგრამ მკაფიო დებულებაში: პოლიტიკური აგიტაცია თეატრის საშუალებებით. თეატრი ყველა თავის დადგმებში გამოდის ამ ძირითად დებულებიდან.

თეატრის მთავარი რეჟისორია ვ. ფეოდოროვი („იღრიალე ჩინეთო“-ს დამდგმელი ვ. მეიერხოლდის სახელობის თეატრში). დასში შედიან: მ. ბაბანოვა, ა. ბოგდანოვა, ა. გ. ბოდანოვა, ი. გლიზერი, ნ. ივანოვა, მ. კუტუზოვა, ო. ლაბუნსკაია, ვ. მარჩენკო, ნ. ტერ-ოსიპიანი, რ. ფეინბერგი, ვ. ბელოკუროვი, ლ. ვოლკოვი, ვ. გნედოჩკინი, ვ. დოროფეევი, ქ. ზუბოვი, კ. იმმონენი, ა. კირსტი, ს. კისელიოვი, დ. ლიპმანი, მ. ლიშინი, ა. ლუკიანოვი, ს. მარტინსონი, ა. მოროზოვი, დ. ორლოვი, ს. რაზუმოვი, ა. სმირნოვი, ა. სუხოდოლსკი, ა. ცვილენევი, გ. სმირნოვი, და ა. შჩაგინინი.

თეატრის საგასტროლო მარშრუტია ბაქო, თბილისი, ერევანი, ბათომი, ოდესა და კიევი.

საქართველოს პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ ხელშეკრულება დასდო „რევოლიუციის თეატრის“ ადმინისტრაციასთან, რომლის ძალით ბილეთების ნაწილი (35 პროც). დაეთმობა პრაფკავშირების წევრებს შეღავათიან ფასებში.

ამას გარდა კავშირების მიერ რამოდენიმე წარმოდგენა შეძენილი იქნება მთლიანად. ასე, მაგალითად, რკინის გზელთა საუბნო კომიტეტმა საბჭოთა - სავაჭრო მუშაკთა კავშირთან ერთად 8 ივნისისათვის შეიძინა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“.

ველო-სპორტის საზაფხულო სეზონის გახსნა

ორშაბათს, 6 მაისს, თბილისის მოტო-ველო საზოგადოების ველოდრომზე მოხდა ველო-მარულის საზაფხულო სეზონის გახსნა. შეჯიბრების დაწყების წინ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა მოტო-ველო საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. ჯაიანი, რომელმაც მოკლედ დაახასიათა საზოგადოების მუშაობა.

საღამოს სრულ 7 საათზე, ელექტრონის შუქზე დაიწყო შეჯიბრება.

ჩატარებული იქნა სულ 11 მარულა, რომლიდანაც აღსანიშნავია მესამე კლასის ველოსიპედისტების მარულა. პირველობა მიიღო ამხ. ჯიბლაძემ, რომელმაც უკან მოიტოვა ზურაბოვი და ტატინიანი (უმცროსი); მეორე მარულაში პირველობა მიიღო შაკალოვმა.

ქალების რბენაში პირველობა მიიღო ბიჩკოვამ, რომელმაც სულ ადვილად გაუსწრო ლოგვინენკოს და თავისი მოხდენილი სვლით აღტაცებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება.

პირველი და მეორე კლასის ველოსიპედისტების რბენაში ყურადღებას იპყრობდა ბრძოლა სესლავინსა და ესაიანს შორის. რბენის უკანასკნელ წუთებში ესაიანმა მოხდენილად მოიტოვა უკან სესლავინი და პირველი მივიდა სტარტთან. მეორე კლასის ველოსიპედისტების რბენაში პირველობა მიიღო ამხ. ლეჟავამ, რომელმაც გაუსწრო ამხ. ტევონიანს.

ლამაზი და ბრძოლით აღსავსე იყო პირველი კლასის ველოსიპედისტების რბენა, რომელშიაც ფირსოვმა გაასწრო სააკაძეს.

შემდეგი შეჯიბრება გაიმართება კვირას, 12 მაისს, საღამოს 6 საათზე.

შემთხვევები

დაჭრა

გუშინწინ საბაჟოს ქუჩაზე ლევან პეტრესძე ამბუკაძემ დანით მძიმედ დასჭრა მარიამ მიხეილის ასული ყირიმაშვილი, დამნაშავე შეიპყრეს; — შურისძიების ნიადაგზე ვასილ ირაკლისძე აბაშიძემ (მცხ. ავლევის ქ. № 22) თავის ბინაზე მოქ. დავით კაპილოვიჩს თავი გაუტეხა სკამით; — უცნობმა პირმა არსენ სტეფანოვი დანით დასჭრა ფეხში; — გიორგი ლუკასძე ქიტიაშვილმა და ანტონ ივანესძე კლავაცკიმ დასჭრეს მეთოდი პორფილესძე კობალაძე, დამნაშავენი დაპატიმრებულია.

თავის მოწამვლა

ოჯახური უსიამოვნების ნიადაგზე იოდით თავი მოიწამლა ეკატერინა ივანეს ასულმა გორგილოვამ; (მცხოვ. მეტეხის აღმართი № 3); ბაწრით თავის დახრჩობა განიზრახა ვასასი ნესტორის ასულმა ლექვინაძემ, მაგრამ მეზობლებმა გადაარჩინეს.

შეპყრობა

ჯიბგირობისათვის დააპატიმრეს ქეროფ არუთინოვი და კარაპეტ მიროიანტი; — ყუფარაძის სამკერვალოს გაქურდვის განზრახვისათვის შეიპყრეს ივანე ვასილისძე ბერეკაშვილი (მცხ. ქსენიევის ქ. 1); — მეგრაბ სარქისოვი და ნიკოლოზ სალავიოვი (უბინაო) დააპატიმრეს კუკიის სასაფლაოზე თამარ ჩლაიძის პალტოს მოპარვისათვის.

კლდიდან გადმოვარდნა

გუშინწინ კოჯორის გზის გასწვრივ მდებარე კლდიდნ გადმოვარდა და მძიმედ დაშავდა ხაჩიკ პოლოსიანცი.

ჯიბგირობა

შუა ბაზარში გრიგოლ ბაიაშვილს ამოაცალეს 100 მ.; — თავისუფლების მოედანზე ივანე ოქროტაშვილს მოპარეს რევოლვერი; — ვიქტორ კლიმოვს ამოართვეს 100 მ.;— საბაჟოს ქუჩაზე ეპიფანე ჯიჯუას მოპარეს საფულე; — ნატალია ზომაძეს უცნობმა პირებმა ხელიდან გამოსტაცეს რედიკული, რომელშიაც იყო 60 მ.; — პლეხანოვის პროსპექტზე ტრამვაის ვაგონში შაქრო გვარამაძეს ამოართვეს 51 მ.; — ფუნიკულიორზე ასვლის დროს ენგალბერ ზენგორდს ამოართვეს 100 მ. და ვერცხლის სათუთუნე.

ქურდობა

იასონ ბარსონიძის ბინიდან კოოპერატ. ქ. № 6, მოიპარეს 400 მ. ნივთები; — კედლის გამონგრევის საშუალებით (ნინოშვილის ქ. № 6) ვლადიმერ კორკტივის სარდაფიდან მოიპარეს 150 მ. ნივთები; — ბარნაბ ადამაძის ბინიდან (უნივერსიტეტის ქ. 1) წაიღეს 250 მ. ნივთები; გარდა ამისა გუშინწინ ადგილი ქონდა 6 წვრილ ქურდობას.

სასამართლო

ხელისუფლების სახელის გამტეხი სასტიკად დაისჯება

კოტე ნიკოლოზის ძე მართაშვილი კახეთის მაზრის მასშტაბით საკმაოდ უფლებამოსილ პირს წარმოადგენდა. სათავეში ედგა კახეთის საბჭოთა მამულების ტრესტს.

აი ასეთ პასუხისმგებელ პირის შესახებ, რომელსაც სოფლად პარტიის ხაზი, პარტიის პოლიტიკა უნდა გაეტარებია, შემდეგ აღმაშფოთებელ ფაქტებს მოგვითხრობს საბრალმდებლო დასკვნა.

ა. წ. თებერვალში კოტე მართაშვილი სხვა პასუხისმგებელ ამხანაგებთან ერთად გაემგზავრა წინანდალის თემში საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად. არჩევნების დამთავრების შემდეგ კოტე მართაშვილმა თავის ამქრებთან ერთად „კამპანია“ ჩაატარა წინანდალის სახალხო მამულის გამგის ელბაქიძის სუფრაზე. მართაშვილმა ისე გააღრმავა ეს „კამპანია“, რომ მასპინძელი იძულებული გახდა ღვინო აღარ მოეტანა სუფრაზე, რადგან კოტე ფეხზე ვეღარ დგებოდა.

მასპინძელმა ძალით გამოიყვანა მართაშვილი სახლიდან და იკისრა მისი გაცილება. უკვე ღამის 12 საათი იყო, როცა ისინი მიუახლოვდნენ მამულის ღვინის სარდაფს, რომელსაც სდარაჯობდა მუშა მიხა კახრიშვილი.

— ვინა ხარ!—უყვირის კოტე დარაჯს.

— მამულის ღამის დარაჯი,—იყო პასუხი.

—მამალი ხარ, თუ დედალი?—გინებით მიმართავს კოტე.

— მამალი გახლავარ, ბატონო!

— აბა დააღე პირი,—მართაშვილმა დააღებინა პირი დარაჯს და შიგ ჩაუდო რევოლვერის ლულა. ეხლა დააჭირე კბილი ლულას!

შეშინებულმა დარაჯმა შეასრულა ბრძანება. კოტემ მაგრად დააქანა რევოლვერი და დარაჯის სამი კბილი თან გამოაყოლა. იღრჭიალა სისხლმა.

კოტე მართაშვილი წაბარბაცდა. არც კი შეუხედავს რეტ დასხმულ და სისხლში გაღვარულ დარაჯისათვის.

იმავე თვეში მართაშვილი სხვა პასუხისმგებელ მუშაკებთან ერთად გაემგზავრა სოფელ ვაქირში საბჭოს არჩევნების ჩასატარებლად.

არჩევნების დასრულების შემდეგ მართაშვილი გაილეშა ჩვეულებისამებრ. არჩევნების ჩამტარებელ ჯგუფში შედიოდნენ საპასუხისმგებლო პოსტებზე მომუშავე ქალები, რომელთაც ღამის გასათევად ბინა მიუჩინეს გლეხთათა ახალგაზრდობის სკოლის შენობაში.

გალეშილი მართაშვილი საცვლების ამარა შევარდა ქალებთან და ერთ მათგანს ჩაუგორდა ლოგინში. შეიქნა ქალების წივილ-კივილი. წამოცვივდნენ, გაანათეს და დაინახეს მართაშვილი შეარცხვინეს, გაჰკიცხეს, მაგრამ მართაშვილს შუბლის კანი ისე მაგარი აქვს, რომ არაფრად ჩაუთვლია შერცხვენა 3-მეგზელ ამხანაგებს შორის. პირიქით საცვალის ღილი გაიხსნა და ქუჩური სიტყვებით მიმართა ამხანაგ ქალებს.

მართაშვილს ცა ქუდათ არ მიაჩნდა და დედამიწა ქალამნად. გლეხობას ისე ეპყრობოდა, როგორც ნიკოლოზის დროის ბოქაული. სიღნაღის პარტკომის საორგანიზაციო განყოფილების გამგედ ყოფნის დროს მართაშვილმა სრულიად უმიზეზოდ დააპატიმრა სოფელ ვაქირის გლეხები: სოლიკო, გიორგი, დავით, ივანე, ვასილ და ალექსი დემეტრაშვილები, სანდრო, ვანო და იოსებ ნანობაშვილი, სერგო ყარალაშვილი. სცემა მუშტებით, წიხლებით და რევოლვერის ლულით. გლეხები გაკვირვებულნი მისჩერებოდნენ გამხეცებულ მართაშვილს და ვერ გაერკვიათ—რა იყო მათი ცემის მიზეზი. თუ რომელიმე გაბედავდა შეკითხვას მიზეზის შესახებ, მართაშვილი შემოკვრით უპასუხებდა. როცა მართაშვილი კარგად მოიქანცა ცემით, მიაბა გლეხებს თავი და იმ ღამითვე ათივე გლეხი სიღნაღში გადაგზავნა. ზოგიერთ მათგანს მიაწერა მის მიერ შეთხზული ბრალდება და სასამართლოს გადასცა დასასჯელად.

პატიმრობიდან დაბრუნებული ძალზე ნაცემი ერთი გლეხი, სახელდობრ, ვანო ნანობაშვილი ჩავარდა ლოგინად და რვა თვის ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

გასული წლის გაზაფხულზე გალეშილმა მართაშვილმა ეტლი გააქანა სოფელ კარდანახისაკენ. გზაში კოტეს შემოესმა თოფის სროლის ხმა. მთვრალი მართაშვილი გადმოხტა ეტლიდან, მიუვარდა გლეხს ვანო შაქაშვილს, რომლის ოჯახში მუშაობის დამთავრების შემდეგ თავი მოეყარათ გლეხებს და პურს სჭამდნენ.

ყველას დაპატიმრებით დაემუქრა კოტე, თუ ისინი არ იტყოდნენ, ვინ გაისროლა თოფი. გლეხებმა არაფერი იცოდნენ და არც შეეძლოთ ეთქვათ.

მართაშვილმა ისინი დააპატიმრა და წამოიყვანა სიღნაღში. მათ აბრალებდა, თითქოს თოფი მას ესროლეს მოსაკლავად. მალე აღმოჩნდა თოფის გამსროლელი და გლეხები განთავისუფლებულ იქნენ.

მრავალია ასეთი აღმაშფოთებელი ფაქტი კოტე მართაშვილის „საქმიანობაში“. ლოთობა, როსკიპ ქალებთან ქეიფი, ჩხუბი და ლანძღვა-გინება,—აი ამ პასუხისმგებელ მუშაკის ცხოვრების შინაარსი.

მართაშვილმა ბოროტად გამოიყენა ის ნდობა, რომელიც მას გამოუცხადა პარტიამ და ხელისუფლებამ. მან თავისი მოქმედებით ჩირქი მოსცხო ადგილობრივ საბჭოთა მუშაკების პატიოსან სახელს. მაგრამ მისი ბნელი საქმეები დროზე იქნა გამომჟღავნებული. თანამდებობის ბოროტად გამოყენებისათვის მას სასტიკ პასუხს მოსთხოვს პროლეტარული სასამართლო. სოფლად ჩვენ გვყავს მრავალი პატიოსანი და ერთგული მუშაკი. უღირსი მართაშვილი, თქმა არ უნდა, იშვიათი გამონაკლისია მათ შორის. პარტია და ხელისუფლება მიიღებს ზომებს, რომ ჩვენი ადგილობრივი საბჭოთა აპარატი უზრუნველყოფილი იქნეს ასეთი მახინჯებისაგან.

კოტე მართაშვილს 10 მაისს საჯაროდ გაასამართლებს საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესია, რომელიც ამ დღეებში მიემგზავრება კახეთში.

გასამართლება მოხდება გურჯაანში. ხელისუფლების სახელის გამტეხი, გახრწნილი და გადაგვარებული ელემენტი სასტიკ სასჯელს მიიღებს.

გერ.

ფეხბურთი

ბაქოელების მეორე დამარცხება

6 მაისს უკანასკნელ შეჯიბრებაში ბაქოელებთან თამაშობდა თბილისის ნაკრები გუნდი. თუმცა ნაკრებ გუნდში ყველა მოთამაშე ვერ აღმოჩნდა თავის მოწოდების სიმაღლეზე (განსაკუთრებით უნდა ითქვას ეს თავდამსხმელთა შემადგენლობის შესახებ), მაგრამ, მიუხედავად ამისა, უპირატესობა ორივე ტაიმის განმავლობაში მაინც თბილისელების მხარეზე იყო.

თამაშის დაწყებისას ინიციატივას ხელთ იგდებენ ბაქოელები და რამოდენიმე წუთის განმავლობაში იერიში იერიშზე მიაქვთ თბილისის კარებზე, მაგრამ მარბების სუსტი თამაშის გამო ყველა მათი იერიშები უშედეგოთ თავდება.

შემდეგში ინიციატივა თანდათან თბილისელების ხელში გადადის, რომლებიც მძლავრად უტევენ მოპირდაპირეს. მე-40 წუთზე თბილისელ დიაკოვს გააქვს პირველი ბურთი. ბაქოელები ცდილობენ გაატანონ ანგარიში, მაგრამ მათი ცდები შედეგს ვერ აღწევს.

თბილისელებმა მეორე ტაიმშიაც შეინარჩუნეს ინიციატივა. დროგამოშვებით ბაქოელებიც უახლოვდებოდნენ თბილისის კარებს და საინტერესო მომენტებს ჰქმნიდნენ, მაგრამ თბილისი ყოველთვის უვნებლად გამოდიოდა კრიტიკულ მდგომარეობიდან, რაც, ერთის მხრივ, ვორონოვის მეტად ლამაზ თამაშს, ხოლო მეორეს მხრივ ბაქოელების დაბნეულობასა და უსისტემო თამაშს უნდა მიეწეროს.

შუა ტაიმში დიაკოვმა მეორეთ გაარღვია ბაქოს კარები. ამან კიდევ უფრო გაამხნევა თბილისელი მოთამაშეები, რომლებიც უკვე თითქმის აღარ შორდებოდნენ სტუმრების ჭიშკარს. მაგრამ მიუხედავათ მძლავრი შეტევისა თბილისის მხრიდან, ტაიმის ბოლომდე მიღწეული შედეგი აღარ დარღვეულა და შეჯიბრება დამთავრდა 2:0 თბილისის ნაკრები გუნდის სასარგებლოდ.

ამრიგად, ბაქოს „დინამომ“ თბილისში ჩაატარა სამი შეჯიბრება; აქედან ერთი ფრედ დამთავრა, ორი კი წააგო საერთო ანგარიშით 2:8.

თამაშის ერთ-ერთი მომენტი

ამავე დღეს „დინამო“-ს სტადიონზე გაიმართა ბაქოელ და თბილისელ კალათბურთელების შეჯიბრება, რომელიც დამთავრდა ბაქოელების დამარცხებით 14:29.

თბილისის მხრიდან თამაშობდა საბჭოთა-სავაჭრო მუშაკთა კავშირის გუნდი.

რადიო-გადაცემა

ოთხშაბათი, 8 მაისი

დღეს რადიო გადამცემი სექტორი, თბილისის 4 კილოვატიან რადიო - სადგურის საშუალებით გადასცემს შემდეგ პროგრამას:

რადიო გაზეთი — ქართულ ენაზე; საუბარი შემდეგ თემაზე „პროფკავშირები და ქალი“ ქართულ ენაზე; გლეხური კონცერტი „ხალხური სიმღერები და აღმოსავლური მუსიკა“; რადიო-გაზეთი — რუსულ ენაზე; დროს შემოწმება და ცნობები ამინდის შესახებ; წითელ არმიელების რადიო-გაზეთი — რუსულ ენაზე: ოპერა „ჯამბაზების ტრანსლიაცია და საკონცერტო განყოფილება; უკანასკნელი ამბები — რუსულ ენაზე და მორზეს ანბანი რუსულ ენაზე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 78.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოსი

სანაპირო ადგილების აღმასრულებელი კომიტეტებისათვის კონტრაბანდისტების ადმინისტრატიული წესით განდევნის უფლების მინიჭების შესახებ

საქართველოს ს. ს. რ. სისხლის სამართლის კოდექსის (1928 წ. რედაქცია) 83 მუხლის განსავითარებლად სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. უფლება მიეცეს აფხაზეთის ს. ს. რ.-ის და აჭარისტანის ავტონომიური ს. ს. რ.-ის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს ს. ს. რ. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებსა და საქალაქო საბჭოებს სანაპირო ადგილებში — გამოიტანონ ხოლმე დადგენილება მათი ტერიტორიის ფარგლებში მდებარე ადგილების ორმოცდაათ - კილომეტრიანი სანაპირო ზოლიდან იმ პირთა ადმინისტრატიული წესით განდევნის შესახებ, რომლებიც შეპყრობილ იქნებიან განმეორებითი კონტრაბანდის დროს.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული დადგენილება გამოიტანება საბაჟო დაწესებულებისა და გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტიკური სამმართველოს სანაპირო დაცვის ორგანოს წარდგენით, რის შესახებაც უნდა იყოს დასკვნა აფხაზეთის ს. ს. რ.-ისა, აჭარისტანის ავტონომიური ს. ს. რ.-ის, ან მაზრის პროკურორისა — კუთვნილებისამებრ.

3. უკეთუ საჭირო იქნება ზემოაღნიშნულ პირთა განდევნა 1-ლ მუხლში დასახელებული ორგანოების ტერიტორიის გარეშე, ამ ორგანოების დადგენილება განდევნის შესახებ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, წარედგინება სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს დასამტკიცებლად.

4. უკეთუ განდევნა უნდა მოხდეს საქართველოს ს. ს. რ. საზღვრებიდან, მთელი მიწერ - მოწერა საქმის შესახებ, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მეშვეობით, გაიგზავნება ამიერ - კავკასიის სახელმწიფო პოლიტიკურ სამმართველოსთან არსებულ განსაკუთრებულ თათბირში სათანადო დადგენილების გამოტანისათვის.

5. იუსტიციის სახალხო კომისარიატმა და სახელმწიფო პოლიტიკურმა სამმართველომ უნდა გამოსცენ ინსტრუქცია ამა დადგენილების შეფარდებისათვის.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე—**ფ. მახარაძე.**
საქართველოს ს. ს. რ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე—**გ. მგალობლიშვილი.**
სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ი. ვარძიელი.**

1928 წ. სექტემბრის 19.
თბილისი—სასახლე.

დადგენილება

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

სწავლისა და აღზრდის დაწესებულებაში მასწავლებელთა დანიშვნის წესის შესახებ

სწავლისა და აღზრდის დაწესებულებათა კვალიფიკაციური სამასწავლებლო პერსონალით უზრუნველყოფისათვის, საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განათლების სახალხო კომისარიატისა და მისი ადგილობრივი ორგანოს გამგებლობაში მყოფ სწავლისა და აღზრდის დაწესებულებაში მასწავლებლის თანამდებობაზე დაინიშნება:

ა) საბავშო სახლში და შრომის სკოლა-ოთხწლედში—პედაგოგიური ტეხნიკუმისა ან პედაგოგიურ განხრის მქონე ცხრაწლედის კურსდამთავრებული;

ბ) შრომის სკოლა-შვიდწლედში და გლეხ. ახალგაზრდობის სკოლაში—უმაღლესი სასწავლებლისა ან ყოფილი პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული;

გ) შრომის სკოლა-ცხრაწლედში, ტეხნიკუმში, მუშათა ფაკულტეტზე, საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში, მაღალი ტიპის სკოლაში მოზრდილთათვის და მუშათა უნივერსიტეტში—უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული;

დ) პროფტეხნიკურ სკოლაში (დაბალი ტიპისა) და სასოფლო-სამეურნეო სკოლაში—პედაგოგიური ტეხნიკუმის კურსდამთავრებული, გარდა აგრონომისა, რომელსაც სასოფლო-სამეურნეო სკოლაში მასწავლებლად დანიშვნისათვის უნდა ჰქონდეს უმაღლესი განათლება;

ე) პარტსკოლაში—კომუნისტური უნივერსიტეტის ან უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული;

ვ) წერა-კითხვის უცოდინარობისა და მცირე-მცოდნეობის ლიკვიდაციის სკოლაში—საშუალო განათლების მქონე პირი.

შენიშვნა: განსაკუთრებულ შემთხვევაში, განათლების სახალხო კომისარიატის ცალკეული ნებართვით, მასწავლებლად შეიძლება დაინიშნოს აგრეთვე ისეთი პირი, რომელიც თუმცა ამა დადგენილებაში გათვალისწინებულ პირობებს არ შეესაბამება, მაგრამ რომელსაც აქვს საკმარისი პრაქტიკული სტაჟი.

2. ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნულ სამასწავლებლო თანამდებობაზე დანიშვნა სწარმოებს შრომის კანონთა კოდექსით გათვალისწინებულ წესისამებრ.

3. დაევალოს განათლების სახალხო კომისარიატს ერთი თვის ვადაზე გამოსცეს ინსტრუქცია ამა დადგენილების შესაფარდებლად.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ლ. ქართველიშვილი.**
საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე **ს. სტეფანოვი.**

1928 წ. დეკემბრის 21
თბილისი—სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომ. საგიტ.-საპროპ.-ბეჭდვითი განყოფილება აცნობებს ამიერ-კავკასიის კომუნისტურ უნივერსიტეტში და სვერდლოვის უნივერსიტეტში დაუსწრებლად მომაცადინე პარტუჯრედების მდივნებს, რომ 8 მაისს საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტში შესდგება კომუნისტურ უნივერსიტეტში და სვერდლოვის უნივერსიტეტში დაუსწრებლად მომაცადინე, პარტ-უჯრედების მდივნების თათბირი.

შაბათს, 11 მაისს, საღამოს 5 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბ. კომიტეტის საგიტ-პროპაგანდო მუშაობის კაბინეტში (რუსთაველის პროსპექტი № 21) შესდგება თბილისის კომკავშირის მიმდინარე პოლიტიკის, ახალგაზრდათა მოძრაობის და ზეპირ-საპროგრამო წრეების ხელმძღვანელთა და მამასახლისთა თათბირი.

დღეს—8 მაისს—საღამოს 6 საათზე საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მ. გ. ქალთა განყოფილებაში შესდგება სადელეგატო კრებების ხელმძღვანელთა თათბირი.

დღეს, 8 მაისს, დღის 8 საათზე საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებაში მოწვეულია თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: დ. კანდელაკი, მეგრელიძე, ა. მიქაძე, ვაშაძე, კვირიკაძე, ნ. ჩხარტიშვილი, მათიკაშვილი, ფანცხავა, ცხაკაია, კუჭაიძე, მიქაძე, ვაშაძე, გეგენავა, ელბაქიანი, ნარჩემაშვილი და მამალაძე.

სახელმწიფო უნივერსიტეტის კომკავშირის გაერთიანებულ უჯრედთა ბიურო-კოლექტივი აცხადებს, რომ სახ. უნივერსიტეტის კომკავშირის მეორე უჯრედის წევრები და კანდიდატები, რომლებიც ამთავრებენ უნივერსიტეტს, უნდა გატარდენ რეგისტრაციაში ბიურო-კოლექტივში ამხ. ვ. ბარამიძესთან. რეგისტრაციაში გატარება იწარმოებს 8 მაისს დილის 11 საათიდან—1 საათამდე, საღამოს 5-დან 7 საათამდე და 10 მაისს დღის 12 საათიდან 2 საათამდე. ამხანაგებმა თან უნდა იქონიონ სხვადასხვა დაწესებულება-ორგანიზაციებიდან მიღებული დახასიათება. ის ამხანაგები, რომლებიც არ გატარდებიან რეგისტრაციაში ამ დღეებში,—ბიურო კოლექტივიდან ვერ მიიღებენ დახასიათებას.

დღეს 8 მაისს საღამოს 9 საათზე შესდგება ამხ. მიხა კახიანის სახელობის ქართული მუშფაკის პარტ. ბიურო-კოლექტივის სხდომა. ბიურო-კოლექტივის წევრებს გარდა სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ გ. კვიცარიძე, დემეტრაძე, ა. ჩხეიძე, ვლ. ალავიძე, დომენტი ალავიძე და ბარნაბ მიქაია.

დღეს, 8 მაისს, საღამოს 4 საათზე შესდგება ლენინის სახელობის საქ. სახ. პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის საამშენებლო ფაკულტეტის კომკავშირის უჯრედის ბიუროს სხდომა. ბიუროს წევრთა და კანდიდატთა გარდა სხდომაზე უნდა გამოცხადდნენ ის ამხანაგები, რომლებსაც შემოტანილი აქვთ განცხადებები.

აჭარისტანის განათლების სახალხო კომისარიატი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, დამსახურებული პედაგოგის, ძვირფასი ადამიანის და საზოგადო მოღვაწის

ნიკო (თეოფანე) ვახტანგის ძე ჯაყელის

გარდაცვალებას 1661

აჭარისტანის განათლების მუშაკთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას კავშირის უხუცესი წევრის, დამსახურებული პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის

ნიკო (თეოფანე) ვახტანგის ძე ჯაყელის

გარდაცვალებას 1669

ქ. ბათომის და მისი მაზრის აღმასკომის განათლების განყოფილება ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას ქ. ბათომის ლენინის სახელობის შვიდწლედის გამგის, დამსახურებული პედაგოგის და საზოგადო მოღვაწის

ნიკო (თეოფანე) ვახტანგის ძე ჯაყელის

გარდაცვალებას. 1662

უსაზღვრო მწუხარებაში მყოფი შვილი ზურაბი აუწყებს საზოგადოებას, რომ მძიმე ოპერაციის შემდეგ გარდაიცვალა მისთვის საყვარელი მამა

ნიკო (თეოფანე) ვახტანგის ძე ჯაყელი

დაკრძალვა 9 მაისს, (ხუთშაბათს) ქ. ბათომში. ბინა ზღვის ქ. № 4. 1665

თავზარდაცემული ძმა ბარნაბ ჯაყელი მეუღლით როზათი, შვილებით: ელენე, ვენერა და დათიკო მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 5 მაისს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი და საყვარელი

ნიკო (თეოფანე) ვახტანგის ძე ჯაყელი

დაკრძალვა 9 მაისს, 4 საათზე ქ. ბათომში 1666—2—1

ნიკო ვახტანგის ძე ჯაყელის

გარდაცვალებას ღრმა მწუხარებით აცნობებენ საზოგადოებას დები: ატატო და ათინო შვილებით, რძლები: სოფიო და ბუჟუ, ძმის შვილები: ილიკო, საშა, შოთა, გრიშა და ლადო ჯაყელები. 1667

ლენინის სახელობის შვიდწლედის პედაგოგიური საბჭო უღრმესი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა/წ. მაისის 5-ს, საღამოს 10 საათზე, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა, აღნიშნული სკოლის გამგე, დამსახურებული მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე

ნიკო (თეოფანე) ვახტანგის ძე ჯაყელი

სამოქალაქო პანაშვიდი 8 მაისს საღამოს 6 საათზე. დასაფლავება ხუთშაბათს, 9 მაისს, სოუქსუს სასაფლაოზე. გამოსვენება ლენინის სახელობის ქართული შვიდწლედის ბინიდან აჭარისტანის განათლების მუშაკთა სახლში (რუსთაველის ქ. № 26), ნაშუადღევის 4 საათზე. 1664

აჭარისტანის მუშათა ფაკულტეტის მასწავლებლობა და მსმენელები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ გარდაიცვალა მუშათა ფაკულტეტის ლექტორი დამსახურებული მასწავლებელი და საზოგადო მოღვაწე

ნიკო (თეოფანე) ვახტანგის ძე ჯაყელი

1663

ქალ. ბათომის ქართული 10 წლედის პედაგოგიური და ტეხნიკური პერსონალი ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ა.-წ. 5 მაისს, მოულოდნელად გარდაიცვალა დამსახურებული მასწავლებელი 7 წლედის გამგე

თეოფანე (ნიკო) ვახტანგის ძე ჯაყელი

რომლის დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 9 მაისს, 4 საათზე, ბათომში სოუქსუს სასაფლაოზე. 1668

ქ. ბათომის შვიდწლედ დამთავრებული მოწაფეები ილია პეტროვი, მარიამ გორდეზიანი, ლიდა თავართქილაძე, თამარ ლობჟანიძე, ოლია როგავა, ელენე ხაზინაშვილი, თამარ კალატოზიშვილი, ზოია წულაძე, ვერა ვაჩეიშვილი, ელენე ჯიბლაძე, გრიგოლ ოდიშარია, მარგალიტა გაბადაძე, ქეთო საყვარელიძე, თინა და თამარ ზამთარაძეები, ვენერა ხუხუნაიშვილი და თამარ მესხი ღრმა მწუხარებით აუწყებენ ამხანაგებს და მეგობრებს უსაყვარლესი პედაგოგის, ქართული შვიდწლედის გამგის

ნიკო ჯაყელის

გარდაცვალებას. ცხედრის გამოსვენება განათლების მუშაკთა სახლიდან 9 მაისს ნაშუადღევის 4 საათზე. (დეპ.)

თავზარდაცემული ძმა გრიშა, რძალი ლიზა, და ნატაშა, ძმისწული პუნტუ, და რაისო, დისშვილები მიშა, ვერა, ელენე ჯოჯიშვილები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ, რომ 7 მაისს მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

მათე მიხეილის ძე ღლონტი

სამოქალაქო პანაშვიდი 8 მაისს საღამოს 5 საათზე ყ. ალექსანდრეს საავადმყოფოში გამოსვენება საავადმყოფოდან 9 მაისს 3 საათზე (შ)

უსაზღვროდ დამწუხრებულნი სიძე დათიკო, დისწული თეზიკო, მეგობრები: ტიტიკო და კონსტანტინე გაბრიელის ძე კუტუბიძეები აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს იშვიათი ადამიანის

ქიმიკოს მათე მიხეილის ძე ღლონტის

მოულოდნელად გარდაცვალებას. გამოსვენება ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოდან 9 მაისს 3 საათზე. (შ)

გულდამწვარნი: დედ-მამა მინორა და ზაქარია შვილებით: იასე, მარულია, კარლო და ზაქარია, ბებია ელენე, ბიძები ვიქტორი და თეოდე, დეიდა ანიჩქა, დეიდაშვილები ნინა, ქეთო, თამარა, ელიკო და დავით იუწყებიან, რომ 7 მაისს გარდაიცვალა

დოდო (ზინა) ზაქარიას ასული ცინცაძე

სამოქალაქო პანაშვიდი 8 მაისს, სალ. 7 საათ., გამოსვენება ბინიდან (კამოს ქ. 40) ხუთშაბათს, 9 მაისს, ნაშუადღ. 4 საათ. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. (შ)

სტუდენტები: ა. რუხაძე, ჰ. ცერცვაძე, შ. ხოხიაშვილი, დ. მჟავია, ქ. პატარიძე, დ. მხეიძე. ქ. კილასონია, მ. ნაკაშიძე, ვ. ლულუნიშვილი, ა. წერეთელი და გ. ჯაში აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს ექ. დარგის მე-III-მე კურსის სტუდენტის

აკაკი დიმიტრის ძე ვაჩაძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა ქ. ქუთაისში 9 მაისს, დღის 4 საათზე. გამოსვენება ბინიდან, ზდანოვიჩის ქ. № 15. 1675

ბესარიონ კონსტანტინეს-ძე თალაკვაძე, ცოლი მისი დინა სპირიდონის ასული და შვილები აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს საყვარელ დედის, დედამთილის და ბებიას

კრისტინე მაქსიმეს ასული თალაკვაძის

გარდაცვალებას სოფელ ასკანაში 5 მაისს. დაკრძალვა იქვე. (ე)

მწუხარებაში მყოფი ეკატერინე დიმიტრის ასული ლაშხაური შვილებით ულრმეს მადლობას სწირავს ყველა იმ დაწესებულებას და პირებს, რომელთაც პირადი დასწრებით, წერილობით თუ სხვა რაიმე სახით პატივი სცეს უეცრად გარდაცვალებულ ძვირფასს ექიმ-ვეტერინარის

ვლადიმერ ივანის ძის ლაშხაურის

ხსოვნას. 1676

შვილები მარიამი, ანნა, თამარი, მიხეილი, ვლადიმერი, ნიკოლოზი; რძლები: ეკატერინე, ემმა, ნონა ჩხეიძეები, სიძე ალექსანდრე მეძმარიაშვილი; შვილის-შვილები: ჩიტო, გოგი, ზურიკო, ციალა, ლეილა და გულიკო მწუხარებით აუწყებენ დაუვიწყარ

დავით გიორგის ძე ჩხეიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 9 მაისს, ს. ობჩაში. 1660

სახქინმრეწველის კინოთეატრები

განთიადი	სამშაბათიდან 7 მაისიდან ჩანგ
არფასტო	პატი და პატაშონი სურათში პატი ზღვაში
სოლეი	მხატვრული სურათი ტყის კაცი რეჟისორი სტაბოვოი
აპოლო	მეორე კვირა გრძელდება ჩიკაგო
მინიონი	სიცოცხლე სიცოცხლისათვის მარჩელა ალბანის მონაწილ.
პალასი	გაროლდ ლოიდი ახალ კომედიაში შვილის შვილი
დარბაზი	რიჩარდ ტოლმეჯი სურათში ცრუ ატორნეი
პროლეტარი	სამშაბათიდან 7 მაისიდან გრაფი მონტე-კრისტო 3 და 4 სერია

ს. ს. რ. კ. სახელმწიფო ბანკი
დანარჩენი საკრედიტო დაწესებულებები და შემნახველი სალაროები
ყიდულობენ
მოსახლეობისაგან მეფის დროს მოჭრილ სპილენძის ფულს 80 კაპეიკად ერთ კილოგრამს ან ფულზე აღნიშნული ღირებულების მეოთხედ ფასად. ბ. 2651

საქ. სახ. კინომრეწველ. ნაწარმოები 1928—29 წ. სეზონის
რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა დაამთავრა სურათი
საბა
მალე საუკეთესო კინოებში ბ. 2652

„კომუნისტი“-ს წლიური („კაპიტალი“-ს დამატებით) ხელისმომწერლების საყურადღებოდ
გაზეთ „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა აცხადებს, რომ ვისაც არ აქვს გადახდილი მორიგი (მაისის თვის) შემოსატანი თანხა, მათ ამ თვის 10-დან შეუწყდება გაზეთების გზავნა. 3—1

დღეს, საღამოს 6 საათზე ჟურნალ „ბოლშევიცკაია სმენა“-ს რედაქციის შენობაში (ჯუღაშვილის ქუჩა, ყოფ. რტიშჩევის, № 4) შესდგება №№ 8, 9, 14, 15, 33, 41, 42, 43, 46, 47, 72, 76, 82, 86, 107 შრომის სკოლების და 76 შრომის სკოლასთან არსებულ ტეხნიკუმის კომკავშირის უჯრედთა ბიუროების თათბირი

ექიმი ქ. ს. ფონ-ირტელი
სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ(ტრიპერი)ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და სად. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე. პლეხანოვისპროსპ. № 10

ექიმი—ვენეროლოგი ნინო მირიანაშვილი
იღებს კანის და ვენერიულ ავადმყოფებს (ქალებს და ბავშვებს) საღამოს 5—7 საათამდე მოსკოვის ქუჩ. № 4 ყოფ. ზემელის აფთიაქთან, ტელ. 14—23. 25—1

ექ. დ. ლ. თევზაძე
ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებანი და მოშლილობანი ხმის და მეტყველებისა აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-თერაპიული მეთოდებით მკურნალობა ჭონქაძის ქ. № 9 (ყ. გუდოვიჩისა) მიღება: საღამოს 7—8 საათ. გარდა კვირა დღეებისა. ტელ. №25—73 25—6 1240

ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა დილით 9—1 საათ. საღამოს 5—8 ს ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოეს)“ პირდაპირ ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. ნ. 10. 25—1

ექიმი ს. ი. ანდრეევისა
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება სპეციალურად ძვლების, ჯირკვლების, ტუბერკულოზის მკურნალობა მიღება 5—7 საათამდე. ელბაქიძის დაღმართი (ყოფ. ვერის) № 29 ელსმენი—11—78.

ქ. ქუთაისი ექიმი თ. ვ. აკოფაშვილი
შინაგანი სნეულება — სპეციალურად ფილტვების ავადმყოფობა. ბროსეს ქ. № 7 (მესამე საბჭოთა აფთიაქის გვერდით).

თმის მკურნალობა და სამკურნალო კოსმეტიკა ექიმ ნ. გ. კონტოროვიჩისა
ფრეილინის ქ. № 1. სოლოლაკის ქ. კუთხე. თმის, ფერის მჭამელას, ჭორფლის, მეჭეჭის, ნაოჭის და სხვ. მკურნალობა ელექტრონის შუქით სამკურნალო უახლესი აპარატებისა და საშუალებების გამოყენება მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—11

ექიმი გიორგი ნიკოლოზის-ძე ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი. სქესობრივი უძლურების მკურნალობა. ავადმყოფთა მიღება დილით 9—12 საათ. და საღამოს 5—8 საათ. კლარა ცეტკინის (ყოფ. ელისაბედის) ქ., № 3. 25—1

ლოგოპედი ა. ა. კაიშაური
ყოფილი გამგე მოსკოვის მეორე უნივერსიტეტთან არსებულ ლოგოპედიის კაბინეტისა ასწორებს ლოგოპათებს: ენაბლუებს, ენაჩლუნგებს, იფატიკებს და მეტყველების ყოველგვარ დეფექტებს იღებს: საღამოს, 5—7 საათ. კლარა ცეტკინის ქ., (ყოფ. ელისაბედის) № 132. ტელ. 26—01.

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი (შეშხ. „914“ გერმანული პრეპ.) ვენერიული (მწვავე და ქრონიკ. ტრიპერი) და კანის ავადმყოფობანი
მიღება: დილ. 7—9 საათ. ნაშუადღ. 4—5 საათ. საღ. 7—8 ნახ. საათ.
კამოს ქ. № 72 (ყოფ. დიდი-მთავრის ქუჩა) ქალ. მეორე საავადმყოფოს მახლობლად 1274-25—1

ექიმი პ. ი. ჯალალოვი
(კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშხაპუნება „914“. ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება: დილით—8—9 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება: 5—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 19 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—90. ნ. 25—19.

ექიმი ი. ტერ-ოვაკიმოვი
გადავიდა სოლოლაკში დუმბაძის ქ. № 22 (ყ. ველიამინოვის) სპეციალობა სქესობრივი ფუნქციების დარღვევა (სქესობრივი ნევრასტენია) ფსიქოთერაპია მიღება საღ. 6—8 საათ. სიფილისით ავადმყოფთა მიღება დილით 11 საათიდან 1 საათამდე 25—5

ექიმი დ. ი. ჯაფარიძე
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება: ყურის, ცხვირის, ყელის სნეულებანი და მათი ქირურგია მიღება 5—7 საათ. საღამოს მისამართი: ჯუღაშვილის ქუჩა (ყოფილი რტიშჩევის) № 14 ტელეფონი 20—10

ანა ვასილის ასული მიქაბერიძე
პარიზში 1923 წელს დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მასაჟი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19 იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8-დე შესასვლელი შესახვევიდან. 495 2—5

თმის მკურნალობა ვ. ი. დანილევსკაიას
საექიმო კოსმეტიკა ლადო დუმბაძის ქ. (ყოფ. ველიამინოვის) № 18 პირისახის ყოველგვარი დეფექტის რადიკალური მკურნალობა. უცხოეთის უკანასკნელი მეთოდები. პირისახის და ხელების ყოველგვარი მასაჟი, აბაზანი, ნიღაბი. ყოველგვარი ელექტრიზაცია. რადიო-მოკს. მსურველთა მიღება ნაშუადღევის 1 ნახ. დან 3 საათამდე და საღამოს 5-დან—8-მდე. 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
მარტის ქუჩ. № 6 (ყოფ. ბოგოსლოვის) გადასახვევი ოლღას ქუჩიდან. ვენერიული და კანის სნეულებანი. მიღება: დილის 7—8 ნახ. სალამ. ქალ. 5-6 კაც. 6-

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12. სად. 7—8 საათამდე ტელეფ.—12—67. ნ. 20 25—1

დაკარგები: საბინაო დავთარი მდებარე საბჭოთა ქუჩ. № 3 სახლი, სახლია საბ. საიჯ. კოოპ. ამხ-ბის № 40 ჩ. გ. 1674

დაკარგები: კავშირის წიგნაკი № 6779 დათა ლალიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 1673

დაკარგები მუშკოოპის წიგნაკი № 39992 ანნა გუგუშვილის სახელზე, ჩ. გ. 1672

დაკარგები: შვიდწლედის დამთავრების მოწმობა № 299, გაცემული სამტრედიის რკ. გზის 1-ლი შრომის სკოლის მიერ. ალექსანდრე ონისიმეს ძე გეგეშიძის სახელზე, ჩ. გ. 1670

დაკარგები: პირადობის მოწმობა რკინის გზის სასურსათო ბილეთი გაცემული დნ | 1 მიერ, და კავშირის წიგნაკი ელიზბარ მაჭავარიანის სახელზე, ჩ. გ. 1671

ტირაჟი—39.050
პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.